პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 11 ნოემბერი № 11

თბილისი

გამომცემლობა „კომუნისტი"
1946

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

ხაძ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის ყოველთვიური თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი

გამოცემის XVII წელი

№ 11 ნოემბერი 1946

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჟორესის, № 5 ტელეფონი № 3-73-05

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

ა. ა. ჟდანოვი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIX წლისთავი (მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1946 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე) 1

შოწინავე — კადრების თეორიული მომზადების მძლავრი იარაღი 19

ი. მელქაძე, ი. კოდუა — ი. ბ. სტალინის თხზულებათა მესამე ტომი 25

ლ. გორგილაძე — ნაციონალური საკითხი ი. ბ. სტალინის ადრინდელ შრომებში 38

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი. კუზმინოვი — მისტერ ჯონსტონი „სახალხო კაპიტალიზმის" მქადაგებლის როლში . . 53

Y 960

ა. ა. ჟდანოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIX წლისთავი

მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1946 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელნი ღღესასწაულობენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ოცდამეცხრე წლისთავს.

შარშან ჩვენი დიდი დღესასწაული აღვნიშნეთ მაღე იმის შემდეგ, რაც სამამულო ომი ძლევამოსილად დამთავრდა ჯერ გერმანელი ფაშისტების, ხოლო შემდეგ იაპონელი იმპერიალისტების განაღგურებით. 1945 წელი ისტორიაში შევიდა, როგორც ფაშიზმისა და აგრესიის ძალებზე საბჭოთა ხალხისა და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხების დიადი გამარჯვების წელი. 1946 წელი პირველი ომისშემდგომი წელია. საბჭოთა ხალხმა, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა, მთელი თავისი ძალები მიმართა ომის მძიმე შედეგთა სალიკვიდაციოდ, სოციალიზმის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისაკენ. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც სამამულო ომის წლებში, ძალ-ღონესა და შრომას არ იშურებენ და საერთო სახალხო, საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესთა მაღალ შეგნებას იჩენენ. საბჭოთა ხალხი ემყარება სოციალისტური წყობილების ურყევ ძალას და თავდადებულად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა-მუზეუმი Библиотека-Музей

სძლევს რა ომისშემდგომი დროის სიძნელეებს, წარმატებით მიდის იმ გზით, რომელიც ლენინმა დაგვისახა, რომლითაც მივყავართ ამხანაგ სტალინს. (ტაში).

I

პირველი ომისშემდგომი წელი

გასულ წელს ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ განაახლა მშვიდობიანი სოციალისტური განვითარება. საბჭოთა სახელმწიფო ეწევა სახალხო მეურნეობის გარდაქმნას მშვიდობიანი დროის პირობებისა და ამოცანების შესაბამისად. მთელი ჩვენი მუშაობა სწარმოებს საბჭოთა სახელმწიფოს უახლოესი ამოცანების შესახებ ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულების ნიშნით. „ჩვენ,— სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — უმოკლეს ვადაში უნდა მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები და აღვადგინოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე, რათა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს, ავამაღლოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება“.

ყოველ ჩვენგანს ესმის, რომ ეს ამოცანები ადვილი როდია. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს საბჭოთა ქვეყნის მეურნეობას. ფაშისტმა ბარბაროსებმა დაანგრიეს და დასწვეს ათეულ ათასობით სამრეწველო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და მტს-ები, დაანგრიეს რკინიგზების მთელი ქსელი ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. ფაშისტებმა ააოხრეს და უდაბნოდ აქციეს ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი რაიონები, მოსპეს საბჭოთა ადამიანების მრავალი წლის დაძაბული შრომის ნაყოფი, უსახლკაროდ დასტოვეს მილიონობით საბჭოთა მოქალაქე. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ომები, რომლებსაც შეეწიროთ ესოდენ ბევრი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე და ასე უმაგალითოდ გაეპარტახებინოთ ქალაქები და სოფლები, მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა, როგორიც წარსული ომი იყო. ყოველი სხვა, თუნდაც ყველაზე მსხვილი თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფო, ასეთი ზარალის განცდის შემთხვევაში ათეული წლებით იქნებოდა უკუგდებული და მეორე ხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცეოდა. მაგრამ საბჭოთა კავშირს ეს არ ძოსვლია. მეორე მსოფლიო ომიდან საბჭოთა კავშირი მტკიცე და ძლიერი გამოვიდა. კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყანა გადავიდა მშვიდობიან მშენებლობაზე ყოველგვარი კრიზისისა ან შერყევის განუცდელად. ამავე დროს კი ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომმა საბჭოთა კავშირს გაცილებით უფრო დიდი ზარალი მიაყენა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ. მე აღარას ვამბობ ისეთ სახელმწიფოებზე, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, რომელთა ტერიტორიას არ განუცდია ოკუპაცია მტრის ჯარების მიერ და რომელთა წინაშეც ამიტომ არა დგას სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენის ამოცანები. და მაინც, მიუხედავად ამისა, ომისშემდგომი პერიოდი ამ ქვეყნებში დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისებთან არის დაკავშირებული.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ომიდან მშვიდობიან დროზე გადასვლამ გამოიწვია ბაზრის მკვეთრი შეკვეცა, წარმოების დონის დაცემა, საწარმოთა დახურვა, უმუშევრობის ზრდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო წარმოების მოცულობა 1946 წელს შემცირდა 1943 წელთან შედარებით ერთ მესამედზე უფრო მეტად, ხოლო უმუშევართა რიცხვმა, ოფიციალური ცნობების მიხედვით, სამ მილიონ კაცს გადააჭარბა.

ჩვენი ქვეყნისათვის უცხოა ასეთი მოვლენები. საბჭოთა კავშირში ომიდან მშვიდობიანობაზე გადასვლას, ამასთან დაკავშირებით საბჭოთა არმიის მნიშვნელოვან კონტინგენტთა დემობილიზაციას, სამხედრო ბიუჯეტის ერთისამად შემცირებას, ფაბრიკა-ქარხნების სამშვიდობო პროდუქციაზე გადაყვანას ჩვენში თან არ ახლავს ფაბრიკა-ქარხნების დახურვა, წარმოების შეკვეცა და უმუშევრობა. საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ, მას არ ეშინია ეკონომიური კრიზისისა და უმუშევრობის წარმოშობისა, ვინაიდან იგი ემყარება მეურნეობის ორგანიზაციის სხვა, უფრო მაღალ, სოციალისტურ სისტემას, რომლისთვისაც უცხოა კრიზისებიც და უმუშევრობაც.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენას არ დასჭირდეს მუშა-მოსამსახურეებისა და გლეხების მხრივ მსხვერპლი საერთო საქმისათვის. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სერიოზული მსხვერპლის გაუღებლად შეუძლებელია აღმოიფხვრას ომის მძიმე მემკვიდრეობა — აოხრება და გაპარტახება და აღდგენილ იქნას სახალხო მეურნეობა.

მაგრამ ეს მსხვერპლი ოდნავაც ვერ შეედრება კაპიტალისტური სახელმწიფოების მუშა-მოსამსახურეთა მხრივ გაღებულ მსხვერპლს, რომელიც მეტისმეტად დიდია, რამდენადაც კაპიტალისტები არ კისრულობენ იზრუნონ ომისშემდგომი აღდგენის საქმისათვის, ისინი მთელ სიძნელეებს მხოლოდ და მხოლოდ მუშებს, გლეხებსა და მოსამსახურეებს აკისრებენ. ეს სიძნელეები უწინარეს ყოვლისა გამოიხატება უმუშევრობის უდიდესი ზრდით და საწარმოებიდან მილიონობით მუშა-მოსამსახურეთა გამოყრით. ჩვენში არ არის და არც იქნება უმუშევრობა.

ეს დიდად უმსუბუქებს მდგომარეობას ჩვენი ქვეყნის მუშა-მოსამსახურეებს. ჩვენში არ არის კაპიტალიზმისათვის ჩვეული ანარქია წარმოებისა, რომელსაც რიგრიგობით მოსდევს აღმავლობისა და კრიზისების პერიოდები, რაც ძირფესვიანად არყევს მეურნეობის მთელ სისტემას და მშრომელებს მუდამ უკარგავს ხვალინდელი დღის რწმენას. ჩვენს საბჭოურნეო ცხოვრებას წარმართავს სახალხო-სამეურნეო გეგმა.

ომამდელი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საბჭოთა სახელმწიფომ ერთიანი გეგმით განახორციელა ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. ომის წლებში მან გეგმაზომიერად გამოიყენა ჩვენი ქვეყნის მთელი რესურსები ფრონტის საჭიროებისათვის. ასევე ახლაც საბჭოთა სახელმწიფო ახალი ხუთწლიანი გეგმით აწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სამუშაოებს. დიად სამუშაოთა ახალ ხუთწლიან გეგმაში, რომელმაც უნდა აღორძინოს და წინ წასწიოს სსრ კავშირი, როგორც აყვავების გზაზე მდგომი სოციალისტური

სახელმწიფო, თავისი ძალების, უნარისა და ტალანტის ღირსეულ გამოყენებას ჰპოვებს თვითეული საბჭოთა მოქალაქე — მამაკაცი და ქალი. (ტაში).

საბჭოთა ადამიანები ჩვეული არიან ყველაფერზე მაღლა დააყენონ საერთო სახალხო სახელმწიფოებრივი ინტერესი. ისინი ჩვეული არიან თავის საარსებო პირად საქმედ მიიჩნიონ საერთო საქმე. აი ამიტომ საბჭოთა ხალხმა ახალი ხუთწლიანი გეგმა მიიღო როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება მის სასიცოცხლო ინტერესებს. შემოქმედებითი შრომის პათოსით განიმსჭვალა მილიონობით ადამიანი. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საბჭოთა ადამიანები თავიანთ მისწრაფებაში წინსვლისაკენ ეძებენ ახალ გზებსა და საშუალებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რომელიც განმტკიცდა და გამოიწრთო სამხედრო განსაცდელში, წარმოადგენს სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისა და აყვავების მძლავრ საშუალებას მშვიდობიან პირობებში.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, არ დაიშურებენ ძალებსა და შრომას იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი“.

ახლა ყველა ხედავს, რომ ჩვენი ბელადის ეს შთამაგონებელი სიტყვები წარმატებით ხორციელდება.

ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი შედეგები უკვე ჩანს. ცოცხლდება მტრის მიერ აოხრებული მიწა-წყალი, ნანგრევებიდან ღორძინდება ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი. ჩვენი ქვეყანა ღრმა კმაყოფილების გრძნობით ტყობილობს ომამდელ ხუთწლედთა მანძილზე შექმნილი და ამჟამად ფერფლიდან და ნანგრევებიდან კვლავ აღორძინებული საწარმოების აღდგენისა და ამუშავების ამბავს. მოქმედ საწარმოთა მწყობრში ხელახლა ჩადგნენ სტალინგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნები, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა, ნიჟნი სვირის ჰიდროელექტროსადგური, თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის არხი და მრავალი სხვა უდიდესი საწარმო. ფეხზე დგება სამხრეთის მეტალურგია. ამოქმედდა ბრძმედები კონსტანტინოვკის, მაკეევკის ქარხნებში და ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში. ახლოვდება აღდგენის პროცესში მყოფი დნეპრჰესის ამუშავების დრო. გერმანელების მიერ მთლად დანგრეული დონბასი მტკიცედ მიდის ქვანახშირის ამოღების ომამდელი დონის აღდგენის გზაზე. ამ საწარმოთა აღორძინებას მაუსალმება ხალხი თითქმის როგორც მკვდრეთით აღდგომას, ვინაიდან იცის, თუ ნგრევის რა დონემდე მიიყვანეს ისინი ფაშისტმა მტარვალებმა და საბჭოთა ადამიანებს რა შრომის გაწევა დასჭირდათ, რათა ამ საწარმოების დიადი სახელები კვლავ აელვარებულიყო საბჭოთა კავშირის მოკვეთი, შრომითი გმირობით სახელგანთქმული ფაბრიკა-ქარხნების ბრწყინვალე სიაში.

ამავე დროს სწარმოებს დიდი ახალი მშენებლობა. შენდება და ნაწილობრივ უკვე ამუშავდა ახალი მანქანათმშენებელი და მეტალურგიული

ქარხნები, მწყობრში დგება შახტები, ელექტროსადგურები, რკინიგზის ლიანდაგები, საფეიქრო, ქიმიური და მრეწველობის მრავალი სხვა დარგის საწარმოები. სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას თან ახლავს მისი ხელახალი ტექნიკური შეიარაღება. მრეწველობის საერთო გამომუშავება სამოქალაქო პროდუქციის ხაზით 1946 წლის პირველ სამ კვარტალში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზის ტრანსპორტზე იმავე პერიოდში 12 პროცენტით გაიზარდა.

გერმანული ოკუპაციით დაზარალებულ რაიონებში ფართო ფრონტით გაჩაღდა მუშაობა დანგრეული სოფლებისა და ქალაქების, კულტურული დაწესებულებების აღსადგენად.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ნგრევის ოდენობას და მომავალი აღდგენითი სამუშაოების მოცულობას. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ გერმანელი ოკუპანტების მიერ აოხრებული რაიონების აღსადგენად საჭირო იქნება ექვსი-შვიდი წელი, თუ მეტი არა.

გასულმა წელმა ცხადჰყო, რომ ჩვენს ქვეყანას სწრაფი წინსვლის დიდი შესაძლებლობა აქვს. მაგრამ ხუთწლიანი გეგმის შესრულების გზაზე ჩვენ მოგვხდება საკმაოდ ბევრ სიძნელეთა დაძლევა.

სახალხო მეურნეობის გადაყვანა ომიანობის რელსებიდან მშვიდობიანი განვითარების რელსებზე უკვე თავისთავად წარმოადგენს ეკონომიური, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკმაოდ დიდ სიძნელეებს. ამასთან თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენს სახელმწიფოს არ შეუძლია დასჯერდეს მხოლოდ იმას, რომ გამოიყენოს არსებული საწარმოო ბაზა, რომ ჩვენს სახელმწიფოს, გარდა ამისა, მხედველობაში აქვს აღადგინოს და განავითაროს როგორც მრეწველობის, ისე სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის საწარმოო ბაზა, გასაგები გახდება, თუ რა უდიდეს მატერიალურ და ფულად ხარჯებს მოითხოვს ამ ამოცანის შესრულება. ახალი ხუთწლიანი გეგმით სახალხო მეურნეობაში მარტო ცენტრალიზებულმა კაპიტალურმა დაბანდებებმა უნდა შეადგინონ 250 მილიარდ მანეთზე მეტი. ამ ხარჯების უზრუნველსაყოფად ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და განვავითაროთ მეურნეობის წარმოების სოციალისტური მეთოდები, მომჭირნეობის რეჟიმი და სამეურნეო ანგარიში, გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო უყაირათობას, გაბერილ შტატებს, პროდუქციის მაღალ თვითღირებულებას და მოვახდინოთ ჩვენი შინარესურსების, დაგროვების მთელი წყაროების მობილიზაცია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საჭიროებისათვის.

ზოგიერთ ჩვენს სამეურნეო მუშაკს დღემდე ვერ გაუგია, რომ მომჭირნეობის რეჟიმი, რას შესახებაც არაერთხელ უთქვამთ ლენინსა და სტალინს, არის არა ხანმოკლე კამპანია, არამედ სოციალიზმისათვის ჩვეული მეთოდი მეურნეობის წარმოებისა. საბჭოთა ადამიანები მოვალენი არიან მუდამ ახსოვდეთ ეს მითითებანი და განუხრელად იხელმძღვანელონ ამ მითითებებით თავიანთ მუშაობაში.

განვითარების მშვიდობიან რელსებზე გადასვლა გულისხმობს აგრეთვე საბარათო სისტემის გაუქმებას და ნორმალური საქონელბრუნვისადმი დაბრუნებას. საბარათო სისტემა გარდუვალი ბოროტებაა, როცა დიდი ომი სწა-

რმოებს და როცა საჭირო ხდება სახალხო მეურნეობის გარდაქმნა, მისთვის ცალმხრივი სამხედრო ხასიათის მიცემა, მრავალნაირი ფასის დაწესება და მოხმარების შემცირება ზურგში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფრონტზე არმიის რეგულარული მომარაგება. როცა ომი დამთავრებულია და არმია დემობილიზებულია, საბარათო სისტემა საჭირო აღარ არის და მრავალნაირი ფასებიც ბოროტება ხდება. ეს ბოროტება უნდა უკუვაგდოთ, რათა დავუბრუნდეთ ნორმალურ საქონელბრუნვას და წარმოებისა და მოხმარების ყოველმხრივ განვითარებას. გვალვამ მთელ რიგ ოლქებში, სურსათის სახელმწიფო მარაგის შემცირებამ მოითხოვა, რომ საბარათო სისტემის გაუქმება გადაგვეტანა 1946 წლიდან 1947 წლისათვის. საჭირო გახდა აგრეთვე მთელი რიგი აუცილებელი გარდამავალი ღონისძიებანი მაღალი კომერციული ფასებისა და ერთობ დაბალი საულუფო ფასების დასაახლოებლად, რათა შეგვექმნა პირობები 1947 წელს საბარათო სისტემის გაუქმებისა და ერთიანი ფასების შემოღებისათვის.

საბჭოთა მთავრობა მხედველობაში იღებდა საულუფო ფასების გადიდების სიძნელეს და იცოდა, რომ აქ საჭირო იქნებოდა სერიოზული მსხვერპლი მუშა-მოსამსახურეებისა და გლეხების მხრივ, რომ ასეთი მსხვერპლის გაღებად შეუძლებელია ომის მძიმე მემკვიდრეობის აღმოფხვრა და შერყეული სახალხო მეურნეობის აღდგენა.

საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებანი მიიღო მცირე და საშუალო ხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა დანაკარგის ანაზღაურებლად და ხელფასი გაუდიდა მათ.

საქონელბრუნვის გაშლის ამოცანა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების საგანია. თუ გვსურს მოვამზადოთ პირობები ერთიანი სახელმწიფო ფასების თანმიმდევრული შემცირებისათვის, რომლებიც შემოღებულ იქნება საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით, გადამწყვეტ საშუალებას წარმოადგენს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება სახელმწიფო, კოოპერაციულ და ადგილობრივ მრეწველობაში. აუცილებელია აგრეთვე გამოვიყენოთ ყველა წყარო საქონელბრუნვის განვითარებისათვის, გავშალოთ, სახელმწიფო ვაჭრობასთან ერთად, კოოპერაციული ვაჭრობა ქალაქებსა და მუშათა დაბებში. რაც უფრო ფართოდ გაიშლება საქონელბრუნვა, მით უფრო სწრაფად გაუმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, დაკმაყოფილებულ იქნება მათი საარსებო საჭიროება, გადიდდება რეალური ხელფასის დონე და განმტკიცდება მანეთის კურსი. ამ საარსებო ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია ჩვენმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა გადაჭრით გააძლიერონ ყურადღება ვაჭრობის ორგანიზაციისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაუმჯობესების საკითხებისადმი. „რომ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება მძლავრად სჩქეფდეს, ხოლო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის შემდგომი ზრდის სტიმული ჰქონდეს, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — საჭიროა მოგვეპოვებოდეს კიდევ ერთი პირობა, სახელდობრ, გაშლილი **საქონელბრუნვა** ქალაქსა და სოფელს შორის, ჩვენი ქვეყნის რაიონებსა და ოლქებს შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის".

მწვავედ დადგა საკითხი ჩვენი საწარმოებისა და ახალმშენებლობათა მუშახელით შევსების შესახებ. შეიძლება წარმოებისათვის გვქონდეს ისეთი ელემენტები, როგორიცაა ფული და მატერიალური ფონდები. მაგრამ თუ მუშახელი არ გვყოფნის და ფული და მატერიალური ფონდები სრულად არ იქნა გამოყენებული, წარმოების გეგმა ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდება. საბჭოთა სახელმწიფოში არა გვაქვს მუშახელის შევსების ისეთი წყაროები, როგორიცაა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში უმუშევართა არეზერვო არმია, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება გლეხურ მეურნეობათა და ქალაქების წვრილი ბურჟუაზიის გაჩანაგების შედეგად. ჩვენში, სოციალისტური წყობილების პირობებში, მუშახელის რეზერვების შევსების ეს წყაროები ლიკვიდირებულია. ამავე დროს მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში ახალი მუშახელის მოზიდვა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმის შესრულების ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გამონახოს მზარდი სახალხო მეურნეობის მუშახელით შევსების ახალი საშუალებანი. ჯერ კიდევ ომამდე სოციალისტური სახელმწიფო ამ ამოცანის გადაჭრას შეუდგა მუშახელის სახელმწიფო რეზერვების შექმნის გზით, რომლებიც იგზავნება იქ, სადაც სახელმწიფოს ესაჭიროება. მით უფრო მწვავედ დადგა ეს საკითხი ომის შემდეგ. ცნობილია, რომ გერმანელთა შემოსევის შედეგად საბჭოთა კავშირმა აუნაზღაურებლად დაჰკარგა გერმანელებთან ბრძოლაში, აგრეთვე გერმანული ოკუპაციისა და გერმანულ კატორღაში საბჭოთა ადამიანების გარეკვის შედეგად შვიდ მილიონამდე კაცი. ეს კოლოსალური მსხვერპლი გაიღო საბჭოთა საზოგადოების მშრომელთა ყველაზე აქტიურმა ნაწილმა. გასაგებია, რომ ეს ზარალი მტკივნეულია ჩვენი აღდგენითი სამუშაოების გაქანებისათვის. ამოცანა შესაძლებელია და უნდა გადაწყდეს იმ შრომითი რეზერვების კონტინგენტთა გადიდების გზით, რომელთა მომზადება სწარმოებს სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მუშახელის მყარი კადრების შექმნის გზით მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საფუძველზე, რასაც მინისტრთა საბჭოს ცნობილი გადაწყვეტილება ითვალისწინებს, მრეწველობაში მუშახელის შიდა გადანაწილების საშუალებით წარმოების სასარგებლოდ, შრომატევადი სამუშაოების მეტიცე მექანიზაციის და შრომის ნაყოფიერების გადიდების შემწეობით.

ჩვენ დიდი ამოცანები უნდა გადავწყვიტოთ აგრეთვე სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დარგში. ომმა ძლიერ დაასუსტა მისი საწარმოო ბაზა: მკვეთრად შემცირდა პროდუქტიული პირუტყვის, მუშა ცხენის რაოდენობა, შემცირდა ბანქანა-ტრაქტორთა პარკი. კოლმეურნეობებში ნაკლები გახდა მუშახელი. ომით გამოწვეულ სიძნელეებს მიემატა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში გვალვასთან დაკავშირებული სიძნელეები. მოსავლის შეცვლილ გეოგრაფიასთან და მის სიჭრელესთან დაკავშირებით ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე წლის პურის დამზადების გეგმის შესრულებას. ალტაელ კოლმეურნეთა თაოსნობის შეხედვით უკანასკნელი კვირეების განმავლობაში მრავალი ოლქისა და რაიონის გლეხებმა იკისრეს ვალდებულება ვადამდე მთლიანად და გადაჭარბე-

ბით შეასრულონ პურის დამზადების გეგმა. ეს ფაქტები არ შეიძლება არ მივიჩნიოთ საბჭოთა გლეხობის ღრმა პატრიოტიზმის ახალ გამოვლინებად. პარტიული და საბჭოთა ორგანოები თავიანთი საორგანიზაციო და იდეურ-პოლიტიკური მუშაობით უნდა დაეხმაროთ გლეხებს სახელმწიფოსა წინაშე მათი მოვალეობის შესრულებაში.

ახლა, როცა ლაპარაკია სოფლის მეურნეობის სერიოზულ აღმავლობაზე, ჩვენმა მრეწველობამ დიდი დახმარება უნდა გაუწიოს სოფელს, მიაწოდოს მას ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სათადარიგო ნაწილები. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. საქმე კიდევ ისიც არის, რომ სერიოზულად გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა, სათანადო წესრიგი დამყარდეს მათს მუშაობაში. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მთელ რიგ ოლქებში დაშვებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უაღრესად უხეში დარღვევანი, რაც ძირს უთხრის საკოლმეურნეო წყობილების საფუძვლებს. როგორც გამოირკვა, ფართოდ იყო გავრცელებული კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მიწების, საკოლმეურნეო დოვლათის დატაცების ფაქტები. საჭირო იყო კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის დაცვა განადგურებისაგან, ზომების მიღება სასოფლო-სამეურნეო არტელის, როგორც საკოლმეურნეო წყობილების საფუძვლის, შემდგომი განმტკიცებისათვის. ამასთან დაკავშირებით აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“, რომელიც მიღებულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გაუმჯობესებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის სისტემატური გაფართოებისათვის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი მტკიცე კონტროლის დაწესებისათვის და წესდების დარღვევის ცდებისაგან კოლმეურნეობათა დაცვისათვის ღონისძიებების შესამუშავებლად მთავრობასთან შეიქმნა კოლმეურნეობების საქმეთა საბჭო, რომელშიც წარმოდგენილია საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკულ მოღვაწეთა ღიდი ჯგუფი.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვთ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს საკოლმეურნეო მშენებლობის მთელი საქმისათვის. საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებში ბოლშევიკური ხაზის დამახინჯებას და ამ დამახინჯების მატარებელთ გადამწყვეტი ლახვარი ჩაეცა. უაღრესი სიცხადით გამოაშკარავებულია საკოლმეურნეო ცხოვრების სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც იწვევენ საზოგადოებრივი საწყისის შესუსტებას, კოლმეურნეობებში წამგლეჯი სპეკულანტური ელემენტების თავაშვებულობას. მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ ყველა პატიოსან კოლმეურნეს ხელთ მისცა მძლავრი იარაღი კოლმეურნეობებში წესრიგის დასამყარებლად, საარტელო ცხოვრების ბევრგან დარღვეული საფუძვლების აღსადგენად. გადაწყვეტილებას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობების წაჩმეთა საბჭოს სახით, რომელსაც ადგილებზეც ჰყავს თავისი

წარმომადგენლები, შეიქმნა მძლავრი და ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც დგას საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ინტერესთა საგუშაგოზე. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ამხანაგ სტალინის ყურადღებისა და დახმარების მეოხებით ჩვენი კოლმეურნეობების განმტკიცების საქმე მკვიდრ რელსებზეა დაყენებული და სრული წარმატებით დაგვირგვინდება. (ტაში).

ამხანაგებო! დიადი მშენებლობის ამოცანები, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების გეგმების შესრულება მოითხოვენ ალმზრდელობითი და კულტურული მუშაობის მაღალ იდეურ დონესა და ფართო გაქანებას. იყო შეგნებული საბჭოთა მოქალაქე იმას ნიშნავს, რომ გესმოდეს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა და მთელი ძალ-ღონით ცდილობდე მის განხორციელებას. სოციალისტური შეგნება აჩქარებს საბჭოთა საზოგადოების წინსვლას, ამრავლებს მისი ძალისა და ძლიერების წყაროებს. ამიტომ ხალხის პოლიტიკური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს. სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება ბევრი მხრივ არის იმ ალმზრდელობითი მუშაობის ნაყოფი, რომელსაც პარტია ეწეოდა მშრომელთა მასებში, განუწყვეტლივ უნერგავდა რა ჩვენს ახალგაზრდობას სიმხნევესა და თავისი ძალებისადმი რწმენას.

ომის წლებში შექმნილი ვითარების გამო ჩვენ ვერ შევძელით საკმაოდ დაგვეკმაყოფილებინა საბჭოთა ხალხის იდეური და კულტურული მოთხოვნილებანი. ხალხის იდეური და კულტურული დონე გაიზარდა. ყოველივე ეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა ინტელიგენციის იმ რაზმს, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს ხალხსა და სახელმწიფოს მოთხოვნილებებს ალზრდის, კულტურისა და ხელოვნების დარგში.

თქვენ იცით, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ ხანს გამოააშკარავა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში უიდეობისა და აპოლიტიკურობის შეუწყნარებელი ფაქტები. ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ უიდეობის ბუნებას. ეს კაპიტალიზმის სწორედ ის ნაშთია ადამიანთა შეგნებაში, რომლის დაძლევა და აღმოფხვრა ჯერ კიდევ გვიხდება. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილებანი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე მიზნად ისახავენ გაძლიერდეს ბოლშევიკური შეურიგებლობა ყოველგვარი იდეოლოგიური დამახინჯებისადმი და ახალ, უფრო მაღალ დონეზე აყვანილ იქნას ჩვენი სოციალისტური კულტურის ყველა საშუალებანი: პრესა, პროპაგანდა და აგიტაცია, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენ გვესაჭიროება მეტი მაღალიდეური და მხატვრული ფილმი, ბელეტრისტული ნაწარმოებნი, პიესები და სხვა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ აღზრდას. საბჭოთა წყობალება ვერ მოითმენს, რომ ახალგაზრდობა აღიზარდოს უიდეობის სულისკვეთებით, პოლიტიკისადმი გულგრილობის სულისკვეთებით. საჭიროა დავიცვათ ახალგაზრდობა გამხრწნელი უცხო გავლენისაგან და მოვაწყოთ მისი აღზრდა და განათლება ბოლშევიკური იდეურობის სულისკვეთებით. მხოლოდ ასე შეიძლება აღიზარდოს სოციალიზმის იმ მხნე მშენებელთა მამაცი თაობა, რომელთაც სწამთ ჩვენი საქ-

მის გამარჯვება, რომელთაც ვერ აშინებთ ვერავითარი სიძნელე და მზად არიან გადალახონ ყოველგვარი სიძნელე.

საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერების განვითარებას. ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს მეცნიერების ძალების გაშლის მთელ მნიშვნელობას კომუნისტური პარტიის გეგმებში უახლოესი მომავლისათვის. ცნობილია, თუ რა ენერგიულ ღონისძიებებს ხმარობს საბჭოთა მთავრობა, რათა ჩვენს მეცნიერებს შეუქმნას ყველა საჭირო პირობა მეცნიერული მოღვაწეობის გასაშლელად, სტალინური ამოცანის გადასაწყვეტად: არა მარტო დავეწიოთ, არამედ კიდევაც გავუსწროთ უახლოეს ხანში მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს იქით. შემიძლია მოგახსენოთ, რომ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და მათი მეცნიერი მუშაკების რაოდენობამ უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. განუხრელად მატულობს მეცნიერული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. საბჭოთა მეცნიერებმა მომავალშიც თამამად უნდა იარონ ნოვატორობის და წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა გაბედული დანერგვის გზით. უნდა ვისურვოთ აგრეთვე, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების დონე არ ჩამორჩებოდეს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დონეს. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ამ დღეებში გახსნილმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ, რომელიც მოწოდებულია შეავსოს და სრულჰყოს საზოგადოებრივი დისციპლინების მეცნიერული კადრები.

დიადი და კეთილშობილი ამოცანები, დასახული საბჭოთა ინტელიგენციის ყველა რაზმის წინაშე, რომლებიც მოწოდებული არიან აღმზრდელობითი მუშაობა გასწიონ ჩვენს ხალხში, დანერგონ კულტურა, განუვითარონ ჩვენს ხალხს ახალი გემოვნება და ინტერესი, განამტკიცონ ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პროპაგანდისტების, ლიტერატორების, ხელოვნების მუშაკების, მასწავლებლების, მეცნიერი მუშაკების არმია, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას. **(მჭუხარე ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენი ხალხის წინაშე დიდი ამოცანები დგას. ჩვენ, ლენინელები, დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამოცანები წარმატებით შესრულდება. ამაზე მეტყველებს სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის მთელი გამოცდილება. ამაზე მეტყველებს ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ბრძნული პოლიტიკა. ამაზე მეტყველებს პარტიის პოლიტიკის ერთსულოვანი მხარდაჭერა მთელი ჩვენი ხალხის მიერ. ამას წინათ მთელ მსოფლიოს შეეძლო დარწმუნებულიყო იმაში, თუ როგორ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას. მხედველობაში მაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ამ არჩევნებმა ჩაიარა უმაგალითო პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში და თვალნათლივ ცხადჰყო საბჭოთა დემოკრატიის ძალა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურყევი ერთიანობა და მეგობრობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკას. ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა ჩვენს

ხალხს ჩვენი ქვეყნის შემდგომი წარმატების საწინდრად მიაჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი გაერთიანდა ჩვენი სახელოვანი პარტიის დროშის ქვეშ და გამსჭვალულია თავისი ბელადის იოსებ ბესარიონისძე სტალინისადმი უსაზღვრო ნდობისა და დიდი სიყვარულის გრძნობით. **(მჭუხარე ტაში).**

II

საბჭოთა კავშირი და ბრძოლა მტკიცე მშვიდობისათვის

ამხანაგებო! გერმანელ და იაპონელ აგრესორებზე თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა გამარჯვებამ გზა გაუხსნა მშვიდობიან განვითარებას, საშუალება მისცა ხალხებს შესდგომოდნენ ომისშემდგომი მშვიდობიანი მოწყობის ამოცანათა გადაწყვეტას.

რას მოელოდა და მოელის ამჟამად მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი? ხალხებს სწყურიათ მტკიცე, ხანგრძლივი, დემოკრატიული ზავი, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება მეორე მსოფლიო ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება, და თვითეული ხალხის, დიდის თუ პატარას, თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, თვითეული ადამიანისათვის მშვიდი და მკვიდრი არსებობის უზრუნველყოფა. სწორედ ეს სწყურიათ ამჟამად „უბრალო“ ადამიანებს, რომლებმაც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში თავიანთი სისხლით დაიცვეს თავიანთი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მშვიდობიანი ცხოვრების უფლება.

საბჭოთა კავშირი არის მშვიდობისათვის ბრძოლაში დემოკრატიულ ხალხთა ავანგარდში, ისევე როგორც იგი ომის წლებში იყო ფაშიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის ავანგარდში.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა საერთაშორისო საქმეებში ნათელი და გარკვეულია. ეს არის ხალხთა შორის მტკიცე და დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლის პოლიტიკა, მშვიდობისმოყვარე ერების მეგობრული თანამშრომლობის ყოველმხრივ განმტკიცების პოლიტიკა.

გასული წელი ის წელი იყო, როცა ფაშიზმზე გამარჯვების შედეგად მშვიდობისმოყვარე ხალხები შეუდგნენ ომისშემდგომი მოწყობის ამოცანათა გადაწყვეტას. ომიდან მშვიდობაზე გადასვლა იოლი საქმე როდი გამოდგა. დემოკრატიული ზავის დამყარება აწყდება მთელ რიგ დაბრკოლებებს.

საიდან მომდინარეობენ სიძნელეები, რომლებიც წარმოიშობიან დემოკრატიული ზავის შექმნის გზაზე? რა არის ომისშემდგომი მოწყობის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფოების აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი?

მეორე მსოფლიო ომს ანტიფაშისტური განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხებისათვის. ბუნებრივი იყო მოლოდინი, რომ სამართლიანი ანტიფაშისტური ომი სამართლიანი დემოკრატიული ზავით დაგვირგვინდებოდა. ამით სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან და ამისაკენ მიისწრაფვიან ყველა ქვეყნის ხალხები.

ხანგრძლივი მყარი ზავის უზრუნველყოფა იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ისეთი ზავი, რომელმაც დაუსჯელი არ უნდა დასტო-

ვოს აგრესორი და რომელსაც არ შეუძლია დაივიწყოს საერთო გამარჯვებისათვის ბრძოლაში გაღებული მსხვერპლი. ეს იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ისეთი ზავი, რომელიც მიმართულია ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრისაკენ და რომელიც განამტკიცებს დემოკრატიულ საწყისებს ყოფილ მტრულ სახელმწიფოებში, უზრუნველყოფილ იქნას ზავი, რომელიც პატივს სცემს ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს და არ დაუშვებს მათს ეკონომიურ დამონებას. ასეთი ზავი უნდა შეესაბამებოდეს მოკავშირეთა განმათავისუფლებელ მიზნებს და ამასთანავე იმ ხალხთა ინტერესებს, რომლებიც განთავისუფლდნენ ფაშიზმის უღლისაგან და დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი არ ზოგავს ძალებს სწორედ ასეთი ზავის მისაღწევად. ამას მიეძღვნა ჩვენი საგარეო პოლიტიკური მოღვაწეების ხანგრძლივი და რთული მუშაობა და ღონისძიებანი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში და ამას წინათ დამთავრებულს პარიზის საზავო კონფერენციაზე.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების დამყარების ამ ნათელი და მკაფიო პროგრამის განხორციელება არ გამოიწვევდა განსაკუთრებულ სიძნელეებსა და უთანხმოებას. მაგრამ ნამდვილად ასე როდი გამოვიდა. პირიქით, მშვიდობის ეს პროგრამა წააწყდა მთელი რიგი სახელმწიფოების, პირველ რიგში ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ელემენტების ორგანიზებულ წინააღმდეგობას, რომლებიც, იყენებდნენ რა საფრად ზოგიერთ მცირე სახელმწიფოს, რომლებმაც განაცხადეს, რომ მზად არიან იაროონ ინგლის-ამერიკის პოლიტიკის ფარვატერში, რაღაც უნდა დაჯდეს ეს, „გონებისა და სტიქიის წინააღმდეგ“ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გამარჯვებულ ქვეყნებსა და ჰიტლერული გერმანიის ყოფილ მოკავშირეთა შორის საზავო ხელშეკრულებათა შემუშავების საქმეში თანამშრომლობისათვის.

ეს და ამის მსგავსი ანტიდემოკრატიული ტენდენციები საზავო ხელშეკრულებათა პროექტების განხილვისას პარიზის კონფერენციაზე გამომჟღავნდა განსაკუთრებით ტრიესტის სტატუტის განხილვისას, აგრეთვე დუნაის ინტერნაციონალიზაციის საკითხის გამო. საზავო ხელშეკრულებათა მომზადებასთან დაკავშირებით წამოყენებული მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნები სრულიად არ შეესაბამებოდა სამართლიანობის პრინციპებს. საზავო კონფერენციაზე გამოაშკარავებულ იქნა ისეთი ფრიად უსამართლო პრინციპი, როგორიც „თანაბარ შესაძლებლობათა“ პრინციპია, რომელიც ნამდვილად მოასწავებს ეკონომიურად მძლავრი ქვეყნების მისწრაფებას დაიმონონ მცირე ქვეყნები, რომლებმაც უდიდესი ზარალი ნახეს ომის დროს და იძულებული არიან ჯერ კიდევ დიდხანს იმუშაონ მიყენებული ზარალის ანაზღაურებლად.

პარიზის კონფერენციაზე საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია დემოკრატიული ზავის ისეთმა უდავო პრინციპმაც კი, როგორიც არის ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრა და დემოკრატიული წესრიგის განმტკიცება ომის მონაწილე ქვეყნებში.

ამ გარემოებათა გამო არ იქნა მიღწეული დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებანი გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულე-

ბათა მრავალ საკითხზე. კონფერენციაზე ირღვეოდა სახელმწიფოების თანასწორუფლებიანობის პრინციპი, როცა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები და მათი მომხრეები ცდილობდნენ თავიანთი ნება-სურვილი თავს მოეხვიათ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთი სუვერენული უფლებებისათვის ომისშემდგომი პრობლემების გადაწყვეტაში.

კონფერენციამ ცხადჰყო, რომ ომისშემდგომ პოლიტიკაში ორი ტენდენცია არსებობს. ეს ორი ტენდენცია განსაკუთრებით გამოაშკარავდა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით უნდა ვითარდებოდეს საერთაშორისო თანამშრომლობა ამჟამად.

ერთი პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებს, იმაში მდგომარეობს, რომ სავსებით განხორციელდეს გაერთიანებული ერების სრულუფლებიანი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის პრინციპი, ორგანიზაციისა, რომელსაც თავის განკარგულებაში მოეპოვება ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ განმტკიცდეს ზავი და თავიდან აცილებულ იქნას აგრესია. ეს პრინციპი იქიდან გამომდინარეობს, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ავად მოსაგონარი ერთა ლიგის განმეორება კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა იქნეს საკმაოდ ძლიერი და ავტორიტეტიანი, რათა დაიცვას მშვიდობა და თავიდან აგვაცილოს ახალი აგრესია.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება საკმაოდ ეფექტიანი, თუ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მთავარი სიმძიმე, მომავალშიც ერთსულოვნებისა და თანხმობის სულისკვეთებით იმოქმედებენ.

საჭირო არ არის მტკიცება და ზედმეტჯერ გახსენება იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც იღებდა საბჭოთა კავშირი იმისათვის, რომ უზრუნველეყო ეს პრინციპები. საბჭოთა კავშირი ყოველდღიურად, ყოველ ნაბიჯზე იცავს მტკიცე, ხანგრძლივი, სამართლიანი, დემოკრატიული მშვიდობის შექმნის, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.

ამ დღეებში მთელს მსოფლიოს შეეძლო დარწმუნებულიყო ამხანაგ სტალინის პასუხებიდან იუნაიტედ პრესის სააგენტოს დირექტორის ბ-ნ ჰიუ ბეილის კითხვებზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის თვითეული ნაბიჯი რამდენად არის მიმართული ამ მიზნის მიღწევისაკენ.

ასეთია საერთაშორისო პოლიტიკის ერთი მიმართულება.

მეორე არის იმ რეაქციული ძალებისა და წრეების მიმართულება, რომლებიც მზად არიან უარი სთქვან იმ დეკლარაციებზე, რომლებსაც ისინი მხოლოდ გუშინ წარმოსთქვამდნენ, შეარყიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საძირკველი და გზა გაუკაფონ ექსპანსიისა და აგრესიის ძალებს.

ამჟამად ამ კურსის სულისჩამდგმელებს განსაკუთრებული იერიში მიაქვთ დიდი სახელმწიფოების ერთხმიობის პრინციპის წინააღმდეგ უშიშროების საბჭოში საკითხების გადაწყვეტისას. ახლა ამ პრინციპის წინააღმდეგ გააფთრებული კამპანია სწარმოებს. სავსებით ცხადია, რომ ამ კამპანიის

მიზანს შეადგენს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრა. ცნობილია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ნორმალური საფუძვლები სრულიად არ შედიან ისეთი იმპერიალისტური წრეების გეგმებში, რომლებიც დაინტერესებული არიან ხელი გახსნილი ჰქონდეთ მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად, ექსპანსიისა და აგრესიისათვის. მაგრამ ჩვენმა ხალხებმა იმისთვის როდი დაღვარეს თავიანთი ფასდაუდებელი ზღვა სისხლი, რომ გზა გაეკაფათ მსოფლიო ბატონობის ახალი პრეტენდენტებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ მცდელობას და მსოფლიო ბატონობისაკენ ასეთ მისწრაფებას.

კამპანიას საერთაშორისო თანამშრომლობის ჩასაშლელად, რასაც ეწევიან მტკიცე მშვიდობის აშკარა და ფარული მოწინააღმდეგენი, თან ახლავს აღვირახსნილი ანტისაბჭოთა ხმაური. აღვირახსნილი ანტისაბჭოთა „ატომური“ პროპაგანდა, ახალი ომის შანტაჟი და საფრთხე, რომელთა შექმნას მონდომებით ცდილობენ სამხედრო-პოლიტიკური მზვერავები და მათი თანამებრძოლნი, სჭირდება მხოლოდ ახალი ომის გამჩაღებლებს, როგორიც არიან ჩერჩილი და მისი თანამზრახველნი. ამ ანტისაბჭოთა კამპანიას აწარმოებენ რეაქციული იმპერიალისტური წრეები, რომლებისთვისაც ომი შემოსავლიანი საქმეა, რომელთაც არ სურთ მტკიცე დემოკრატიული მშვიდობა, და ამიტომ არაფერს იშურებენ, რათა გააფართოვონ ცილისმწამებლური კამპანია საბჭოთა კავშირის, როგორც დემოკრატიული მშვიდობისათვის ნამდვილი მებრძოლის წინააღმდეგ.

ახალი ომის პროპაგანდას საფუძვლად უდევს რეაქციული წრეების შიში ხალხთა დემოკრატიულ მისწრაფებათა წინაშე. საბჭოთა კავშირი, როგორც დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდი, წარმოადგენს ძირითად სამიზნეს ამ კამპანიისათვის. ეს გასაგებიცაა. საბჭოთა კავშირი ყველაზე უფრო თანმიმდევრული მებრძოლია დემოკრატიისათვის აგრესიის წინააღმდეგ, ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს ცილისმწამებლურმა კამპანიამ, რასაც სსრ კავშირის წინააღმდეგ აწარმოებენ, განსაკუთრებული გაქანება ჰპოვა. მას აწარმოებენ დიდი მასშტაბით და იგი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ძირი გამოუთხაროს საბჭოთა კავშირისადმი გაზრდილ ნდობას და მის ავტორიტეტს დემოკრატიული ქვეყნების ხალხებში. არ შეიძლება არ გავახსენოთ აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირისადმი, მისი რეჟიმისადმი, მასში მოსახლე ადამიანებისადმი სიძულვილის დაქინებით დანერგვა ახალი როდია და უკვე არაერთგზის დამთავრებულა სავალალოდ მისი ინიციატორებისათვის. ცნობილია, რომ ბევრი გაზეთი და ჟურნალი ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, დახელოვნდა მტრობის, უნდობლობისა და ეჭვის გაჩაღებაში ყოველივე საბჭოურისადმი, ცდილობს მოათავსოს რაც შეიძლება ნაკლები სიმართლე სსრ კავშირის ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ რუსეთზე ასეთი „ინფორმაცია“, რომლითაც სავსეა ამერიკის შეერთე-

ბული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ბევრი გაზეთის სვეტები, სულს უხუთავს მრავალ ბურჟუაზიულ მოღვაწესაც კი, რომლებსაც ყოველგვარი სიცრუე უნახავთ. ახლა იმისათვის, რომ რაიმე დასწეროთ რუსეთზე, საკმარისია აურიონ ერთმანეთში ცოტაოდენი ცილისწამება, ცოტაოდენი უვიცობა, ცოტაოდენი თავხედობა და კერძიც მზად არის. საქმე იქამდე მიდის, რომ მართალი ინფორმაცია სსრ კავშირის შესახებ გამონაკლისად იქცევა, ხოლო ცრუ ინფორმაცია—წესად. თუ ძნელია ფაქტების დამახინჯება, მით უარესი ფაქტებისათვის, მათზე პირდაპირ სდუმან.

ამას წინათ ამერიკის გაზეთებში მოთავსდა ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა მის მიერ მიცემულ კითხვაზე: აქვთ თუ არა უპარტიოებს საარჩევნო ხმის უფლება სსრ კავშირში, სწორა პასუხების უმნიშვნელო პროცენტი მიიღო. უმრავლესობამ კი უპასუხა, რომ ან არა აქვთ ასეთი უფლება უპარტიოებს, ან პასუხის გამცემლებმა არ იცოდნენ, რა ეთქვათ. შეკითხვაზე: შეიძლება თუ არა სსრ კავშირში რომელიმე რელიგიის აღიარება, — უმრავლესობამ უპასუხა, რომ ან არ შეიძლება, ან მათ არ იციან როგორ უპასუხონ ამ კითხვას. ისე გამოდის, რომ საშუალო ამერიკელი ან არ ღებულობს არავითარ ინფორმაციას სსრ კავშირის შესახებ, ან რატომღაც ღებულობს მას დამახინჯებულად და ცილისმწამებლურად.

უკანასკნელ ხანს გაჩნდა ავრეთვე ბევრი „გამოკვლევა“ თემაზე საერთოდ საბჭოთა ადამიანების ხასიათის, კერძოდ, რუსების ეროვნული ხასიათის შესახებ. ამასთან ბევრი სტატიის ავტორი თავს არ ზოგავს იმისათვის, რომ დახატოს საბჭოთა ადამიანები უალრესად უბადრუკად. კითხულობს კაცი ამას და უკვირს, როგორ შეცვლილან ასე მალე რუსი ადამიანები. მაშინ, როცა ჩვენი სისხლი იღვრებოდა ბრძოლის ველზე, აღტაცებული იყვნენ ჩვენი სიმამაცით, გამბედაობით, მაღალი მორალური თვისებებით. უსაზღვრო პატრიოტიზმით. და აი ახლა, როცა ჩვენ სხვა ხალხებთან თანამშრომლობით გვსურს განვახორციელოთ საერთაშორისო საქმეებში მონაწილეობის ჩვენი თანაბარი უფლება, გვლანძღავენ და ცილს გვწამებენ, გვაგინებენ და გვტუქსავენ. ამასთან ამბობენ, თითქოს ჩვენ აუტანელი და საეჭვო ხასიათი გვაქვს.

ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულების შეფასებისას არ შეიძლება კაცი არ გაოცდეს, რა უზრდელობისა და უკულტურობის დონემდე შეიძლება მივიდნენ საზღვარგარეთ ადამიანები, რომლებსაც თავი წარმოუდგენიათ ქვეყნიერების „დედაძარღვად“ და ცივილიზაციის „საძირკვლად“. როგორც სჩანს, განვლილმა ომმა, რომელმაც მოუპოვა გამარჯვება პროგრესისა და თავისუფლების ძალებს რეაქციის, ძალადობისა და ბოროტების ძალებზე, ვერაფერი ვერ ასწავლა ადამიანებს, რომელნიც ცდილობენ გაიმეორონ ის გზა, რამაც უკვე მოუტანა ამდენი მწუხარება და უბედურება ხალხებს, გაიმეორონ ხალხებს შორის მტრობისა და უნდობლობის თესვის გზა.

რამდენიმე დღის წინათ ბ-ნმა უოლესმა ერთ-ერთ თავის სიტყვაში გაანაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ თვითეულ დუიმ კრიტიკაზე, რაც დაბეჭდილია გაზეთ „პრავდაში“, ამერიკის პრესაში იბეჭდება, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ათასი დუიმი ანტისაბჭოთა კრიტიკა. ვფიქ-

რომ, არ შეიძლება შეედავოს კაცი ბ-ნ უოლესის ამ მტკიცებას. **(საერთო გამოცოცხლება დარბაზში).**

ამ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, რომელშიც მტკიცე მშვიდობის მტრებს შეაქვთ ურწმუნობისა და მოუსვენრობის ამდენი ელემენტი, მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული ძალით გაისმა ამხანაგ სტალინის მშვიდი, მტკიცე და ბრძნული ხმა, რამაც სიმხნევე და იმედები ჩაუსახა გულში ყველა ადამიანს, ვისაც სურს მშვიდობა და უშიშროება, ვინც იცის სტალინის თვითეული სიტყვის ფასი. **(მჭუხარე ტაში).**

ამხანაგმა სტალინმა საკადრისი პასუხი გასცა ახალი ომის საფრთხის შესახებ ხმაურის ორგანიზატორებს, ნიღაბი ჩამოხადა რა ამ კამპანიის შანტაჟისტურ-სპეკულანტურ ხასიათს და გვიჩვენა „ახალი ომის“ რეალური საფრთხის არარსებობა.

ამით ამხანაგმა სტალინმა ცხადჰყო, რომ არ შეიძლება საბჭოთა კავშირის დაშინება შანტაჟით და „ახალი ომის“ საფრთხის სპეკულაციით. იმ მომენტში, როცა ჩვენ აქ შევიკრიბეთ ჩვენი დიდი რევოლუციის 29-ე წლისთავის აღსანიშნავად, ჩვენი ამხანაგები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს წარმოადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომებზე ნიუ-იორკში, მტკიცედ იცავენ საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპს და მშვიდობის საქმეს. საბჭოთა დელეგაციის სახელით ამხანაგ მოლოტოვის მიერ შეტანილი წინადადება შეიარაღებათა საყოველთაო შემცირების შესახებ, სამხედრო მიზნებით ატომის ენერგიის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ახალ უდიდეს განძს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში და იწვევს მთელი მსოფლიოს პროგრესიული ადამიანების სიმპატიას და მხარდაჭერას. საბჭოთა კავშირი კვლავ და კვლავ გამოდის მთელი მსოფლიოს წინაშე როგორც მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისა და ნამდვილი საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატორი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რა ძალებიც უნდა ეწინააღმდეგებოდნენ საყოველთაო მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების დამყარებას, საბოლოო ანგარიშში ეს საქმე წარმატებით განხორციელდება. ჩვენ რწმენას ვამყარებთ იმაზე, რომ ის ძალები, რომლებიც მუშაობენ მშვიდობის საქმისათვის, ყოველდღიურად იზრდებიან და მტკიცე საძირკველს ემყარებიან. ეს ძალები სულ უფრო და უფრო ორგანიზებული და ძლიერი ხდებიან. საბჭოთა კავშირი მარტო როდია თავის ბრძოლაში მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის და ხალხთა კოლექტიური უშიშროებისათვის. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა მხარდაჭერას პოულობს მილიონობით ადამიანების მხრივ საზღვარგარეთ. „მსოფლიოს ხალხებს, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — არ სურთ ომის უბედურებათა განმეორება. ისინი მტკიცედ იბრძვიან მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის“.

იმ მსხვერპლმა და ნგრევამ, რაც გამოიწვია გაუგონარმა ომმა, ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე მოპოვებულმა გამარჯვებამ, ახალი პოლიტიკური ვითარება შეჰქმნეს მთელ მსოფლიოში, აამოძრავეს ხალხთა მასები, აამაღლეს მათი პოლიტიკური აქტივობა და მძლავრი ბიძგი მისცეს დემოკრატიის განვითარებას ყველა ქვეყანაში. დემოკრატიის ძალები გაიზარდნენ და გამრავლდნენ, ხოლო რეაქციის ძალები, როგორც

უნდა ცდილობდნენ ისინი თავიანთი პოზიციების შენარჩუნებას და ხალხთა დემოკრატიული განვითარების შეფერხებას. შესუსტდნენ. საკმარისია გაგახსენოთ დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვება მოძმე სლავურ ქვეყნებში— იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში. ამ ქვეყნებში ვითარდება ხალხთა სისხლით მოპოვებული და ჰიტლერული ფაშისტური მონობის წინააღმდეგ დიადს. წმიდათაწმიდა ბრძოლაში გამოჭედილი ახალი ნამდვილი დემოკრატია. ამ ქვეყნების ხალხებმა ხელთ აიღეს თავიანთი სახელმწიფოების ბედი, დაამყარეს დემოკრატიული წესები და აწარმოებენ აქტიურ ბრძოლას რეაქციის ძალებისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

დემოკრატიის უმაგალითო აღმავლობა და ხალხის მასების აქტივობაა იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ გერმანიის სატელიტები იყვნენ, — იტალიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და ფინეთში. ამ დღეებში ჩვენ მოწმენი ვიყავით სამამულო ფრონტის დიდი გამარჯვებისა ბულგარეთში, რაც ომისშემდგომ ევროპაში დემოკრატიული ძალების განმტკიცების ახალ დადასტურებას წარმოადგენს.

შემდეგ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კონსერვატორთა დამარცხება და ლეიბორისტთა გამარჯვება ინგლისში, ისევე როგორც რეაქციონერთა დამარცხება და მემარცხენე პარტიების ბლოკის გამარჯვება საფრანგეთში მოასწავებს ამ ქვეყნების სერიოზულ ძვრას მარცხნივ.

ბოლოს, ცნობილია, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარებისაკენ მისწრაფებით განიმსჭვალნენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები, რომლებიც თავისუფალი ეროვნული განვითარებისათვის იბრძვიან.

ძალიან ნობით მშრომელი ადამიანი ირაზმება იმისათვის, რომ დაიცვას მშვიდობის საქმე ყველა ქვეყანაში. მე მხედველობაში მაქვს მნიშვნელობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა, რომელიც ეწევა მუშათა საერთაშორისო თანამშრომლობის აქტიურ პოლიტიკას, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ღონისძიებანი. იზრდება და მტკიცდება კულტურული კავშირი დემოკრატიულ ქვეყნებს შორის.

დემოკრატიის ძალები იზრდება და ეს არის იმის საწინდარი, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს. **(მჭუხარე ტაში).**

* * *

ამხანაგებო! ომისშემდგომი პირველი წელი, როგორც მოველოდით, ძნელი წელიწადი იყო. საბჭოთა სახელმწიფოს მოუხდა ოთხ წელზე მეტი ხნის მძიმე ომის შედეგების დაძლევა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ადამიანების ღონისძიებებმა თავისი შედეგები მოგვცა. მშვიდობიანი მშენებლობის საქმე წარმატებით ვითარდება. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა მტკიცედ და გაბედულად დაადგა მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის სწრაფი აღდგენისა და მძლავრი ომისშემდგომი აღმავლობის გზას. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დარგში საბჭოთა კავშირმა სამართლიანი დემოკრატიული ზაფისათვის თავისი თანმიმდევრული ბრძოლით, მცი-

რე ხალხების ინტერესთა მედგარი დაცვით კიდევ უფრო განამტკიცა თავისი საერთაშორისო პოზიციები, სერიოზული წვლილი შეიტანა ხალხთა შორის მშვიდობიანი კეთილმეზობლური ურთიერთობის მოგვარების საქმეში.

ჩვენ შევდივართ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ახალ, ოცდამეათე წელში. გასული წლების მანძილზე საბჭოთა სახელმწიფომ გადაიტანა ორი სისხლისმღვრელი, გამაპარტახებელი ომი. ამ ომებმა დროის მიხედვით დაიკავეს საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელი პერიოდის დაახლოებით ერთი მეოთხედი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ომით მოყენებული ზარალის ანაზღაურება დიდ ღონისძიებებს მოითხოვს, ყველას შეუძლია მიხვდეს, თუ ჩვენს სახელმწიფოს რა ცოტა დრო ჰქონდა მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობისათვის. თუ ჩვენი ქვეყანა მოკლე ისტორიული ხნის მანძილზე გამარჯვებული გამოვიდა ორ ომში — ინტერვენტების წინააღმდეგ ომსა და მეორე მსოფლიო ომში—და მოასწრო შეექმნა მძლავრი სოციალისტური მრეწველობა, მაღალგანვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა, სერიოზულად აემაღლებინა ხალხის მასებია კულტურული დონე და კეთილდღეობა, ეს მოწმობს საბჭოთა წყობილებას დაუშრეტელ საკაცობლო ძალას. იმ საქმის უძლეველობას, რომლისთვისაც იბრძოდა ჩვენი ხალხი, როცა ახდენდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საშშობლოს—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, ამხანაგ **სტალინს,** რომელსაც მივყავართ წინ საბჭოთა სამშობლოს ახალ-ახალი წარმატებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ! **(დარბაზში მჭუხარე ოვაციაა ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან).**

კადრების თეორიული მომზადების მძლავრი იარაღი

ჩვენი პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა, მათი პოლიტიკური და თეორიული მომზადების დონის ამაღლებისათვის ყოველდღიური ზრუნვა ყოველთვის იყო და არის პარტიული ორგანიზაციების ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანა. ბოლშევიზმის დაუფლება, ყოველივე იმის შესწავლა, რაც კაცობრიობის აზროვნებას კორიფეებს —მარქსს, ენგელსს, ლენინსა და სტალინს შეუქმნიათ, — საჭიროა ყველა პროფესიისა და დარგის მუშაკთათვის, რადგან სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნა აძლევს მათ ორიენტაციას მუშაობაში, ასწავლის მასებისადმი სწორი ხელმძღვანელობის ხელოვნებას, უმუშავებს სიძნელეთა დაძლევისა და გამარჯვების მოპოვების უნარს.

ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში.

მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც დაეუფლა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, შეუძლია მიდიოდეს წინ მტკიცედ და მიჰყავდეს წინ მუშათა კლასი. და, პირიქით, ის პარტია, რომელიც არ დაუფლებია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იძულებულია გზააბნეულად იაროს, ჰკარგავს რწმენას თავის მოქმედებაში, არ შესწევს უნარი წაუყვანოს წინ მუშათა კლასი". („საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 431-432).

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას. ახალმა სტალინურმა ხუთწლიანმა გეგმამ ჩვენ უდიდესი ამოცანები დაგვისახა: უმოკლეს დროში უნდა აღვადგინოთ და შემდგომ განვავითაროთ ჩვენი სახალხო შეურნეობა, ავამაღლოთ ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე და წინ გავწიოთ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით.

ამ ისტორიული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში ყოველ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკს მოეთხოვება მეტი ცოდნა და ენერგია, მეტი ოსტატობა—სათავეში ჩაუდგეს მშრომელი მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, დასძლიოს ყოველგვარი სიძნელენი, მიაღწიოს ახალ წარმატებებს. ამას იგი მაშინ შესძლებს, თუ ყოველდღიურად იამაღლებს თავისი თეორიული მომზადების დონეს, თუ განუწყვეტლივ ეუფლება ბოლშევიზმის ისტორიას და თეორიას, სწავლობს ლენინისა და სტალინის შრომებს.

საამისოდ ჩვენს კადრებს აქვთ ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის გენიალური სტალინური სახელმძღვანელო. აქვთ მარქსიზმის

კლასიკოსთა ნაწარმოებები. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დაიწყო ი. ბ. სტალინის თხზულებათა თექვსმეტტომიანი კრებულის გამოცემა. ეს უმნიშვნელოვანესი ძოვლენაა ბოლშევიკური პარტიის იდეურ ცხოვრებაში. ხელისმომწერლებს უკვე დაურიგდათ თხზულებათა პირველი, მეორე და მესამე ტომი. მათში შესულია ამხანაგ სტალინის 1901-1917 წლების პერიოდის შრომები. ეს შრომები ჩვენი პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების თეორიული შეიარაღების ძლავრ საშუალებას წარმოადგენენ. ამ შრომების შესწავლით ჩვენი კადრები მიიღებენ პასუხს არა მარტო პარტიის ისტორიის საკითხებზე, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის მრავალ აქტუალურ საკითხზეც.

ამხანაგ სტალინის ამ შრომათა მნიშვნელოვანი ნაწილი იწერებოდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ბოლშევიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავება, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ბოლშევიზმი როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა და პოლიტიკური პარტია; შემდეგი შრომები იმ პერიოდს მიეკუთვნებიან, როცა რუსეთის მუშათა კლასში უკვე არსებობს ორტოდოქსალური რევოლუციურ-მარქსისტული მიმართულება — ბოლშევიზმი. აქ. ამიერკავკასიაში, ამხანაგი სტალინი ლენინურად სწყვეტს ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიისა და პოლიტიკის საკითხებს, ეწევა შეუპოვარ ბრძოლას პარტიის ორგანიზაციული მთლიანობისათვის, ანარქისტებთან და სხვა მტრულ მიმდინარეობებთან წარმოებულ ბრძოლებში იგი ამზადებს პარტიის თეორიულ საფუძვლებს. შემდგომი — 1907—1913 წლების პერიოდის—შრომები, რომლებიც თავმოყრილია თხზულებათა კრებულის მეორე ტომში, მოიცავენ რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ უკანდახევისა და გამძაფრებული რეაქციის პერიოდს, როცა ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის მეთაურობით დაუღალავ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკების და ლიკვიდატორების წინააღმდეგ არალეგალური რევოლუციური მარქსისტული პარტიის შენარჩუნებისათვის. მათ მოჰყვება ამხანაგ სტალინის შრომები, რომლებიც დაწერილია რუსეთის მუშათა კლასის ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, როცა მოხდა ბოლშევიკთა დამოუკიდებელ, ახალი ტიპის მარქსისტულ-ლენინურ პარტიად გაფორმება, და ბოლოს—დიდი ისტორიული ნაშრომი—„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი". სადაც კლასიკურად არის განვითარებული ბოლშევიკური პარტიის თეორია და პოლიტიკა ნაციონალურ საკითხზე. მესამე ტომი შეიცავს იმ პერიოდის ნაშრომებს, როცა ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით მზადდებოდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები.

რას გვასწავლიან ამხანაგ სტალინის ეს ნაწარმოებები?

ამხანაგ სტალინის ეს შრომები ანზოგადოებენ ბოლშევიზმის მდიდარ ისტორიულ გამოცდილებას. ისინი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ, თუ როგორ და რა პირობებში ყალიბდებოდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციული და ტაქტიკური, თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლები, თუ როგორ და რა პირობებში აშენებდნენ და აწრთობდნენ ყოველგვარ მტრებთან ბრძოლებში ახალი ტიპის პარტიას, მარქსისტულ-ლენინურ პარტიას პროლეტარიატის დიადი მასწავლებლები და ბელადები — ლენინი და

სტალინი. ამხანაგ სტალინის შრომებში მოცემულია საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ მარქსიზმის მოძღვრების ბრწყინვალე დაცვა-დასაბუთება და შემდგომი განვითარება.

ამხანაგ სტალინის შრომები იდეურად აიარაღებს ჩვენს კადრებს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და სრული კომუნიზმის აშენების საქმისათვის. ამხანაგ სტალინის თხზულებათა უკვე გამოსულ ტომებში შესული ისეთი ისტორიული შრომები, როგორიცაა—„ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“, „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, „პასუხი სოციალ-დემოკრატს“, „წერილები ქუთაისიდან“, სტატიები ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის საკითხებზე 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, „წერილები კავკასიიდან“, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, 1917 წელს დაწერილი წერილები სოციალისტური რევოლუციის უშუალო მომზადებისა და ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის შესახებ. ეს თხზულებები გვიჩვენებენ რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ერთიანობის უდიდეს ძალას, გვასწავლიან საზოგადოების განვითარების კანონებს, ზრდიან მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, გვინმარტავენ სოციალიზმისა და ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის მეცნიერულ საფუძვლებს. ამხანაგ სტალინის ეს ნაშრომები გვასწავლიან ბოლშევიკურ პრინციპულობასა და პარტიულობას, მაგვითითებენ ჩვენი დიადი მიზნის—კომუნიზმის რეალობასა და უძლეველობაზე. ბოლოს, ეს შრომები შესაძლებლობას გვაძლევენ წარსულის მდიდარი გამოცდილების შეთვისებით უკეთ გავერკვეთ თანამედროვე მოვლენებში, ნათლად წარმოვიდგინოთ მომავალი, უფრო მეტი წარმატებით ვიბრძოლოთ მისი განხორციელებისათვის.

ამხანაგ სტალინის თხზულებები მოწმობენ იმას, თუ რა ღრმა ისტორიული ფესვებით არის დაკავშირებული ლენინ-სტალინის დიადი პარტია საბჭოთა ხალხთან, როგორ იღებდა თავის ასაიცოცხლო ძალებს ხალხისაგან და როგორ ამზადებდა ჩვენი პარტია სოციალისტური რევოლუციის დიად გამარჯვებებს.

დაუფასებელია დიდი ბელადის თხზულებათა გამოქვეყნების მნიშვნელობა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმისათვის.

აი რატომ შეხვდნენ ჩვენი კადრები დიდი აღფრთოვანებით ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოსვლას. აი რატომ იქცნენ ეს შრომები ნიადაგსახმარ წიგნებად.

მრავალი ათეული ათასი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკი ბელადის თხზულებათა გამოსვლისთანავე შეუდგა მათს შესწავლას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად, აწყობენ კონსულტაციებს, მოხსენებებს, ლექციებს, თეორიულ საუბრებს. დიდი სტალინის თხზულებათა კრებულში მოთავსებული ნაშრომები შეიძლებენ რაიონული აქტივის

სემინართა თემატიკაში, მას სწავლობენ პოლიტწრეები, პარტიული აკო-
ლები.

სერიოზული მუშაობა გაიშალა ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებუ-
ლების შესწავლისათვის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში. ამ დიდ
პოლიტიკურ ამოცანას თავიდანვე უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ
პარტიული და სამეურნეო მუშაკები. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუ-
მის ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში კომუნისტები გულმოდგინედ სწავ-
ლობენ ი. ბ. სტალინის ნაშრომებს, ადგენენ კონსპექტებს, გამოდიან ლექ-
ციებით და მოხსენებებით, აწყობენ ამხანაგურ დისკუსიებს.

კარგად მოაწყეს ამ მხრივ მუშაობა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანაში. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ხშირად აწყობს კომუნისტებისათვის ლექციებს, თეორიულ საუბრებს, კონსულტაციებს. ენერგიულ დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციას ამ საქმეში ქარხანასთან მოწყობილი პარტიული კაბინეტი. აქ მოწყობილია ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი და მეორე ტომისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა, ხშირად ეწყობა კონსულტაციები წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისათვის. ამხანაგ სტალინის თხზულებანი ხელიდან ხელში გადადის, მას სწავლობენ, მასში აღძრული საკითხების ირგვლივ ლექციებს, მოხსენებებს აწყობენ. უკანასკნელ ხანებში ქარხანაში რამდენიმე ასეთი ლექცია მოეწყო. ლექციები ჩატარდა ამხანაგ სტალინის შემდეგ შრომებზე: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ და სხვ.

ფართო მუშაობა გაშალეს აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის კომუნისტებმა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გულმოდგინედ სწავლობს ამხანაგ სტალინის შრომებს. მშენებლობის პარტიული კომიტეტი ენერგიას არ იშურებს, რათა კონსულტაციების, თეორიული საუბრების, მოხსენებებისა და ლექციების სისტემატური მოწყობით გაუადვილოს მათ მუშაობა თავიანთი თეორიული მომზადების დონის ამაღლებისათვის. ნაყოფიერად მუშაობს ამხანაგ სტალინის თხზულებათა შესასწავლად ქარხნის მშენებლობის პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარი. რომელსაც მშენებლობის უფროსი ამხ. ს. ოდიშარია ხელმძღვანელობს.

ამხანაგ სტალინის თხზულებების შესწავლას ენერგიულად შეუდგა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომთან არსებული აქტივის სემინარი. სემინარში გაერთიანებული ბევრი კომუნისტი აღგენს კონსპექტს ამხანაგ სტალინის ცალკეული შრომების მიხედვით, გამოდის მოხსენებებით. უზიარებს თავის ცოდნას დანარჩენ ამხანაგებს. იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში კარგად ეხმარება კომუნისტებს რაიკომის პარტიული კაბინეტი.

კომუნისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად შეუდგნენ ამხანაგ სტალინის ნაწარმოებთა შესწავლას, სერიოზულ დახმარებას უწევს საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პარტიული კაბინეტიც. აქ კონსულტაციებისა და ამხანაგური რჩევა-დარიგებებისათვის მოდიან ქალაქის წარმოება-დაწესებულებების კომუნისტები. პარტიული კაბინეტის მუშაკები, კონსულტანტები მათ ენერგიულ დახმარებას უწევენ.

დიდი მონდომებით სწავლობენ ი. ბ. სტალინის თხზულებებს აგრეთვე თბილისის მაუდის ფაბრიკის, ბათუმის ლ. პ. ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნისა და სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის კომუნისტები. მათ სისტემატურ, ქმედითს დახმარებას უწევენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. ამის შედეგად განუხრელად იზრდება პარტიულ და საბეურნეო მუშაკთა თეორიული მომზადების დონე. მათ ეს ხელს უწყობს უფრო უკეთესად იმუშაონ და გადაჭარბებით შეასრულონ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები.

მაგრამ ყველა პარტიულ ორგანიზაციაზე როდი ითქმის ეს. ჯერ კიდევ არის ისეთი ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის დონის ამაღლებისათვის. ზოგან ფიქრობენ, რომ რაკი მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის ძირითადი მეთოდი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობაა, ეს ათავისუფლებს მათ კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის პასუხისმგებლობისაგან. ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ ერევა კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში. აქედან მომდინარეობს ხელმძღვანელობის, დახმარებისა და ყოველდღიური კონტროლის შესუსტება იმ ამხანაგებისადმი, რომლებიც დამოუკიდებლად მეცადინეობენ. ეს ნაკლი კვლავ განსაკუთრებით შესამჩნევია ბორჩალოს, ახალქალაქის, ყარაიის, ახმეტის რაიონების მთელ რიგ პარტორგანიზაციებში.

მარქსიზმ-ლენინიზმის დასაუფლებლად, ამხანაგ სტალინის თხზულებათა შესასწავლად სისტემატური მუშაობაა საჭირო. რაც ამ მხრივ გაკეთდა, ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. ერთი წუთითაც არ უნდა შეგვასუსტოთ მუშაობა ჩვენი კადრების თეორიული გამოწრთობისათვის. სააქისოდ უნდა ავამოქმედოთ პარტიული პროპაგანდის ყველა ნაცადი ხერხი: აქტივის სემინარი, ლექცია, კონსულტაცია, თეორიული საუბარი, პოლიტწრე, თეორიული კონფერენცია. პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტად უნდა გააძლიერონ დახმარება და ხელმძღვანელობა კომუნისტებისადმი, რომლებიც თავისი თეორიული განათლებისათვის მუშაობენ. ბოლო უნდა მოვუღოთ ზოგან ჯერ კიდევ არსებულ, ე. წ. ჩაურევლობის პოლიტიკას. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ თვითეული კომუნისტის იდეურ-პოლიტიკური ზრდისადმი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღების და სისტემატური კონტროლის გარეშე შეუძლებელია პარტიული პროპაგანდის სწორი ორგანიზაცია.

ახლა, როცა ჩვენს წინაშე მთელი სისრულით დგას კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის, მათი ბოლშევიკურად გამოწრთობის დიდი და საპატიო ამოცანა, როცა თვითონ ცხოვრება, ჩვენი დიადი საქმე მოითხოვს ყოველ მუშის, ყოველი კოლმეურნის, ინტელიგენტური შრომის ყოველი მუშაკის კულტურისა და შეგნებულობის დონის ამაღლებას, — განსაკუთრებით სერიოზული მოვალეობა ეკისრებათ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, თვითეული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს პარტიული პროპაგანდის დარგში. ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანები მტკიცედ მოითხოვენ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ ამაღლებას. თვითეული საბჭოთა მოქალაქის / კომუნისტური

იდეოლოგიის სულისკვეთებით აღზრდის საქმის გაუმჯობესებას. უცხო და მტრული იდეოლოგიის ნაშთებისა და გავლენის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გაჩაღებას. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ არ დარჩეს პარტიის არც ერთი წევრი, რომელიც სისტემატურად არ იმაღლებდეს თავის იდეურ-პოლიტიკურ ცოდნას.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. ჩვენ სოციალიზმის გზით სრული კომუნიზმისაკენ მივემართებით. სოციალიზმი ნიშნავს მშრომელთა ფართო მასების სულ უფროდაუფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, სამეურნეო საქმიანობაში. ამის მისაღწევად აუცილებელია მასების განათლების, შეგნებულობის დონის სისტემატური ამაღლება. მათ წინ უნდა მიუძღოდნენ თეორიულად გამოწრთობილი პარტიული და საბჭოთა კადრები. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი სტალინის სიტყვები: „აქ სიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტურია მუშაობის შედეგები".

ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ჩვენს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს აქვთ ლენინისა და სტალინის გენიალური ნაშრომები. ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის გამოსვლით პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიღეს იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ახალი, მძლავრი საშუალება. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა — დაეხმარონ ჩვენს კადრებს ბოლშევიზმის ამ უდიდესი თეორიული საგანძურის შესწავლაში და ამით კიდევ უფრო მძლავრად შეაიარაღონ ისინი ჩვენი დიადი საშობლოს შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცების საქმისათვის.

ი. მელქაძე. ი. კოდუა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მესამე ტომი

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მესამე ტომი აშუქებს ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდს. მესამე ტომი იხსნება სტატიით „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ". ამ სტატიაში ამხანაგ სტალინის მიერ მოცემულია, ერთი მხრივ, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარების ბრწყინვალე დახასიათება, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრულია ახალი ვითარების შესაბამისად პარტიის, პროლეტარიატისა და გლეხობის მორიგი ამოცანები. სტატიაში ნათქვამია:

„ძველი ხელისუფლების ძალები სუსტდებიან, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან მოსპობილნი. ისინი მხოლოდ მიიმალნენ და მარჯვე შემთხვევას ელიან, რომ თავი წამოჰყონ და თავისუფალ რუსეთს ეკვეთონ. მიმოიხედეთ და დაინახავთ, რომ შავი ძალების ბნელი მუშაობა განუწყვეტლივ სწარმოებს...

შეინარჩუნოს მოპოვებული უფლებები იმისათვის, რომ საბოლოოდ მოსპოს ძველი ძალები და პროვინციასთან ერთად წინ წასწიოს რუსეთის რევოლუცია, — აი რა უნდა იყოს დედაქალაქის პროლეტარიატის მორიგი ამოცანა". (ი. ბ. სტალინი. თხზულებები, ტ. III, გვ. 1).

ამხანაგი სტალინი ამბობდა: იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მოპოვებული უფლება, იმისათვის, რომ შემდგომ გავაფართოვოთ და განვაგითაროთ რევოლუცია, საჭიროა განვამტკიცოთ კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. რუსეთის რევოლუციის საბოლოო გამარჯვების თავდები სწორედ რევოლუციური მუშებისა და რევოლუციურ ჯარისკაცთა ფარაჯაში გადაცმული გლეხების კავშირის განმტკიცებაში მდგომარეობს.

რევოლუციის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების გზაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა რუსეთში დროებითი მთავრობა. დროებითი მთავრობა, რომელიც კაპიტალისტთა და მემამულეთა თვალსაჩინო წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა, ავრძელებდა იმპერიალისტურ ომს, უგულვებელჰყოფდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა სასიცოცხლო მოთხოვნებს და არ ფიქრობდა მიეცა ხალხისათვის არც ზავი, არც მიწა და არც პური. თავის სტატიებსა და შრომებში ამხანაგი სტალინი იცავდა დროებითი მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების პოლიტიკას, ააშკარავებდა დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ ბუნებას, სასტიკად ილაშქრებდა ობორონცოვის წინააღმდეგ და მხარს მოუწოდებდა აქტიური ბრძოლისაკენ ზავისათვის, ბრძოლისაკენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

აი რას ამბობდა ამხანაგი სტალინი დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ:

„ლაპარაკობენ დროებითი მთავრობისადმი ნდობაზე, ასეთი ნდობის აუცილებლობაზე. მაგრამ როგორ შეიძლება ენდობოდე მთავრობას, რომელიც

თვითონ არ ენდობა ხალხს ყველაზე მნიშვნელოვანსა და ძირითადში? ახლა ომია...

განა ცხადი არ არის, რომ დროებითი მთავრობა უმალავს ხალხს ომის ნამდვილ მიზნებს და, ამ მიზნებს რომ მალავს, არამც და არამც არ ენდობა ხალხს? როგორ შეუძლიათ მუშებსა და გლეხებს ენდობოდნენ დროებითს მთავრობას, რომელიც თვითონ არ ენდობა მათ ყველაზე მნიშვნელოვანსა და ძირითადში?" (ი. ბ. სტალინი. ტ. III, გვ. 39-40).

ამხედრებდა რა მასებს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ი. ბ. სტალინი თავის სტატიაში „ომის შესახებ" სწერდა: „ახლანდელი ომი არის იმპერიალისტური ომი...

მაგრამ იმპერიალისტებისათვის ნიღაბის ჩამოგლეჯა, მასის თვალში ახლანდელი ომის ნამდვილი სარჩულის გამოაშკარავება—სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ ნამდვილი ომი გამოუცხადო ომს, შეუძლებელი გახადო ახლანდელი ომი" (იქვე, გვ. 5, 8).

თავის შრომებში ამხანაგი სტალინი ააშკარავებდა არა მარტო დროებითი მთავრობის პოლიტიკის იმპერიალისტურ არსს, არამედ შემთანხმებლური პარტიების მოღალატურ პოლიტიკასაც და მასებს განუმარტავდა, რომ მათ თავიანთი საჭირბოროტო საკითხები გადაეჭრათ რევოლუციური გზით. ისინი არავითარ შემთხვევაში არ დალოდებოდნენ დამფუძნებელ კრებას, რომლის მოწვევას ყოველმხრივ აფერხებდა და აჭიანურებდა დროებითი მთავრობა. თავის სტატიაში „მიწა გლეხებს" ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა გლეხებს ხელში ჩაეგდოთ მემამულეთა მიწები გლეხთა რევოლუციური კომიტეტების საშუალებით.

„ჩვენ მოგიწოდებთ დაუყოვნებლივ გააკეთოთ ეს, არ დაელოდოთ დამფუძნებელ კრებას და ყურადღება არ მიაქციოთ მინისტრების რეაქციულ აჯრძალვებს, რომლებიც განზრახ აფერხებენ რევოლუციას.

ჩვენ გვეუბნებიან, მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ ხელში ჩაგდება რევოლუციის „ერთიანობას" ძირს გამოუთხრის, მას საზოგადოების „პროგრესულ ფენებს" ჩამოაშორებსო.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ შეიძლება წინ წასწიო რევოლუცია, თუ მეფაბრიკეებსა და მემამულეებს არ წაეკიდე.

განა მუშებმა, 8 საათის სამუშაო დღე რომ შემოიღეს, არ „ჩამოაშორეს" რევოლუციას მეფაბრიკენი და მათი ამყოლ-დამყოლნი? ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ რევოლუციამ წააგო, მუშებს მდგომარეობა რომ შეუმსუბუქა, სამუშაო დღე რომ შეამცირა?

გლეხების მიერ მემამულეთა მიწების თავისი ნებით დამუშავება და ამ მიწების ხელში ჩაგდება—უეჭველია — „ჩამოაშორებს" რევოლუციას მემამულეებსა და მათს ამყოლ-დამყოლებს. მაგრამ ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ რევოლუციის გარშემო მრავალმილიონიანი ღარიბი გლეხობის დარაზმვით ჩვენ რევოლუციის ძალებს ვასუსტებთ?..

ლოდინისა და დამფუძნებელ კრებამდე გადადების პოლიტიკა, კონფისკაციაზე „დროებით" ხელის აღების პოლიტიკა, რომელსაც ნაროდნიკები, ტრუდოვიკები და მენშევიკები გვირჩევენ, კლასთა შორის გაძრომ-გამოძრომისა (როგორმე არავის აწყენინო!) და ერთი ადგილის სამარცხვინოდ

ტკეცნის პოლიტიკა რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკა არ არის“ (იქვე, გვ. 35-36).

ამრიგად, ამხანაგი სტალინი მასებს რაზმავდა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ რევოლუციის პირველ ეტაპზე ამხანაგი სტალინი არ მოითხოვდა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობას, რადგან დროებითი მთავრობა ზურგგამაგრებული იყო საბჭოების მხარისდაჭერით, სადაც უმრავლესობას შეადგენდნენ შემთანხმებლური პარტიები — ესერები და მენშევიკები.

ი. ბ. სტალინი თავის შრომებში სრული თანმიმდევრობით იცავდა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებს, სადაც მოცემულია პარტიის ახალი ორიენტირება. აპრილის თეზისებში ვ. ი. ლენინმა პარტიას და პროლეტარიატს მისცა ნათელი რევოლუციური ხაზი და გენიალური გეგმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურზე გადასვლის შესახებ. „არავითარი მხარდაჭერა დროებითს მთავრობას. მთელი ძალაუფლება მუშათა, ბატრაკთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს“—ასეთი იყო ის ლოზუნგები, რომლებიც ლენინმა მოგვცა აპრილის თეზისებში.

1917 წლის 18 აპრილს (1 მაისს) ვასილიევის კუნძულზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის ლენინურ იდეას და განმარტავდა, თუ რატომ არ შეუძლიათ მუშებსა და გლეხებს ენდონ დროებითს მთავრობას და მხარი დაუჭირონ მას.

„მაგრამ როგორ შეიძლება გაჩაღებული რევოლუციის დროს მხარს უჭერდე მთავრობას, რომელიც ფეხებში გედება და უკან ეწევა რევოლუციას?“ (იქვე, გვ. 40).

ამხანაგი სტალინი ურჩევდა ხალხს, რომ უმჯობესია უნდობლობა გამოვუცხადოთ მთავრობას, რომელიც აფერხებს რევოლუციის განვითარების საქმეს, და გადამჭრელი ზომები მივიღოთ რევოლუციის წინ წასაწევად და მის სრულ გამარჯვებამდე მისაყვანად. შემთანხმებლური პარტიები—ესერები და მენშევიკები წინააღმდეგი იყვნენ იმის, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციაში. ისინი ავრცელებდნენ ხმებს: თუ რევოლუცია წინ წავწიეთ, თუ დროებით მთავრობას უნდობლობა გამოვუცხადეთ, რევოლუციას საზოგადოების „პროგრესული ფენები“ ჩამოშორდებიან და რევოლუცია უსათუოდ დამარცხდებაო. „პროგრესიულ ფენებში“ ისინი გულისხმობდნენ კაპიტალისტებსა და მეშამფულეებს.

მენშევიკებისა და ესერების ოპორტუნისტული მტკიცების წინააღმდეგ ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„რევოლუციას არ შეუძლია ყველა და ყოველივე დააკმაყოფილოს. იგი ყოველთვის ერთის მხრივ მშრომელ მასებს აკმაყოფილებს, ხოლო მეორე მხრივ სცემს ამ მასების ფარულ და აშკარა მტრებს.

ამიტომ აქ საჭიროა არჩევანი: ან მუშებთან და ღარიბ გლეხობასთან ერთად რევოლუციის **მხარეზე** ან კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ერთად რევოლუციის **წინააღმდეგ**“ (იქვე, გვ. 42).

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის ლენინურ-სტალინური ხაზი მოიწონა აპრილის კონფერენციამ. რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის ლენინური თეორიის წინააღმდეგ კონფერენციაზე გამოვიდნენ კამენევი, ზინოვიევი, რიკოვი და სხვები, რომლებიც ამტკიცებდნენ, ვითომ რუსეთი არ მომწიფებულა სოციალისტური რევოლუციისათვის, ვითომ რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკა და სხვა. ისინი პარტიასა და მუშათა კლასს ურჩევდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ იმით, რომ „კონტროლი გაეწიათ“ დროებითი მთავრობისათვის. მათი პოზიცია არაფრით არ განსხვავდებოდა მენშევიკური პოზიციისაგან, რომელიც ბურჟუაზიული ხელისუფლების შენარჩუნებას იცავდა.

აპრილის კონფერენციაზე ამხანაგი სტალინი მტკიცედ იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ლენინურ თეორიას და სოციალისტური რევოლუციის მოღალატეებისა და გამცემლების — კამენევის, რიკოვისა და ზინოვიევის წინააღმდეგ ასაბუთებდა „კონტროლის“ მოჩვენებითის ხასიათს.

„კონტროლი გულისხმობს კონტროლის გამწევსა და კონტროლის გასაწევს და კონტროლის გამწევის ერთგვარ შეთანხმებას კონტროლის გასაწევთან. იყო კონტროლი, იყო შეთანხმება. რა მოგვცა კონტროლმა? არაფერი. მილიუკოვის გამოსვლის შემდეგ (19 აპრილს) განსაკუთრებით აშკარაა მისი მოჩვენებითი ხასიათი“. (იქვე, გვ. 48).

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრას. ნაციონალურ საკითხზე ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის საფუძვლები შეიმუშავეს ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა.

ბოლშევიკური პარტია იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე. ამ თვალსაზრისს იცავდა ბოლშევიკთა VII აპრილის კონფერენციაზე ცენტრალური კომიტეტის მომხსენებელი ამხანაგი სტალინი.

ჰქონდა რა აღებული სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გეზი, ამხანაგი სტალინი აპრილის კონფერენციაზე აღნიშნავდა:

„ჩვენ ვამბობთ: სოციალ-დემოკრატია, რამდენადაც იგი სოციალისტური რევოლუციის გეზს ადგას, მხარს უნდა უჭერდეს ხალხთა რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 56).

აპრილის კონფერენციაზე ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის, ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ პიატაკოვი, ბუხარინი და სხვები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ყოველგვარი ნაციონალური მოძრაობა რეაქციული მოძრაობაა. კონფერენციაზე ამხანაგი სტალინი ააშკარავებდა ამგვარ ოპორტუნისტულ პოზიციას და ამბობდა: ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველგვარ მოძრაობას, მიმართულს იმპერიალიზმის წინააღმდეგ. პიატაკოვი ლაპარაკობს, რომ ყოველგვარი ნაციონალური მოძრაობა არის რეაქციული მოძრაობაო. „ეს არ არის მართალი ამხანაგებო. განა ირლანდიის მოძრაობა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ არ არის დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც ლახ-

ვარს სცემს იმპერიალიზმს? და განა ამ მოძრაობას ჩვენ მხარს არ უნდა ვუჭერდეთ?...“ (ი. ბ. სტალინი, ტ. III, გვ. 57).

იცავდა რა ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეას ნაციონალურ საკითხში, ამხანაგი სტალინი კონფერენციაზე განმარტავდა, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლება თვით გამოყოფამდე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავურიოთ ერთა აუცილებელი გამოყოფის საკითხთან.

ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„შეუწყნარებელია ერთა თავისუფალი გამოყოფის **უფლების** საკითხი ავრიოთ ამათუიმ მომენტში ერის გამოყოფის **სავალდებულობის** საკითხთან. ეს საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადასწყვიტოს, ვითარების მიხედვით“ (იქვე, გვ. 52).

ბოლშევიკური პარტიის თვალსაზრისი ნაციონალურ საკითხში ამხანაგმა სტალინმა აპრილის კონფერენციაზე შემდეგ დებულებებში ჩამოაყალიბა:

„ა) აღიარება ხალხთა გამოყოფის უფლებისა;

ბ) იმ ხალხებისათვის, რომლებიც მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში რჩებიან, — საოლქო ავტონომია;

გ) ეროვნულ უმცირესობათათვის, — განსაკუთრებული კანონები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მათს თავისუფალ განვითარებას;

დ) მოცემული სახელმწიფოს ყველა ეროვნების პროლეტარებისათვის— ერთიანი განუყოფელი პროლეტარული კოლექტივი, ერთიანი პარტია“ (ი. ბ. სტალინი, ტ. III, გვ. 55).

აპრილის კონფერენციამ დაგმო კამენევის, რიკოვის, პიატაკოვის და მათ მცირერიცხოვან თანამოაზრეთა ანტილენინური ოპორტუნისტული ხაზი და აიღო კურსი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიამ გააჩაღა მუშაობა მასების მოზიდვისა და მათი საბრძოლო აღზრდის დარგში. ბოლშევიკების პარტია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ახდენდა შემთანხმებლური პარტიების — ესერებისა და მენშევიკების იზოლირებას მასებისაგან. ბოლშევიკები მიისწრაფოდნენ უმრავლესობის დაპყრობისაკენ საბჭოებში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმისათვის საჭირო იყო, რომ მშრომელთა ფართო მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ ბოლშევიკების შეხედულებათა სისწორეში და გაჰყოლოდნენ მათ. მოვლენათა მსვლელობა და დროებითი მთავრობის მოქმედება დღითი-დღე ადასტურებდა ბოლშევიკების შეხედულებათა სისწორეს. მასები სულ უფროდაუფრო შორდებოდნენ შემთანხმებლურ პარტიებს, უნდობლობის თვალით უყურებდნენ დროებით მთავრობას და გადადიოდნენ ბოლშევიკების მხარეზე.

მასების ბოლშევიზაციის პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა იულისის ამბებმა.

დროებითი მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკით უკმაყოფილო მასების სტიქიურმა დემონსტრაციებმა იფეთქა პეტროგრადში 1917 წლის 3 ივლისს. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ძალაუფლების გადაცემას საბჭოების ხელში. ცალკეული დემონსტრაციები გადაიჭრნენ შეიარაღებულ

დემონსტრაციებად. ბოლშევიკური პარტია ნაადრევად სთვლიდა დემონსტრაციებს, მაგრამ, რადგან მან ვერ შეასძლო მასების შეკავება, მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში იმ ვარაუდით, რომ მისთვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცა. ასეც მოხდა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დემონსტრანტები გაემართნენ პეტროგრადის საბჭოსა და საბჭოების სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაკენ და საბჭოებისაგან მოითხოვეს ძალაუფლების ხელში აღება. ესერებმა და მენშევიკებმა, რომლებიც ჯერ კიდევ უმრავლესობას წარმოადგენდნენ საბჭოებში, უარი თქვეს ძალაუფლების აღებაზე. ისინი გვერდში ამოუდგნენ დროებითს მთავრობას და სისხლის მორევში ჩაახშვეს მშვიდობიანი დემონსტრაცია. პეტროგრადის ქუჩები მოირწყო უიარაღო მუშებისა და ჯარისკაცების სისხლით. დარბეულ იქნა გაზ. „პრავდა“ და „სოლდატსკაია პრავდა“; დარბეულ იქნა აგრეთვე სტამბა „ტრუდი“, სადაც ბოლშევიკური გამოცემები იბეჭდებოდა. გამოიცა ბრძანება ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ. ამრიგად, დროებითი მთავრობა, ესერებისა და მენშევიკების ხელისშეწყობით, მასების რევოლუციურ ბრძოლის წინააღმდეგ ფარული ბრძოლის პოლიტიკიდან გადავიდა აშკარა შეტევაზე, მუშებთან, გლეხებთან და ჯარისკაცებთან იარაღით ანგარიშის გასწორების პოლიტიკაზე. ივლისის ამბებთან დაკავშირებით ამხანაგი სტალინი თავის სტატიაში „შეამჩნიდროვეთ რიგები“ სწერდა:

„პროცერთ პარტიას—მათ შორის არც ბოლშევიკებს—3 ივლისის გამოსვლისაკენ არ მოუწოდებია. უფრო მეტიც. პეტროგრადში ყველაზე გაელენიანი ბოლშევიკთა პარტია ჯერ კიდევ 3 ივლისს თავშეკავებისაკენ მოუწოდებდა მუშებსა და ჯარისკაცებს. ხოლო როცა მოძრაობა მაინც გაჩაღდა, ჩვენმა პარტიამ, რომელმაც თავს უფლება არ მისცა ხელი დაებანა, ყოველივე შესაძლებელი გააკეთა, რომ მოძრაობისათვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცა“ (იქვე, გვ. 104).

4 ივლისს ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ბოლშევიკებმა მიიღეს მონაწილეობა მუშათა და ჯარისკაცთა სტიქიურ დემონსტრაციაში და მოახერხეს 400.000 ჯარისკაცისა და მუშის მიმხრობა. მენშევიკებმა და ესერებმა, როგორც კი დაინახეს, რომ 400.000 ჯარისკაცი და მუშა ბოლშევიკებს მიყვება და დემონსტრაცია მშვიდობიან ხასიათს იღებს, დემონსტრაცია საბჭოების წინააღმდეგ მიმართულ გალაშქრებად გამოაცხადეს და დროებითს მთავრობასთან ერთად დემონსტრანტების დასარბევად კაზაკები და იუნკრები გამოიყვანეს.

5 ივლისს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ესერებისა და მენშევიკების მეთაურობით წინადადება მისცა ბოლშევიკებს, რომ მათ ჯავშნიანი ავტომობილები მოეხსნათ კშესინსკის სასახლიდან, ხოლო პეტრე პავლეს ციხე-სიმაგრიდან გაეყვანათ მატროსები და გაეშვათ ისინი კრონშტადტში. მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აშორების მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგი სტალინი გაგზავნა პეტრე პავლეს ციხე-სიმაგრეში მყოფ მატროსებთან მოსალაპარაკებლად. მატროსებმა ამხანაგ სტალინის ბრძანული დარიგება მიიღეს და არ ჩაებნენ ბრძოლაში.

ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენი ამოცანაა შემოვიკრიბოთ ძალები, განვამტკიცოთ არსებული ორგანიზაციები და თავი შევაკავებინოთ მჭსას ნაადრევი გამოსვლებისაგან. კონტრრევოლუციისათვის ახლა ხელსაყრელია ბრძოლაში გამოგვიწვიოს, მაგრამ ჩვენ ახლა პროვოკაციას არ უნდა ავყვეთ, რევოლუციური სიდინჯის მაქსიმუმი უნდა გამოვიჩინოთ. ეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო ტაქტიკური ხაზია“ (იქვე, გვ. 113).

ივლისის ამბებამდე ბოლშევიკები შესაძლებლად თვლიდნენ რევოლუციის მშვიდობიანი გზით განვითარებას და მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების გადასვლას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში. ბოლშევიკები ფიქრობდნენ ახსნა-განმარტებითი მუშაობის გზით უმრავლესობას მოიპოვებდნენ საბჭოებში, შეცვლიდნენ საბჭოების პოლიტიკას, ხოლო საბჭოების საშუალებით შეცვლიდნენ მთავრობის შემადგენლობას და პოლიტიკას. მაგრამ ივლისის ამბების შემდეგ ვითარება შეიცვალა; მოისპო ორძალაუფლებიანობა, მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო დროებითმა მთავრობამ, რომლის უბრალო დამატებად გადაიქცა საბჭოები, სადაც უმრავლესობას ესერები და მენშევიკები შეადგენდნენ.

ი. ბ. სტალინი ახალი ვითარების შესაბამისად ახლებურად აყენებდა საკითხს ივლისის ამბების შემდეგ:

„რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა. დადგა ახალი პერიოდი, მწვავე კონფლიქტების, შეტაკებების, შეჯახებების პერიოდი. ცხოვრება იბობოქრებს, კრიზისს კრიზისი მოჰყვება. ჯარისკაცები და მუშები მდუმარედ როდი იქნებიან. „ოკოპნაია პრავდის“ დახურვის წინაალმდეგაც კი 20 პოლკმა განაცხადა პროტესტი. მთავრობაში ახალი მინისტრები რომ შეჰყარეს, ამით კრიზისი როდი მოუგვარებიათ. მუშათა კლასი სრულიად დაცლილი არ არის. მუშათა კლასი უფრო კეთილშობილური აღმოჩნდა. ვიდრე მის შესახებ მოწინააღმდეგენი ფიქრობდნენ: როცა შეიტყო, რომ საბჭოებმა უღალატეს, იგი 4 და 5 ივლისს ბრძოლაში არ ჩაება“. (იქვე. გვ. 120).

1917 წლის 16 ივლისს პეტროგრადის ორგანიზაციის კონფერენციაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზა დამთავრდა, მოძრაობა უკვე დაადგა სოციალისტური რევოლუციის გზას. ამიტომ ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ მოცემული მომენტისათვის მოძველდაო. ამზადებდა რა მასებს სოციალისტური რევოლუციისათვის, ამხანაგი სტალინი გენიალურად წინასწარმეტყველებდა:

„კიდევ იქნება ბრძოლები!

კიდევ იქნება გამარჯვებანი!

მთელი საქმე ის არის, რომ ღირსეულად და ორგანიზებულად შეკხედეთ მოსალ ბრძოლებს.

მუშებო! თქვენ წილად ხვდათ რუსეთის რევოლუციის ბელადთა საპატიო როლი. დარაზმეთ მასები თქვენს გარშემო და შეჰკრიბეთ ისინი ჩვენი პარტიის დროშის ქვეშ. გახსოვდეთ, რომ ივლისის დღეების მძიმე წუთებში, როცა ხალხის მტრები რევოლუციას ტყვიას უშენდნენ, ბოლშევიკების პარ-

ტია ერთადერთი იყო, რომელსაც მუშათა უბნები არ მოუტოვებია. გახსოვდეთ, რომ იმ მძიმე დღეებში მუნშეევიკები და ესერები იმათ ბანაკში იყვნენ, ვინც მუშებს ანადგურებდა და იარაღს ჰყრიდა მათ.

ჩვენს დროშასთან ამხანაგებო!

გლეხებო!... მუშები—აი თქვენი ერთადერთი ერთგული მოკავშირენი. მხოლოდ მათთან კავშირში მოიპოვებთ მიწასა და თავისუფლებას. მაშ დაირაზმეთ მუშების გარშემო!

ჯარისკაცებო! რევოლუციის ძალა ხალხისა და ჯარისკაცთა კავშირშია. მინისტრები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება. მაშ მუდამ იყავით ხალხთან და იბრძოლეთ მის რიგებში!

ძირს კონტრრევოლუცია!

გაუმარჯოს რევოლუციას!“

ამრიგად, 1917 წლის მაისი-ივლისი მასების რევოლუციური მობილიზაციის პერიოდი იყო. ამ პერიოდის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, კრიზისის გამწვავება და დარღვევა იმ მერყეევი წონასწორობისა საბჭოებსა და დროებით მთავრობას შორის, რომელიც—ცუდად თუ კარგად—წინა პერიოდში არსებობდა. ივლისის ამბების შემდეგ ორხელისუფლებიანობა ორივე მხარისათვის აუტანელი შეიქნა.

ასეთ ისტორიულ ვითარებაში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობა, რომელიც ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მომზადების ყრილობას წარმოადგენდა. VI ყრილობამ პარტიას მისცა გეზი შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ყრილობის ძირითადი საკითხი იყო ამხანაგ სტალინის ორი მოხსენება: ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებებში ამხანაგ სტალინის მიერ დასმულ საკითხებს უდიდესი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მუშაობის შესახებ თავის მოხსენების დასაწყისში ამხანაგმა სტალინმა ყრილობის ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დღის წესრიგში სოციალისტური რევოლუცია დადგა. რევოლუცია, ამბობდა სტალინი, იზრდება და ვითარდება, რევოლუცია აყენებს წარმოების კონტროლის სახით ეკონომიურ ურთიერთობის სფეროში ჩარევის, გლეხობის ხელში მიწების გადაცემის და ბურჟუაზიის ხელიდან მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის ხელში ძალაუფლების გადაცემის საკითხს. „რომ რევოლუცია თავისი ხასიათით სოციალისტური ხდება“.

ამხანაგმა სტალინმა VI ყრილობაზე გარკვევით დააყენა საკითხი სოციალისტური რევოლუციის შესახებ და თეორიულად დაასაბუთა პარტიის კურსი სოციალისტური რევოლუციისაკენ. ამხანაგ სტალინს ყრილობაზე მოუხდა დიდი ბრძოლის ჩატარება რიკოვის, ბუხარინის, კამენევის, პრეობ-

რაკენსკის და პარტიის სხვა მტრების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ პროლეტარული რევოლუციის შესაძლებლობას რუსეთში. მათი აზრით რუსეთში სოციალისტური რევოლუციის საკითხის დაყენება წმინდა უტოპია იყო: თუ საერთოდ პროლეტარული რევოლუცია დაიწყება, იგი უნდა დაიწყოს დასავლეთში და არა ჩვენში—რუსეთშიო, ამტკიცებდნენ ისინი.

ამხანაგი სტალინი ამხელდა ბოლშევიზმის მტრებს და ანვითარებდა ლენინურ თეორიას ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ლენინური თეორია ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, თეორია, რომელსაც იცავდა და ანვითარებდა ამხანაგი სტალინი პარტიის VI ყრილობაზე, მიღებულ იქნა მთელი პარტიის მიერ. ტროცკისტი პრეობრაჟენსკი წინადადებას იძლეოდა—ყრილობის რეზოლუციაში შესწორების სახით დაემატებინათ, რომ ძალაუფლების აღება ხელში და მისი წარმართვა საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნისაკენ შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ დასავლეთში პროლეტარული რევოლუცია მოხდებაო. ამხანაგმა სტალინმა კატეგორიულად უარჰყო ეს მენშევიკურ-ტროცკისტული წინადადება. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ საბჭოლდობრ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... საჭიროა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატიური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგევარ უკანასკნელის ნიადაგზე“ (გვ. 186-187).

აქვე ამხანაგი სტალინი მიუთითებს რუსეთის პროლეტარიატის უდიდეს სოციალისტურად ორგანიზებულობაზე და რუსეთის ბურჟუაზიის სისუსტეზე და ნაცლებორგანიზებულობაზე ვიდრე დასავლეთისა.

ამრიგად, ამხანაგი სტალინი მთელი გარკვეულობით აყენებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ რევოლუციონერი არ არის ის, ვინც შუა გზაზე შეჩერებას ფიქრობს და არ აყენებს ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება-განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანას.

სავსებით ცხადია, რომ ამ საკითხში ლენინისა და სტალინის გენიალურმა წინასწარხედვამ პარტიას საშუალება მისცა სოციალისტური რევოლუციის გზაზე დამდგარიყო და მტკიცე კურსი აეღო მის განსახორციელებლად.

მოხსენებაში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ პარტიის ტაქტიკა იულიის ამბების შემდეგ შექმნილ ვითარებაში შეცვლას მოითხოვდა. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც მენშევიკებისა და ესერების გამცემლური პოლიტიკის შედეგად საბჭოებმა

ძალა დაჰკარგეს და ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის უბრალო დანამატად გადაიქცნენ; შეუძლებელი გახდა ძალაუფლების გადაცემა არსებული საბჭოებისათვის, რომლებიც კონტრრევოლუციის გზას დაადგნენ.

ცხადია, რომ პარტიას არ შეეძლო უწრინდებურად წამოეყენებინა ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. ეს ლოზუნგი დროებით მოიხსნა. ლოზუნგის—„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“—მოხსნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ზოგიერთი დელეგატები. მათ არ ესმოდათ ახალი ვითარება, რომელშიც სწარმოებდა ბრძოლა. ამხანაგი სტალინი მიუთითებდა ამ ლოზუნგის დროებით მოხსნის აუცილებლობაზე შექმნილ ვითარებაში და განმარტავდა, რომ ამ ლოზუნგის დროებით მოხსნა როდი ნიშნავდა ხელის აღებას საბჭოების ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე. ახლა მხოლოდ გამორიცხული შეიქმნა ძალაუფლების აღება მშვიდობიანი გზით და აუცილებელი გახდა ბურჟუაზიული დიქტატურის დამხობა შეიარაღებული აჯანყების საშუალებით. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში, იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლოზუნგი, რომელიც შესაძლებელი იყო აპრილში, მაისში, ივნისში—ივლისამდე, ე. ი. ძალაუფლების ფაქტიურად სამხედრო დიქტატურის ხელში გადასვლამდე. ეხლა კი ეს ლოზუნგი სწორი არ არის, რადგან იგი არ გამოხატავს არსებულ მდგომარეობას, რადგან მოცემულ საბჭოებს შეუძლიათ გამოვიდნენ მხოლოდ დროებითი მთავრობის ხელშემწყობთა როლში. ამიტომ, აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, ჩვენ ვლაპარაკობთ არა საბჭოებზე საერთოდ, არამედ მოცემულ საბჭოებზე, რომლებსაც მენშევიკები და ესერები ხელმძღვანელობენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამხანაგ სტალინის პასუხი შეკითხვებზე, კერძოდ კი შეკითხვაზე ახალი ხელისუფლების ფორმის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების ფორმის საკითხმა არ უნდა დაჩრდილოს ძირითადი საკითხი. ეს ძირითადი საკითხი იყო. ხა კითხი იმის შესახებ, თუ რომელი კლასის ხელში უნდა გადასულიყო ძალაუფლება? სოციალისტური რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს შეადგენენ პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა. მაშასადამე, მათ უნდა ეყოთ ხელში ძალაუფლება. „ნამდვილად გადამწყვეტია საკითხი. მომწიფდა თუ არა მუშათა კლასი დიქტატურისათვის, ყოველივე დანარჩენი კი შესაძენია, რევოლუციის შემოქმედებით შეიქმნება“. (ტ. III, გვ. 179).

ამასთან ერთად ამხანაგი სტალინი ააშკარავებს ბუხარინის ანტირევოლუციურ პოზიციას გლეხობის საკითხში. ბუხარინი უარყოფდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობას და ამიტომ იგი გამოდიოდა იმის წინააღმდეგ, რომ პროლეტარიატი სოფლის ღარიბი გლეხობის ხელმძღვანელი ყოფილიყო.

ამხანაგმა სტალინმა ამხილა ბუხარინის კონტრრევოლუციური შეხედულებები, გვიჩვენა, რომ ბურჟუა-იმპერიალისტებმა შეკრეს ბლოკი კულაკებთან, ხოლო ღარიბი გლეხობა, როგორც მოკავშირე პროლეტარიატის, იბრძოდა პროლეტარიატის მეთაურობით სოციალისტური რევოლუციისათვის.

ლენინთან ერთად, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა პარტიის ბრძოლას ახალი რევო-

ლუციური ალმავლობისათვის და ეს ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ წარმართა.

რუსეთის ბურჟუაზია და მემამულეები აწყობდნენ ძალთა მობილიზაციას. დროებითმა მთავრობამ მოსკოვში მოიწვია „უბრალო თათბირის“ ნაცვლად სახელმწიფო თათბირი, სადაც წარმოდგენილი იყვნენ ბურჟუაზიის, მემამულეების, გენერალიტეტის, ოფიცრობის და ყაზახობის წარმომადგენლები, აგრეთვე საბჭოები მენშევიკებით და ესერებით. ეს იყო კონტრრევოლუციის ძალთა გაერთიანება, რომელიც „რკინითა და სისხლით“ ჩახშობას უქადდა რევოლუციური მოძრაობის ყოველგვარ ცდას.

ამხანაგმა სტალინმა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დასწერა სპეციალური წერილი, სადაც მხილებულია ამ სახელმწიფო თათბირის კონტრრევოლუციური ბუნება. სტალინი მოუწოდებდა მასებს მოეწყოთ მასობრივი საპროტესტო მიტინგები თათბირის წინააღმდეგ. ამ მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მასებში. თათბირის გახსნის დღეს მოსკოვის მუშებმა საპროტესტო გაფიცვა მოაწყეს. აფასებდა რა მუშათა ამ გაფიცვებს როგორც სახელმწიფო თათბირისადმი პროტესტის ნიშანს, ამხანაგი სტალინი სწერდა: „დაე გაიგოს მთელმა რუსეთმა, რომ ჯერ კიდევ არიან ქვეყნად ადამიანები, რომლებიც მზად არიან მკერდით დაიცვან რევოლუციის საქმე.

მოსკოვი გაფიცულია, გაუმარჯოს მოსკოვს!“ (გვ. 205).

მოსკოვის „უბრალო თათბირი“ დამთავრდა. მისი შედეგი იყო იმპერიალისტური ბურჟუაზიის შეერთება სრულიად რუსეთის მასშტაბით, საბჭოების გასანადგურებლად და აშკარა კონტრრევოლუციური დიქტატურის დასამყარებლად.

სტატიაში „ჩვენ მოვითხოვთ“, რომელიც გამოქვეყნდა 1917 წლის 28 აგვისტოს გაზ. „რაბოჩში“ ამხანაგი სტალინი, აყენებს რა პარტიის კონკრეტულ საბრძოლო ამოცანებს, სწერს, რომ ერთადერთი გამოსავალი, რომელსაც შეუძლია იხსნას ქვეყანა და რევოლუცია დალუპვისაგან, არის „ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის სრული ლიკვიდაცია“.

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინმა 30 აგვისტოს დასწერა კონსპირაციული წერილი რსდმპ ც. კ. სახელზე პარტიის ტაქტიკის შესახებ, კორნილოვის შეთქმულებასთან დაკავშირებით. წერილის გაგზავნის მომენტში ლენინმა მიიღო გაზეთ „რაბოჩის“ ნომრები ამხანაგი სტალინის სტატიებით. გაეცნო რა მის შინაარსს, ლენინმა თავის წერილს ასეთი წარწერა გაუკეთა: „ამის დაწერის შემდეგ წავიკითხე „რაბოჩის“ ექვსი ნომერი, და უნდა ვთქვა, რომ ჩვენი აზრები საოცებით დაემთხვა ერთმანეთს. სულითა და გულით მივესალმები საუცხოო მოწინავე სტატიებს...“ (თხზ. ტ. XXI, გვ. 120).

მუშებმა და ჯარისკაცებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს კორნილოვის შეთქმულება.

კორნილოვშჩინის დამარცხების შემდეგ გამოცოცხლდნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები; ისინი შემობრუნდნენ ბოლშევიკებისაკენ. ბოლშევიკების პარტია კი გაიზარდა რევოლუციის გადამწყვეტ ძალად, რომელიც ამსხვრევდა კონტრრევოლუციის ყოველგვარ ხრიკებს. ღარიბი გლეხობის ფართო მასები უფროდაუფრო მჭიდროდ ირაზმებოდნენ ბოლშევიკების ირგვლივ, ხოლო საშუალო გლეხობამ, რომელიც მანამდე

მერყეობდა, კორნილოვშჩინის დამარცხების შემდეგ, აშკარად იწყო ბოლშევიკების პარტიისაკენ მობრუნება და ღარიბ გლეხობასთან დაკავშირება. პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოების ძველი მენშევიკურ-ესერული პრეზიდიუმი გადადგა. დაიწყო საბჭოების ბოლშევიზაციის ხანა და კვლავ ღლის წერილში დაისვა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. ამ საკითხს ამხანაგმა სტალინმა მიუძღვნა თავისი ცნობილი სტატია—„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. „რევოლუცია მოდის, — სწერდა ამხანაგი სტალინი. — ივლისის დღეების ქარცეცხლში გამოვლილი და მოსკოვის თათბირზე „დამარხული“, იგი კვლავ სწევს თავს, ამსხვრევს ძველ დაბრკოლებებს, ჰქმნის ახალ ხელისუფლებას... ბრძოლის ცეცხლში ცოცხლდებიან თითქმის მკვდარი საბჭოები. ისინი „კვლავ დგებიან საჭესთან და წინ მიუძღვიან რევოლუციურ მასებს“ (ტვ. 297).

ლენინი მოითხოვდა პარტიის ყოველმხრივ მომზადებას შეიარაღებული აჯანყებისათვის. უკვე სექტემბრის შუა რიცხვებიდან ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა დაერაზმა პარტია აჯანყების წარმატებითი ორგანიზაციისათვის. ლენინი ასწავლიდა პარტიას, რომ შეიარაღებული აჯანყება არის განსაკუთრებული ფორმა პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც ექვემდებარება განსაკუთრებულ კანონებს და ამიტომ საჭიროა მისი სერიოზული მომზადებაო.

ამხანაგ სტალინის სტატიები (დაწყებული სექტემბრის შუა რიცხვებიდან და გათავებული 24 ოქტომბრით) გამსჭვალულია ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოების ძალაუფლების დაპყრობისაკენ მიმართული მოწოდებით.

ამ პერიოდში მენშევიკები და ესერები ცდილობდნენ შეენელებინათ მასების მზარდი რევოლუციური აღმავლობა. ბურჟუაზიული კონტრრევოლუცია და სოციალ-გამცემლები ათასგვარ ხრიკებს მიმართავდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ მოახლოებული რევოლუცია და ქვეყანა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გზაზე დაეყენებინათ. კორნილოვის გენერლები რევოლუციის წინააღმდეგ ახალ შეთქმულებას ამზადებდნენ.

სწორედ ასეთ პირობებში ამხანაგი ატალინი აშხელს კორნილოვის მეორე შეთქმულებას და ააშკარავებს მტრის ფარულ ზრახვებს. წინაპარლამენტს ამხანაგი სტალინი „კორნილოვშჩინის ნაბუშარს“ უწოდებდა და თავის სტატიაში „რევოლუციის შტრეიკბეხერები“ სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მენშევიკებსა და ესერებს, ააშკარავებდა მათ მუხანათურ მოქმედებას, რომელიც მიმართული იყო საბჭოების მუშაობის ჩაშლისაკენ.

1917 წლის 28 (15) სექტემბერს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ლენინისა და სტალინის პოზიციის წინააღმდეგ გაილაშქრეს მოღალატეებმა —ზინოვიევმა, კამენევმა და რიკოვმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცენტრალური კომიტეტის წევრების უმრავლესობა ლენინისა და სტალინის იდეურ დაირაზმა. მიღებულ იქნა დადგენილება უახლოეს დროში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომის მოწვევის შესახებ ტაქტიკური საკითხების განსახილველად. 10 (23) ოქტომბერს შესდგა პარტიის ც. კ-ის ისტორიული სხდომა. ცენტრალურმა კომიტეტმა შეიარაღებული აჯანყება გარდუვალად და საჭიროებით მომწიფებულად აღიარა და წინადადება მისცა ყველა

პარტიულ ორგანიზაციას ეხელმძღვანელათ ამ დადგენილებით და ამ თვალსაზრისით განეხილათ ყველა პრაქტიკული საკითხები.

29 (16) ოქტომბერს შესდგა პარტიის ც. კ-ის გაფართოებული სხდომა, სადაც დადასტურებულ იქნა ც. კ-ის 10 ოქტომბრის დადგენილება, რომელიც მოუწოდებდა ყველა ორგანიზაციას, ყველა მუშას და ჯარისკაცს შეიარაღებული აჯანყების ყოველმხრივი და გაძლიერებული მომზადებისათვის.

სხდომაზე კაპიტულანტებმა ზინოვიევმა და კამენევმა კვლავ გაილაშქრეს აჯანყების წინააღმდეგ. აჯანყების საკითხში ლენინის თვალსაზრისის დასაცავად გამოდის ამხანაგი სტალინი. გასცა რა გამანადგურებელი პასუხი კაპიტულანტებს ამხანაგმა სტალინმა თავის გამოსვლებში აღნიშნა: „ის, რასაც კამენევი და ზინოვიევი გვთავაზობენ, ობიექტურად შესაძლებლობას უქმნის კონტრრევოლუციას მოემზადოს და დაირაზმოს. ჩვენ დაუსრულებლად დავიხევთ უკან და წავაგებთ რევოლუციას. რატომაც არ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენთვის აჯანყების დღისა და პირობების არჩევის შესაძლებლობა, რათა კონტრრევოლუციას დარაზმვის საშუალება არ მივცეთ... ჩვენ მტკიცედ და საბოლოოდ უნდა დავადგეთ აჯანყების გზას“ (გვ. 381-382).

არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. პარტია მტკიცედ დაადგა აჯანყების გზას. დიდი ოქტომბრის წინა დღით—24 ოქტომბერს—გამოვიდა გაზეთი „რაბოჩი პუტ“ ამხანაგ სტალინის მოწინავე სტატიით „რა გვინდა ჩვენ“, სადაც ამხანაგი სტალინი სწერდა, რომ მომენტი უკვე დადგა, დაყოვნება დალუპვას უქადის რევოლუციის მთელ საქმეს. „ხელისუფლების სათავეში უნდა ჩაუდგეს საბჭოების მიერ არჩეული ახალი მთავრობა, რომლის გამოცვლა შეეძლებათ საბჭოებს და რომელიც პასუხისმგებელი იქნება საბჭოების წინაშე“ (გვ. 390).

24 ოქტომბერს ღამით სმოლნში მიდის ვ. ი. ლენინი, რომელმაც უშუალოდ აიღო ხელში აჯანყების ხელმძღვანელობა. პარტიული ცენტრის ხელმძღვანელი ამხანაგი სტალინი პირადად წარმართავდა სამხედრო რევოლუციური კომიტეტების მუშაობას და ბოლშევიკების ძლიერმა პარტიამ, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, 25 ოქტომბერს მთელს ქვეყნიერებას ამცნო, რომ კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, სოციალისტური რევოლუციის ერა.

ამხანაგ სტალინის თხზულებათა მესამე ტომი გვამცნობს იმ ბრძოლის გამოცდილებით, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები აწარმოებდნენ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ამ ტომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესასწავლად. ი. ბ. სტალინის თხზულებათა მესამე ტომი საბჭოთა კავშირის ხალხებს აღაფრთოვანებს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საბრძოლველად.

ლ. გოგრგილაძე

ნაციონალური საკითხი ი. ბ. სტალინის ადრინდელ შრომებში

ი. ბ. სტალინის შრომებმა ნაციონალურ საკითხზე, რომელნიც სხვა შრომებთან ერთად დაწერილია ავტორის მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში (1901—1907 წლები), დიდი როლი ითამაშეს ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავების საქმეში, ბოლშევიკური პარტიის ჩამოყალიბებისა და გაფორმების საქმეში.

მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს მხოლოდ ცალკეული ძირითადი გამოსავალი დებულებები ნაციონალურ საკითხზე. ი. ბ. სტალინმა მარქსიზმის აშკარა თუ „მარქსისტულად" შენიღბული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში არა მარტო დაიცვა მარქსისა და ენგელსის მემკვიდრეობა, არამედ ამავე დროს პირველად მარქსიზმის ისტორიაში გაშლილი სახით ჩამოაყალიბა მწყობრი თეორია ნაციონალურ საკითხში.

ამხანაგმა სტალინმა ნაციონალური საკითხის გადასაწყვეტად ოსტატურად გამოიყენა დიალექტიკური მატერიალიზმი. მან მოგვცა ნაციონალური პრობლემისადმი დიალექტიკური მიდგომისა და ნაციონალური მოძრაობის მატერიალისტური ახსნის ბრწყინვალე ნიმუში.

ამხანაგი სტალინი ნაციონალურ საკითხს განიხილავს კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით, იღებს რა ამ პირობებს მათს ცვალებადობასა და განვითარებაში.

ამხანაგი სტალინი ნათელჰყოფს, რომ ნაციონალური საკითხი, როგორც ისტორიული მოვლენა ცვალებადობის კანონს ექვემდებარება. იგი იცვლება კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ცვალებადობასთან ერთად, იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება, ერთ კლასს მეორე კლასი სცვლის. ამის შესაბამისად იცვლება ნაციონალური საკითხის დასმაც. ნაციონალურ საკითხს ხშვადასხვა დროს განსხვავებული ხასიათი აქვს და იგი სხვადასხვა კლასის ინტერესს ემსახურება. ის, თუ როგორი ხასიათი აქვს ნაციონალურ საკითხს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის და რომელმა კლასმა წამოაყენა იგი.

ი. ბ. სტალინი სწერდა: „ყველაფერი იცვლება... იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად იცვლება „ნაციონალური საკითხიც". სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე,—ყველა კლასს კი თავისებურად ესმის „ნაციონალური საკითხი". მაშასადამე, „ნაციონალური საკითხი" სხვადასხვა დროს **სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება**, სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ **რომელი** კლასი და **როდის** წამოაყენებს მას".

ი. ბ. სტალინის ცნობილ შრომაში: „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?", რომელიც 1904 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა, მოცემულია ნაციონალური საკითხის, როგორც ზოგადი თეორიული

ახარის კლასიკური განმარტება, ისე იმის კონკრეტული გაშუქება, თუ როგორ იცვლებოდა ნაციონალური საკითხის დასმა საქართველოს თავისებურ პირობებში.

როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნის დასაწყისიდან ახალი ხანა დაიწყო. საქართველო რუსეთის მეშვეობით მტკიცედ დაადგა განვითარების ახალ გზას. ფეოდალური, დაჭუცმაცებული საქართველო ერთ მთლიან ორგანიზმად შეიკრა და კაპიტალიზმის განვითარების გზაზე გამოვიდა.

მაგრამ ნაციონალური განკერძოების მოსპობისა და სამეურნეო გაერთიანების ობიექტურად პროგრესიული პროცესი ხორციელდებოდა ძალდატანების საშუალებით, ობიექტურად პროგრესიული ტენდენცია ვითარდებოდა ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გზით. დაპყრობა და კოლონიური ძარცვა, უთანასწორობა და ნაციონალური ინტერესების უგულვებელყოფა—ასეთი იყო ცარიზმის იმპერიალისტური პოლიტიკა საქართველოში. ეს იწვევდა აღშფოთებისა და რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებას იმპერიალისტურ-კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

ნაციონალურმა მოძრაობამ იმთავითვე იჩინა თავი. საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე დაიწყო ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალისტური მოძრაობა. ქართველმა თავად-აზნაურობამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად დაჰკარგა ძველი ძლიერება და „უბრალო ქვეშევრდომად“ იქცა. მან არაერთხელ სცადა შექმნილი მდგომარეობის დარღვევა და ძველი, დაკარგული დიდების აღდგენა. „მას უნდოდა **საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა** და,—ამგვარად, **მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი“** (სტალინი). 1802 წელს აღელდა კახეთის თავადაზნაურობა; 1804 წელს მთიულეთში დაიწყო მოძრაობა. 1810 წელს იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ სცადა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. მაგრამ უშედეგოდ. 1829 წელს დაარსდა ფარული საზოგადოება. შეთქმულთა მიზანი იყო რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და საქართველოში იმავე მეფობის აღდგენა. აი რას ვკითხულობთ „მილოცვაში დოდაშვილისა ბატონიშვილის ბაგრატის მცირეწლოვანს შვილს დავითს: „მეცა და ივერიის დანარჩენი ხალხიც ვითხოვთ ერთხმადა, რომ ძველისძველი მეფობა თქვენი განახლებული იქნეს თქვენითა და ამიერიდან უკუნისამდე კურთხეული“. დოდაშვილი მოუწოდებდა ქართველობას: „ავიღოთ ხელში მახვილი“, რათა „გავდევნოთ ძალით მოსულნი, სამშობლოს მაოხრებელნი“ (იხ. ალ. ხახანაშვილი. „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ტ. II).

შეთქმულება 1832 წლის ნოემბერში გაცემული იქნა. მოძრაობა დამარცხდა.

„ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს არ ჰქონდა მტკიცე ნიადაგი რეალურ ცხოვრებაში. კაპიტალისტური ცხოვრების განვითარებამ და ახალმა კლასობრივმა ანტაგონიზმმა ბოლო მოუღო მას. ქართველი თავად-აზნაურობა მალე გამოეთხოვა ფეოდალურ-მონარქიულ საქართველოს აღდგე-

ნაზე ოცნებას, ხელი გაუწოდა რუსეთის ცარიზმს და მისი ერთგული მსახური გახდა.

როგორც ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ წამოაყენა ბურჟუაზიული ნაციონალური საკითხი. ქართველი ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული ინტელიგენციის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფი ჯერ კიდევ 900-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ ჯგუფმა 1900 წლის დასასრულს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ შეიძინა და მის გარშემო შემოიკრიბა. ისინი იყვნენ ნაციონალ-დემოკრატები. მათი მიზანი იყო, როგორც თვითონ წერდნენ, „ეროვნული დემოკრატიის“, „ხალხური და ქართველური ინტერესებისა“ დაცვა. სინამდვილეში კი ნაციონალ-დემოკრატები ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველნი და დამცველნი იყვნენ.

ამხანაგი სტალინი გვაძლევს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის ღრმა ანალიზს, ნათელჰყოფს მისი წარმოშობის მიზეზებს და მისწრაფებებს. იძლევა რა ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის დახასიათებით საზოგადოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ნაციონალური მოძრაობის ღრმა მარქსისტულ განსაზღვრას, ამხანაგი სტალინი მიუთითებს: „როცა ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ იგრძნო, თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია „უცხოელ“ კაპიტალისტებთან, ქართველი ნაციონალ-დემოკრატების პირით ატიტინდა **დამოუკიდებელ საქართველოზე**. ქართველ ბურჟუაზიას უნდოდა საბაჟო წრე შემოევლო ქართული ბაზრისათვის, ძალით გაედევნა ამ ბაზრიდან „უცხოელი“ ბურჟუაზია, ხელოვნურად აეწია საქონლის ფასები და ასეთი „პატრიოტული“ ხრიკებით ლელო გაეტანა გაძდიდრების მოედანზე“.

„ცნობის ფურცელი“ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პროპაგანდას ეწეოდა. გაზეთმა „საერთო ნიადაგის“ თეორია წამოაყენა და მის დასაბუთებას შეუდგა. იგი გამოვიდა სოციალ-დემოკრატიის მკაცრი კრიტიკით, უარჰყოფდა კლასობრივ პრინციპს და მის ნაცვლად ყველა კლასების საერთო მოქმედების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პროგრამას აყენებდა.

ქართველი ბურჟუაზია ცდილობდა მუშათა კლასის ხელით მიეღწია თავისი ნაციონალურ-კლასობრივი მიზნების განხორციელებისათვის. იგი გაჰკიოდა „სამშობლოს“ დამოუკიდებლობაზე, „სამშობლოს“ ინტერესების დაცვისაკენ მოუწოდებდა მშრომელ მასებს. ბურჟუაზია ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა მშრომელი მასები და თავისი საკუთარი საქმე საერთო-სახალხო საქმედ გაესაღებია. ბურჟუაზიული ნაციონალისტები მიუთითებდნენ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო ეროვნული მოქმედების აუცილებლობაზე, მოუწოდებდნენ პროლეტარიატს საერთო ნაციონალური მოძრაობის ინტერესებისათვის შეეწირათ საკუთარი კლასობრივი ინტერესები. ამ გზით მათ სურდათ დაემორჩილებიათ და შეეგუებიათ მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ინტერესებისადმი. ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

აშკარავებდა რა ქართველი ნაციონალური ბურჟუაზიის ტაქტიკას ამხანაგი სტალინი წერდა: „მარტო პროლეტარიატს შეეძლო სული ჩაედგა ბურჟუაზიის გამოფიტული „პატრიოტიზმისათვის“. საჭირო იყო პროლეტარიატის

მომხრობა,—და აი, სცენაზე გამოვიდნენ „ნაციონალ-დემოკრატები“. ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს მათ მეცნიერული სოციალიზმის დასარღვევად, ბევრი აშაგეს სოციალ-დემოკრატები და ურჩიეს ქართველ პროლეტარებს დაშორებოდნენ მათ, აქეს ქართველი პროლეტარიატი და ურჩიეს „მუშებისავე საკარგებლოდ“ გაეძლიერებინა როგორმე ქართველი ბურჟუაზია. ისინი ბევრი ეხვეწნენ ქართველ პროლეტარებს: ნუ ღუპავთ „საქართველოს“ (თუ ქართველ ბურჟუაზიას?), დაივიწყეთ „შინაური უთანხმოება“, დაუძმობილდით ქართველ ბურჟუაზიასო და სხვა ამისთანები. მაგრამ ამაოდ! ბურჟუაზიული პუბლიცისტების ტკბილმა ზღაპრებმა ვერ დააძინა ქართველი პროლეტარიატი!“

„ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტებმა 1903 წლის მაისში საზღვარგარეთ, პარიზში, გამოსცეს არალეგალური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გაზეთი „საქართველო“. ამ გაზეთის გამოცემა მოასწავებდა ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტებს ახალ ტაქტიკაზე გადასვლას. „საერთო ნიადაგის“ თეორიის ქადაგებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მან მშრომელი მასები ვერ დაიპყრო; ამის გამო ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტები იძულებულნი გახდნენ სოციალიზმის საშოსელში გახვეულიყვნენ და რევოლუციური ფრაზეოლოგიით აღჭურვილიყვნენ. მაგრამ ყოველივე ცდა ამაო იყო.

„შერცხვენილი სახელის აღსადგენად“—სწერს ამხანაგი სტალინი — საჭირო იყო „ფერი მაინც ეცვალათ“ ჩვენს გაქცეულ პატრიოტებს. ტანისამოსი მაინც ჩაეცვათ სოციალისტური, თუ სოციალისტურ აზრებს ვერ შეითვისებდნენ. და მართლაც, სცენაზე ამოცურდა არალეგალური... ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური—უკაცრავად მოხსენებაა — „სოციალისტური“ ორგანო **„საქართველო“!** ასე უნდოდათ მოეხიბლათ ქართველი მუშები! მაგრამ გვიან-ღა იყო! ქართველმა მუშებმა ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა, ისინი ადვილად მიხვდნენ, რომ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა მარტო „ფერი იცვალეს“ და არა აზრები, რომ გაზეთ **„საქართველოს“ მარტო სახელი აქვს სოციალისტური.**—დიახ, მიხვდნენ ამას და სიცილი მიაყარეს საქართველოს „მხსნელებს“! გაუცრუვდათ იმედი „საქართველოს“ დონ-კიხოტებს“.

რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა („მესამე დასის“ უმცირესობა) იდეურად ამხილა და გაანადგურა ბურჟუაზიული ნაციონალისტების ჯგუფი. ამხანაგმა სტალინმა თავის შრომაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ მკაცრად გააკრიტიკა პოლიტიკური და ორგანიზაციული ფედერალიზმი და დაასაბუთა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამა. ალ. წულუკიძე თავის შესანიშნავ შრომაში „ოცნება და სინამდვილე“ ფეხდაფეხ მიჰყვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფის იდეურ ბელად არჩ. ჯორჯაძეს და მისი არგუმენტაციიდან მან ქვა-ქვაზე არ დასტოვა. „ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშმა... თავზარი დასცა ჩვენს **ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს** და ბრძოლის ველიდან განაძევა ისინი“ (სტალინი).

მაგრამ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების წინაშე იდგა არა მარტო ქართველი თავად-აზნაურული, ფეოდალურ-მონარქიული და ბურ-

ეუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა, არამედ ამავე დროს, რაც მთავარია, მარქსიზმის სამოსელში გახვეული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანაც. შეუძლებელი იყო ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე აშენებული პროლეტარიატის ერთიანი ცენტრალიზებული პოლიტიკური პარტიის შექმნა და ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ორგანიზაცია, თუ კი ნაციონალიზმი დაძლეული არ იქნებოდა თვით სოციალ-დემოკრატიის რიგებში.

როგორც ცნობილია, ჟორდანია და მისი ჯგუფი ეროვნულ საკითხში თავიდანვე აშკარად ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოზიციებზე იდგა. „ძესამე დასის“ უმრავლესობა ამახინჯებდა მარქსიზმს და უფარდებდა მას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებს. ჟორდანიას ჯგუფი, იცავდა რა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო ეროვნული მოქმედების თეორიას, პროლეტარიატს კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის ინტერესებს უქვემდებარებდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოპორტუნიზმმა ფედერატიულ ფორმაში თავი იჩინა აგრეთვე საქართველოს სოციალ-დემოკრატიის რიგებშიც. საყურადღებოა, რომ ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა დამფუძნებელმა ყრილობამ ერთა თვითგამორკვევის უფლების ნაცვლად აღიარა „დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება ფედერატიული პრინციპის თანახმად“. ყრილობა შეებრძოლა ორგანიზაციულ ფედერალიზმს. მან უარჰყო ორგანიზაციული ფედერალიზმის პრინციპი და აღიარა ორგანიზაციის აგების ინტერნაციონალური პრინციპი. მაგრამ ყრილობამ ბოლომდე ვერ გაატარა მარქსისტული თვალსაზრისი. იგი წინააღმდეგობაში ჩავარდა. მან ორგანიზაციული ფედერაცია უარჰყო და ნაციონალური ავტონომია მიიღო, ვერ დაინახა მათ შორის არსებული შინაგანი კავშირი. „პირველიც და მეორეც გულისხმობს ორგანიზაციას ეროვნებათა მიხედვით. მსგავსება უეჭველია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იქ მიჯნავენ მოსახლეობას საზოგადოთ, აქ კი—სოციალ-დემოკრატიულ მუშებს“ (სტალინი).

სხვათაშორის იმასაც აღვნიშნავთ, რომ გაზეთ „საქართველოში“ მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატი ვინმე „X“-სი, რომელიც თავის ერთელ სტატიაში „მუშათა მოძრაობა საქართველოში“ ფედერალიზმის პრინციპს იცავდა.

თბილისის „სომეხ სოციალ-დემოკრატების კავშირმა“ თავის მანიფესტში (1902 წ.) თუმცა უარყო ორგანიზაციული ნაციონალიზმი, მაგრამ ამავე დროს ფედერატიული რესპუბლიკის მოთხოვნა წამოაყენა. „ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მომავალ თავისუფალ რუსეთში ფედერატიული რესპუბლიკის დაარსება“-ო. კავკასიისათვის ისინი მოითხოვდნენ „ავტონომიას მხოლოდ კულტურული ცხოვრებას დარგში“.

პარტიის II ყრილობის შემდეგ 1903 წლის მიწურულში ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა „სომეხ-მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზა-

ცია". იგი გამოხატავდა ბუნდის ორგანიზაციულ და პოლიტიკურ შეხედულებებს. მას შესახებ ლენინი სწერდა: „ეს **ბუნდის კრეატურაა**, მეტი არაფერი, რომელიც სპეციალურად გამოიგონეს კავკასიის ბუნდიზმის საზრდოობისათვის".

„სომეხ-მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის" პუბლიცისტები ამტკიცებდნენ, თითქოს განსაკუთრებული „სპეციფიური პირობები", რომელშიც სომხეთი იმყოფებოდა მოითხოვდა სომეხ პროლეტარიატისადმი განსაკუთრებულ მიდგომას. სთვლიდნენ რა თავისთავს სომეხ პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად, მოითხოვდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან განსაკუთრებული სომხური ორგანიზაციის გამოყოფას, რომელსაც მიენიჭებოდა ყველა იმ საკითხების დამოუკიდებელი გადაწყვეტის უფლება, რაც შეეხებოდა სომხეთის სინამდვილესა და სომხეთის პროლეტარიატს. თავიანთ მანიფესტში მათ წამოაყენეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ნაციონალური ორგანიზაციების შექმნისა და მათი ფედერატიული კავშირის მოთხოვნა. ისინი აგრეთვე მოითხოვდნენ ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ამგვარად, ამიერკავკასიისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში გარკვეული ჯგუფი აშკარად ქადაგებდა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ-ფედერალიზმს. ეს ჯგუფი თავგამოდებით იცავდა ნაციონალური ავტონომიისა და ორგანიზაციული ფედერაციის პრინციპს.

აქ არაფერს ვამბობთ ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიის ე. წ. სოციალ-ფედერალისტების შესახებ, რომელმაც საპროგრამო მოთხოვნათ გაცხადა საქართველოს ნაციონალური ავტონომია რუსეთის მემამულურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფარგლებში.

ცნობილია, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია უარჰყოფს როგორც პარტიული ორგანიზაციის, ისე მოსახლეობის გამიჯვნას ეროვნული პრინციპის მიხედვით. ლენინი თავის შენიშვნაში „სომეხ სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ" სწერდა: „რათა სავსებით თანმიმდევარი ყოფილიყო, კავშირს თავისი პროგრამიდან უნდა ამოეშალა **ფედერატიული** რესპუბლიკის მოთხოვნა და დაკმაყოფილებულიყო დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნით საზოგადოდ. პროლეტარიატის საქმე არაა ფედერალიზმისა და ნაციონალური ავტონომიის **ქადაგება**. პროლეტარიატის საქმე არაა ამგვარ მოთხოვნათა წამოყენება, რაც გარდუვალად ეთანაბრება ავტონომიური **კლასობრივი** სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნას. პროლეტარიატის საქმეა—**უფრო მჭიდროდ** შეაკავშიროს ყველა და ყოველგვარ ეროვნებათა მუშების რაც შეიძლება **უფრო ფართო მასები**, შეაკავშიროს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად **რაც შეიძლება უფრო ფართო ასპარეზზე**".

ი. ბ. სტალინმა თავის ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი" მოგვცა პოლიტიკური და ორგანიზაციული ფედერალიზმის გამანადგურებელი კრიტიკა და ნაციონალური საკითხის ბრწყინვალე მარქსისტული გაშუქება.

ამხანაგი სტალინი იძლევა ნაციონალური საკითხის ბუნების ნათელ დახასიათებას და ნაციონალურ მოძრაობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების ღრმა მარქსისტულ განსაზღვრას. ნაციონალური მოძრაობა თავისთავად ბურჟუაზიულია. იგი დღემდე ჩვეულებრივ ბურჟუაზიის სასარგებლოდ თავდებოდა, პროლეტარიატის კლასობრივ ცნობიერებას კი ნაციონალიზმით რყვნიდა და ამახინჯებდა.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საერთო შეხედულება ნაციონალურ საკითხზე კლასიკურად ჩამოაყალიბა ამხანაგმა სტალინმა შემდეგი სიტყვებით: „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ“ მოძრაობას, **საერთოდ რომ ვთქვათ**, მხარს არ დაუჭერს პროლეტარიატი, რადგან ყველა **ასეთი** მოძრაობა დღემდის ბურჟუაზიის სასარგებლოდ ხდებოდა, და პროლეტარიატს კი კლასობრივ თვითშეგნებას ურყვნიდა და ამახინჯებდა“.

ის გარემოება, რომ ნაციონალური მოძრაობა თავისთავად ბურჟუაზიულია, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატმა არ უნდა იბრძოლოს ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ. პირიქით, მუშათა კლასი ვალდებულია იბრძოლოს ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მან უნდა დაიცვას ერის ინტერესები ძალმომრეობისაგან. მუშათა კლასს არ შეუძლია არ იბრძოლოს თავისუფალი მიმოსვლის შეზღუდვის, საარჩევნო უფლების წართმევის, ენის შევიწროებისა და სხვ. რეპრესიების წინააღმდეგ.

„დღეს ყველასთვის თვალსაჩინოა,—სწერდა ამხანაგი სტალინი,—თუ როგორ ავიწროებს და სულს უხუთავს დღევანდელი მთავრობა რუსეთის „უცხო“ ერებს. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ მთავრობის ასეთი პოლიტიკა დღედაღე რყვნის და განსაცდელში აგდებს რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას. მაშასადამე, ჩვენ ყველგან და ყოველთვის შევებრძოლებით მეფის მთავრობის გამათახსირებელ პოლიტიკას. მაშასადამე, ჩვენ ყველგან და ყოველთვის დავიცავთ თვითმპყრობელობის პოლიციური ძალმომრეობისაგან ამ ერთა არამც თუ სასარგებლო, არამედ უსარგებლო დაწესებულებებსაც კი, რადგან რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები გვეუბნებიან, რომ მარტო თვით ერებს აქვს უფლება მოსპონ ან განაახლონ თავიანთი ნაციონალური კულტურის ესა თუ ის მხარე“.

პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები მოითხოვს: რუსეთის ერებს მიეცეთ მოქალაქეობრივი თანასწორობა განურჩეველად ეროვნებისა; მოითხოვს სამშობლო ენის შემოღებას სახელმწიფო ენის თანასწორად, რუსეთის სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისებური პირობებით, რაც მოითხოვს საერთო სახელმწიფო ძირითად კანონების იმ ფორმით განხორციელებას, რა ფორმაშიც უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ ისინი ხალხს; რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ერთობა მოითხოვს ერების მიმართ ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამხანაგი სტალინი ნათელჰყოფს ნაციონალური საკითხის განუყოფელ კავშირს საერთო დემოკრატიულ მოძრაობასთან და ხაზს უსვამს ნაციონალური საკითხის პროლეტარიატის გამარჯვების ინტერესებისადმი დამორჩილების აუცილებლობას. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიულ-

ნაციონალისტური მოძრაობის ინტერესებს კი არ უნდა ექვემდებარებოდეს, როგორც ამას „მესამე დასის“ უმრავლესობა ამტკიცებდა, არამედ პირიქით, როგორც საერთო-დემოკრატიული მოძრაობის ნაწილი, იგი მთელს უნდა ექვემდებარებოდეს და მთელის თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული.

„თავისთავად აღებულს ეგრეთწოდებულ „ნაციონალურ ინტერესებს“, და „ნაციონალურ მოთხოვნებს“,—სწერს ამხანაგი სტალინი—განსაკუთრებული ფასი არა აქვს, რომ ეს „ინტერესები“ და „მოთხოვნები“ უურადღებას ღირსია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი წინ სწევენ, ან შეუძლიათ წინ წასწიონ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება, მისი კლასობრივი განვითარება“.

იქვე ამხანაგი სტალინი მიუთითებს იმაზე, რომ ნაციონალური საკითხის გადაჭრა განუყრელად დაკავშირებულია სოციალისტურ რევოლუციასთან.

„ეგრეთწოდებული „საბოლოო“ გადაჭრა „ნაციონალური საკითხისა“,—ამბობს სტალინი,—ე. ი. „განთავისუფლება“ რუსეთის „უცხო“ ერებისა, საზოგადოდ რომ ვთქვათ, შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ პოლიტიკური ბატონობა ბურჟუაზიის ხელშია“.

ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სოციალ-ფედერალისტების მიერ ნაციონალური საკითხის მეტაფიზიკური დაყენება და ამ საკითხის დიალექტიკური გადაწყვეტის ბრწყინვალე ნიმუში მოგვცა.

სოციალ-ფედერალისტები განსაკუთრებით ილაშქრებდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული რევოლუციური პროგრამის მე-9 მუხლის წინააღმდეგ, რომელშიც წამოყენებულია ერთა თვითგამორკვევის უფლება. პროგრამის ამ მუხლის წინააღმდეგ ისინი ილაშქრებდნენ იმ საბაბით, თითქოს იგი არ იძლევა ნაციონალური საკითხის გადასაწყვეტად არავითარ პრაქტიკულ მითითებას, თითქოს იგი არ შეიცავს კონკრეტულ პასუხს იმაზე, თუ რას უნდა დაუჭიროს მხარი მუშათა კლასმა: ავტონომიას, ფედერაციას თუ სეპარაციას. სოციალ-ფედერალისტები მოითხოვდნენ პირდაპირ პასუხს „კი თუ არა“. ეს იყო ნაციონალური საკითხის მეტაფიზიკური, ფორმალურ-ლოგიკური დასმა.

იმისთვის, რომ უფრო უკეთ ნათელჰყოს სოციალ-ფედერალისტების მიერ ნაციონალური საკითხის მეტაფიზიკური დასმის მთელი სიყალბე, ამხანაგი სტალინი განიხილავს საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა მეტაფიზიკური და დიალექტიკური დასმის ორ ნათელ და დამახასიათებელ ნაგალითს.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს იმ ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთში მეტაფიზიკოსებსა და დიალექტიკოსებს შორის გასული საუკუნის 50-იან წლებში. მეტაფიზიკოსები მოითხოვდნენ „გადაჭრილ“ პასუხს კითხვაზე: სასარგებლოა თუ საზარალოა წვიმა მოსავლისათვის. დიალექტიკოსებმა დაამტკიცეს კითხვის ამგვარი დაყენების არამეცნიერულობა. მათ ნათელჰყვეს, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი პასუხი უნდა გაეცეს

დასმულ კითხვას: წვიმა გვალვიან დროს სასარგებლოა, წვიმიან დროს კი უსარგებლო და ხშირად საზარალოც.

ასეთსავე „გადაჭრილ“ პასუხს მოითხოვდნენ მეტაფიზიკის პოზიციებზე მდგომი ბერნშტეინელები კითხვაზე: სასარგებლოა თუ საზარალო პროლეტარიატისათვის მომხმარებელ-მწარმოებელი ამხანაგობები—კოოპერატივები? დიალექტიკის პოზიციებზე მდგომმა მარქსისტებმა ადვილად გაძოაშკარავეს კითხვის ასეთი დაყენების უშნოარსობა და სიყალბე. მათ ნათელჰყვეს, რომ სხვადასხვა პირობებში კოოპერატივების მნიშვნელობა სხვადასხვანაირია: იქ სადაც პროლეტარიატს თავის საკუთარი პოლიტიკური პარტია ჰყავს, კოოპერატივებს შეუძლიათ პარტიის ხელმძღვანელობით დიდი სარგებლობა მოუტანონ პროლეტარიატს. იქ კი, სადაც პროლეტარიატს არა ჰყავს თავისი პოლიტიკური პარტია და, მაშასადამე, კოოპერატივები პარტიის ხელმძღვანელობას არ ექვემდებარებიან, ისინი ამახინჯებენ პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას.

გადადის რა ერის თვითგამორკვევის უფლების საკითხის გარკვევაზე ამხანაგი სტალინი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია საბოლოო და გადაჭრილი პასუხი კითხვაზე: სასარგებლოა თუ საზარალო პროლეტარიატისათვის ნაციონალური დამოუკიდებლობა. ამხანაგი სტალინი ამ თავის აზრის ნათელსაყოფად ორ ძირითად დებულებას აყენებს. ჯერ ერთი, შესაძლებელია, ბაგრამ სრულიად არ არის აუცილებელი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ერთის მხრივ, იგი შეიძლება დაიბადოს და განვითარდეს. ნაციონალური ბურჟუაზია კარგად გრძნობს, თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია უცხოელ ბურჟუაზიასთან. მაგრამ მეორეს მხრივ, ეკონომიური განვითარება თანდათან აკავშირებს ქართველ ბურჟუაზიას რუსეთის ბურჟუაზიასთან, რაც ნიადაგს აცლის ქართველი ბურჟუაზიის „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ“ მისწრაფებებს.

გარდა ამისა, თუ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოიშვა და განვითარდა, შეუძლებელია წინასწარ იმის გათვალისწინება, სასარგებლო იქნება იგი თუ საზარალო პროლეტარიატისათვის.

მაშასადამე, შეუძლებელია ნაციონალურ მოძრაობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხზე საბოლოო და გადაჭრილი პასუხი.

„ცხადია, თვით „უცხო“ ერებს უნდა მივანდოთ ამ კითხვის გადაჭრა, ხოლო ჩვენ უნდა მოვუპოვოთ მათ უფლება ამ კითხვის გადაჭრისა. დეე თვით ერებმა გადაჭრან, როცა კი საჭიროება მოითხოვს მათგან, სასარგებლოა მათთვის თუ საზარალო „ნაციონალური დამოუკიდებლობა“ და თუ სასარგებლოა, რა ფორმაში უნდა განხორციელდეს ის?“. (სტალინი).

ოსტატურად იყენებს რა მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს ამხანაგი სტალინი მოითხოვს ნაციონალურ საკითხისადმი კონკრეტულ მიდგომას, ნაციონალური მოძრაობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით განხილვას. „ყველაფერი დროზე და ადგილზეა დამოკიდებული“; ამიტომ ნაციონალური საკითხი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად უნდა გადაიჭრას. საქმე იმაშია, რომ მუშათა კლასი მხარს ვერ დაუჭერს ყოველგვარ ნაციონა-

ლურ მოძრაობას. ნაციონალური საკითხი არ არის განკერძოებული და თვითკმარი საკითხი, არამედ წარმოებული საკითხია, რომელიც პროლეტარული მოძრაობის განვითარების ინტერესებს ექვემდებარება. თუ ნაციონალური მოძრაობა ეჯახება ამ ინტერესებს, მაშინ, ცხადია, მას მუშათა კლასი მხარს ვერ დაუჭერს. მუშათა კლასი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს ნაციონალურ მოძრაობას, თუ ეს უკანასკნელი ეხმარება საერთო-დემოკრატიული მოძრაობის საქმეს, სოციალისტური მოძრაობის საქმეს.

„უცხო“ ერებს —ამბობს ამხანაგი სტალინი, — ეძლევათ უფლება თავიანთი სურვილების თანახმად მოაწყონ თავიანთი ნაციონალური საქმეები. ჩვენ კი... ვალდებული ვართ შევეცადოთ, რომ ამ ერთა სურვილები ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული იყოს, რომ ეს სურვილები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდეს“.

ცხადია, შეუძლებელი იყო ნაციონალური საკითხის ყოველ დროისათვის და ყოველგვარ პირობებისათვის, ისიც ყველა ერისათვის სავალდებულო, აბსტრაქტული გადაწყვეტა.

მაგრამ როცა საკითხი კონკრეტულად სდგას, სდგას გარკვეულ ისტორიულ პირობებთან კავშირში, მაშინ ცხადია, პასუხიც განსაზღვრული უნდა იყოს.

სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ „ჰო-ჰო, არა-არა“, ყოველთვის როდი ნიშნავს მოვლენებისადმი მეტაფიზიკურ, ფორმალურ-ლოგიკურ მიდგომას, ისევე, როგორც „ჰოც და არაც“ ყოველთვის არ ნიშნავს საკითხის დიალექტიკურ დაყენებას.

ლენინი სწერდა, რომ დიალექტიკა არა ერთხელ გამოუყენებიათ ხიდად სოფისტიკის მიმართ. აი, მაგალითად, როგორ ცდილობდა ნ. ჟორდანია დიალექტიკის საშუალებით დაესაბუთებია თავისი ბურჟუაზიულ-ნაციონალური შეხედულებები. იგი სწერდა: „ეკონომიურ განვითარებას თან მოსდევს ერის ერთობა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მთელი ერის პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე ეროვნული) და ერის დაყოფა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მის შემადგენელ ნაწილების პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე პოლიტიკო-სოციალური). ერი ერთდება იმავე დროს იყოფა. სხვადასხვაობა ერთობაში, ერთობა სხვადასხვაობაში, თანხმობა განხეთქილებაში, განხეთქილება თანხმობაში“.

ჟორდანია ცდილობს შეარიგოს ისეთი მოწინააღმდეგე მხარეები, რომლებიც რეალობაში არ ერთდებიან. ეს იყო დიალექტიკის სუბიექტური, თვითნებური გამოყენება. დიალექტიკა აქ გადაქცეულია სოფისტიკად.

მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი არ უარყოფს ყოველგვარ იგივეობას, დაპირისპირებას, გადაჭრილ, კატეგორიული გადაწყვეტილების მიღებას. მარქსისტული ფილოსოფია აღიარებს კონკრეტულ-დიალექტიკურ იგივეობას, რომელიც შეიცავს განსხვავებასა და წინააღმდეგობას.

შეუძლებელია პრინციპულად მოწინააღმდეგე შეხედულებათა შეთახმება, საშუალო სახის გამოძებნა. ფედერალისტ-სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლაში ამხანაგი სტალინი საკითხს ასე აყენებდა: ან რევოლუციური მარქსიზმი ან ოპორტუნიზმი ფედერატიულ ფორ-

მაში. ამხანაგი სტალინი ფედერალისტ-სოციალ-დემოკრატების შესახებ, შემდეგს სწერდა: „ისინი ან უნდა საბოლოოდ დაშორდნენ რევოლუციური პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს და დადგნენ ნაციონალური კედლების გამაგრების პრინციპზე (ოპორტუნიზმი ფედერალისტურ ფორმაში); ან უნდა უარყონ ყოველივე ფედერალიზმი პარტიულ ორგანიზაციაში, თამამად ააფრიალონ დროშა ნაციონალურ კედლების დანგრევისა და თავი მოიყარონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთიან ბანაკში“.

ამხანაგმა სტალინმა შრომაში: „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ უარჰყო მუშათა კლასის პარტიის აგების ფედერატიული პრინციპი და დაასაბუთა პროლეტარიატის პოლიტიკური, რევოლუციური პარტიის აშენების ცენტრალიზმის პრინციპი.

რუსეთის ყველა ერების პროლეტარები ერთნაირ პოლიტიკურ პირობებში იბრძვიან, მათ ერთი და იგივე საერთო მტერი ჰყავთ. ამ საერთო ინტერესების ნიადაგზე შენდება ერთი ცენტრალისტური პარტია მთელი რუსეთის მუშებისა.

„ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა,—სწერდა სტალინი,—ერთიანი, მოძრავი, ცენტრალიზებული პარტია, რომლის ცენტრალურ კომიტეტსაც შეეძლება ერთ წამს ფეხზე დააყენოს მთელი რუსეთის მუშები და მედგარი იერიში მიატანინოს თვითმპყრობელობაზე და ბურჟუაზიაზე“.

ფედერალისტ-სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ რუსეთის პროლეტარების დაჭუცმაცებას ნაციონალური განსხვავების ნიადაგზე ცალ-ცალკე ნაციონალურ პარტიებად, რამდენიმე ხელმძღვანელ ცენტრით. რუსეთის მუშათა კლასის ცალ-ცალკე ნაციონალურ პარტიებად დანაწილება და ასეთი პარტიების თავისუფალი კავშირის მოწყობა—აი რას მოითხოვდნენ ფედერალისტ-სოციალ-დემოკრატები. ამასვე მოითხოვდა „სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია“. ეს იყო ცდა ნაციონალური კედლების ორგანიზაციული კედლებით გამაგრებისა. და ეს მაშინ, როდესაც რევოლუციურ ძალთა გათიშვის მიზნით მეფის თვითმპყრობელობა პროვოკაციულად ერთი მეორეს წინააღმდეგ ამხედრებდა რუსეთის ხალხებს, აწყობდა ებრაელთა დარბევებსა და სომხებს და თათრებს უსისინებდა და აჟლეტინებდა ერთი-მეორეს, როდესაც ნაციონალური კედლების დანგრევა და სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარების მჭიდროდ შეკავშირება გამარჯვების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ერთა შორის ამართული ნაციონალური კედლების დანგრევა, ნაციონალური კარჩაკეტილობის მოსპობა, ყველა მუშების შეერთება განურჩევლად ეროვნებისა—აი რა იყო პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობა. ამაზე მიუთითებდა თავის სტატიაში ამხანაგი სტალინი.

ამხანაგი სტალინი ანარქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში იმ ორგანიზაციულ დებულებას ანვითარებდა, რომ პარტია უნდა იყოს ინტერნაციონალურ პრინციპებზე აშენებული. ამხანაგი სტალინი უარყოფდა მუშების დაყოფას პარტიულ ორგანიზაციებში ნაციონალური ნიშნის მიხედვით და ასაბუთებდა მუშათა კლასის ერთიანი კლასობრივ-ინტერნაციონალური ორგანიზაციების მოწყობის აუცილებლობას.

მიუთითებდა რა იმაზე თუ როგორ უნდა შენდებოდეს მუშათა კლასის პოლიტიკური პარტია, ამხანაგი სტალინი სწერდა:

„ეს პარტია უნდა იყოს ინტერნაციონალური პარტია. პარტიის კარი ღია უნდა იყოს ყველა შეგნებულ პროლეტარისთვის.—და ეს ამიტომ, რომ მუშათა განთავისუფლება არის არა ნაციონალური საკითხი, არამედ—სოციალური, რომელსაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართველი პროლეტარისთვის, ისე რუსი და სხვა ერის პროლეტარებისთვის.

აქედან ცხადია, რომ რაც უფრო მჭიდროდ შეერთდებიან სხვადასხვა ერის პროლეტარები, რაც უფრო საფუძვლიანად დაინგრევა მათ შორის ამართული ნაციონალური კედლები, მით უფრო ძლიერი იქნება პროლეტარიატის პარტია, მით უფრო გაადვილდება პროლეტარიატის დარაზმვა ერთ, განუყოფელ კლასად“.

ცნობილია, რომ ანარქისტებიც ფედერალიზმის პრინციპს იცავდნენ. მათი აზრით მხოლოდ ფედერალიზმი უზრუნველჰყოფს ადამიანთა ჯგუფებს შორის თავისუფალ კავშირს. რაც შეეხება ცენტრალიზმის პრინციპს, იგი ანარქისტების მტკიცებით მავნეა და მიუღებელი, ვინაიდან ცენტრალიზმის პრინციპი მთავრობითი პრინციპია, რომელიც თითქოს ჰკლავს, როგორც ინდივიდის ისე მასის ინიციატივასა და თვითმოქმედებას.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ პარტია და მუშათა კლასის სხვა ორგანიზაციები ამენებული უნდა იყოს ცენტრალიზმის საფუძველზე, ერთიანი წესდებით, ერთიანი პარტიული დისციპლინით, ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოს მეთაურობით.

„საჭიროა, რამდენადაც კი შეიძლება, — სწერდა სტალინი, — ცენტრალიზმის პრინციპი გატარდეს პროლეტარიატის ორგანიზაციებში, წინააღმდეგ ფედერალისტური დაჭუცმაცებისა,—სულ ერთია, იქნება ეს ორგანიზაციები პარტია თუ კოოპერატივები. ცხადია აგრეთვე ის, რომ ყველა ეს ორგანიზაცია დემოკრატიულ საფუძველზე უნდა შენდებოდეს, რა თქმა უნდა, რამდენადაც ამაზე ხელს არ შეუშლის ესა თუ ის პოლიტიკური და სხვა პირობები“.

როცა ი. ბ. სტალინი თავის ადრინდელ შრომებში ნაციონალური საკითხის ისტორიასა და თეორიას მარქსისტულად აშუქებდა, მაზე უეჭველად მხედველობაში ჰქონდა ის მდიდარი მემკვიდრეობა და ტრადიცია, რაც დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწეების (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ.) სახელთან არის დაკავშირებული.

იყენებდა რა იმ ტრადიციებს, რომელიც XIX საუკუნის ქართულმა მოწინავე ლიტერატურამ შეჰქმნა, ი. ბ. სტალინი ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავდა მის ისტორიულ განსაზღვრულობას. ამხანაგი სტალინი მიუთითებდა იმ შეზღუდულობაზე, რომელიც ახასიათებდა ქართველი მოწინავე საზოგადოების აზრის წარმომადგენლებს, როგორც სოციალურ ისე ნაციონალურ საკითხის გაგების საქმეში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის დიდი მოღვაწენი გამსჭვალული იყვნენ ჭეშმარიტი დემოკრატიზმითა და პატრიო-

ტიზმით. ისინი ქართველი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობას, პოლიტიკური თავისუფლების და ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლება იყვნენ. დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო მათი იდეალი იყო. მაგრამ მათ ვერ ნახეს ვერც სწორი გზა და ვერც ის ძალა, რომელიც მათ კეთილშობილ, დიად ოცნებას განახორციელებდა.

ფეოდალურ-პროგრესიული დასი ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით პატრიარქალური, ბატონყმური წყობილების დამცველი რეაქციონურ იდეოლოგიის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში მხურვალედ იცავდა ქართველ ხალხს, ქადაგებდა წოდებათა შერიგების საფუძველზე საქართველოს ეროვნულ აღორძინების იდეებს და მოუწოდებდა განათლებულ ლიბერალურ თავადაზნაურობას სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს კაპიტალისტური გზით განვითარებას და წაეყვანა ქართველი ხალხი აღორძინებულ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოსაკენ.

ბურჟუაზიულ-პროგრესიული დასი ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის და ს. მესხის მეთაურობით ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში ხედავდა საქართველოს ეროვნული აღორძინების საშუალებას, ხოლო ბურჟუაზიას ხელმძღვანელ, წამყვან ძალად სახავდა. ბურჟუაზიის მეთაურობით უნდა მომხდარიყო ახალი ცხოვრების შექმნა.

„მესამე დასის“ უმრავლესობა, რომელსაც ნ. ჟორდანია მეთაურობდა, ოცნებობდა წვრილბურჟუაზიის ფართო ფენებზე დაყრდნობით, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის თანამშრომლობით და საერთო ეროვნული მოქმედების საფუძველზე საქართველოს ერთ მთლიან ორგანიზმად გადაქცევასა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საქართველოს შექმნას.

მხოლოდ ი. ბ. სტალინმა ჩამოაყალიბა შეხედულებათა მწყობრი სისტემა ნაციონალურ საკითხში და შეაერთა მუშათა კლასი. მშრომელი ხალხი ნათელა ნაციონალური პროგრამით.

ამხანაგმა სტალინმა ნათლად განსაზღვრა ჩაგრულ ხალხების ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა, როგორც პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობის მოკავშირისა. გაზეთ „ბრძოლის“ საპროგრამო სტატიაში ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა საერთო-რევოლუციური ფრონტის შექმნის საჭიროებას, სხვადასხვაგვარი რევოლუციური მოძრაობათა, როგორიცაა საერთო-დემოკრატიული, გლეხურ-დემოკრატიული, პროლეტარული და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ერთიან რევოლუციურ მიმდინარეობად გადაქცევის აუცილებლობას. უნდა შექმნილიყო ერთიანი ფრონტი ცარიზმის წინააღმდეგ. ამხანაგი სტალინი ამბობდა: „იმისთვის, რომ შეაერთო ყველა, ვინც ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს, აუცილებელია დროშა ყველასათვის გასაგები და მახლობელი, დროშა, რომელიც მოითავსებს ყველას მოთხოვნილებებს. **ასეთი დროშაა—თვითმპყრობელობის დამხობა**“.

ი. ბ. სტალინმა გვიჩვენა ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი სწორი გზა. ეს იყო ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობის გზა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა და ნაციონალური თანასწორ-უფლებიანობის ნამდვილი განხორციელება. ამხანაგი სტალინი ნაციონალური საკითხის დადებით გადაწყვეტას უკავშირებს არა

პარტო ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას, არამედ აგრეთვე კაპიტალიზმის დამხობას. ამხანაგი სტალინი ალნიშნავდა, რომ ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

აი რას სწერდა ი. ბ. სტალინი 1905 წელს პროკლამაციაში: „მოქალაქეებო. გაუმარჯოს წითელ დროშას".

„თქვენთვის ძვირფასია თქვენი სიცოცხლე და თქვენი მახლობელი ადამიანების სიცოცხლე? თქვენ გიყვართ თქვენი მეგობრები, ნათესავები და არ გსურთ რბევა? მაშ იცოდეთ, მოქალაქენო, რომ მხოლოდ ცარიზმის მოსპობით მოისპობა რბევა და მასთან დაკავშირებული სისხლის ღვრა!

მეფის თვითმპყრობელობის დამხობა—აი რას უნდა ცდილობდეთ თქვენ!

თქვენ გსურთ **ყოველგვარი** ნაციონალური მტრობის მოსპობა? თქვენ გსურთ მიაღწიოთ ხალხთა სრულ სოლიდარობას? იცოდეთ, მოქალაქენო, რომ მხოლოდ უთანასწორობის მოსპობით, მხოლოდ კაპიტალიზმის აღმოფხვრით მოისპობა ყოველგვარი ნაციონალური შუღლი.

სოციალიზმის გამეფება, — აი საბოლოოთ საით უნდა მიისწრაფოდეთ თქვენ!"

ამხანაგმა სტალინმა მიუთითა საზოგადოების იმ მოწინავე, რევოლუციურ ძალაზე — პროლეტარიატზე, რომლის ხელმძღვანელობითაც შეიძლებოდა ნაციონალური საკითხის სწორი გადაჭრა. თუ ევროპაში ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ბურჟუაზია მეთაურობდა, ჩვენში ცარიზმთან კავშირში მყოფ ბურჟუაზიას არ შეეძლო იგივე როლი შეესრულებია. ახალმა ვითარებამ პროლეტარიატს დააკისრა ისტორიული მოვალეობა. იგი სათავეში უნდა ჩასდგომოდა და წინამძღოლობა გაეწია დემოკრატიულ მოძრაობისათვის. ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1901 წელს გაზეთ „ბრძოლაში" ნათლად მიუთითებდა, რომ მხოლოდ პროლეტარიატია ბოლომდე თანმიმდევარი მებრძოლი დემოკრატიისათვის. საქართველოში ისევე როგორც რუსეთში მხოლოდ ნაციონალურ პროლეტარიატს შეეძლო სათავეში ჩასდგომოდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ყოველგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

იმავე პროკლამაციაში ი. ბ. სტალინი სწერდა:

„ვინ აღგვის პირისაგან მიწისა ცარიზმის საზიზღარ წესწყობილებას, ვინ გიხსნით რბევისაგან?—პროლეტარიატი, სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით.

ხოლო ვინ დაამხობს კაპიტალისტურ წესწყობილებას, ვინ დაამყარებს დედამიწაზე საერთაშორისო სოლიდარობას?—იგივე პროლეტარიატი იმავე სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით.

პროლეტარიატი და მხოლოდ პროლეტარიატი.—აი ვინ მოგიპოვებთ თავისუფლებასა და მშვიდობას.

მაშ დაირაზმეთ პროლეტარიატის გარშემო და დადექით სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ!"

ი. ბ. სტალინმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა ალ. წულუკიძემ და ლ. კეცხოველმა საქართველოს მუშათა მოძრაობა წარმართეს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მუშათა რევოლუციური მოძრაობა მიზნად ისახავდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, პროლეტარული დიქტატურის დამყარებასა და სოციალიზმის განხორციელებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა, როგორც ეს ისტორიულმა გამოცდილებამაც დაადასტურა, სინამდვილედ გადაქცეულიყო ქართველი ხალხის საუკუნოებრივი, კეთილშობილი ოცნება—პოლიტიკური თავისუფლება, ეკონომიური კეთილდღეობა და ნაციონალური დამოუკიდებლობა. ეს დიადი მიზანი განხორციელდა. ქართველმა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელძღვანელობით საბჭოთა ხალხთა დიდ ოჯახში მიაღწია თავისი ქვეყნის აღორძინებას და აყვავებას და დღეს მტკიცედ მიიმართება წინ ახალ გამარჯვებებისაკენ.

მისტერ ჯონსტონი „სახალხო კაპიტალიზმის“ მქადაგებლის როლში

(ე. ჯონსტონის წიგნის „შეუზღუდველი ამერიკის“ გამო)

მისტერ ჯონსტონის წიგნი წარმოადგენს ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერების კრიზისის ახალ დადასტურებას, თუმცა იგი სხვაგვარი სახისაა, ვიდრე, ვთქვათ, მისტერ კეინსისა და მისტერ ჩეიზის წიგნები. საქმე იმაშია, რომ ე. ჯონსტონი სრულიად არ არის თეორეტიკოსი; იგი კაპიტალისტური სამყაროს პრაქტიკოსია, ამასთან დიდი მასშტაბის პრაქტიკოსი. იგი ამერიკული „ბიგ ბიზნესის“ (დიდი ბიზნესის) სამყაროს ტიპიური ფიგურაა. მოვიყვანთ ცნობებს, რომლებსაც ე. ჯონსტონი თავაზიანად გვაწვდის საკუთარი პიროვნების შესახებ თავის წიგნში: იგი არის მსხვილი ელექტროტექნიკური ფირმის მეთაური, მთელი რიგი ბანკებისა და კომპანიების გამგეობის წევრი და გარდა ამისა, 1942 წლიდან ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, პალატისა, რომელიც აერთიანებს 1.800 ადგილობრივ პალატას და სავაჭრო ასოციაციას, რომელთა წევრებას რიცხვი დაახლოებით 1 მილიონს უდრის.

მაშასადამე, მისტერ ჯონსტონი ბიზნესელი-პრაქტიკოსია. და თუ იგი იძულებული გახდა კალამი აეღო ხელში, საამისოდ სერიოზული მიზეზები არსებობდა.

პირველი მიზეზი, რამაც აიძულა მისტერ ჯონსტონი ხელი მოეკიდნა მისთვის უჩვეულო საქმისათვის,—ეს, რა თქმა უნდა, არის კაპიტალისტური სისტემისადმი ნდობის კრიზისი, რამაც ფართო განვითარება ჰპოვა 30-ანი წლების ეკონომიური კრიზისების შემდეგ. ე. ჯონსტონი ძალაუნებურად იძულებულია აღიაროს ეკონომიური კრიზისის გავლენა ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე. „1930-ანი წლების უდიდესმა დეპრესიამ,—სწერს იგი,—წარმოშვა ამერიკელ ხალხში განწყობილება, რომელიც სასოწარკვეთილებას უახლოვდება. ეს განწყობილება ჰგავს მსოფლიოს აღსასრულს,—მდიდარი, მოქმედი, თავისთავში დარწმუნებული, პროდუქტიული ამერიკის სამყაროს აღსასრულს. არა პროგრესი, არამედ უბრალო ცხოველური არსებობა ხდებოდა ეროვნულ იდეალად... გაჭირვებისა და უსაქმურობის ფიზიკური სანახაობა — დაუქმებული ფაბრიკები, მიტოვებული მაღაზიები, წყლით ამოვსებული შახტები,—ყველაფერი ეს საკმაოდ სამწუხარო იყო. გაცილებით უფრო ტრაგიკული იყო მორალური სანახაობა...“.[1]

1929-1933 წლების კრიზისი სასტიკი ლახვარი იყო ნაქები „ამერიკული ოპტიმიზმისათვის“. მისტერ ჯონსტონი ფრიად მხატვრულად აწერს, პატენტიანი ოპტიმისტები, კრიზისის გავლენით კუდამოძუებულნი, თუ როგორ ღრმად შეძვრნენ თავიანთ ბუნაგებში: „ადამიანებმა, რომლებიც აქამდე

[1]. ერიკ ჯონსტონი, „შეუზღუდველი ამერიკა“, ნიუ-იორკი, 1944. გვ. 113. ამის შემდეგ მოყვანილი გვერდები მითითებულია ტექსტში.

ტყუვდებოდნენ. თავდაჯერებულობის გამო, რომლებმაც თავიანთ რეგიგიად აქციეს თანდაყოლილი ოპტიმიზმი, უეცრად ერთბაშად დაჰკარგეს ხმები. მათ უკან დაიხიეს აბლაბუდათი დახლართულ კუთხეებისაკენ და გულხელი დაიკრიფეს უშინაარსო უმოქმედობაში. როცა იჩიჩქნებოდნენ ძველ კუნჭულებში, ისინი ბოდიშს ლუღლუღებდნენ იმისათვის, რომ კიდევ ცოცხლები არიან და იმედით იცქირებოდნენ გარშემო: „ხომ არ მოსჩანს მათი მხსნელი ცხენოსანი ადამიანი“. (გვ. 113).

ე. ჯონსტონი სწუხს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ფართო მასებში სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს კაპიტალიზმისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. ეს განწყობილებანი, სწერს იგი, „გაღრმავებულ იქნა პორაჟენცების ქადაგების შედეგად“. ვინღა არიან პორაჟენცები? მისტერ ჯონსტონი დაწვრილებით უპასუხებს ამ კითხვას იქ, სადაც ხატავს რუზველტის გარემოს. პორაჟენცები, — ამბობს იგი—„არიან ისინი, რომელთაც უყვარდათ ავადმყოფი (ესე იგი კაპიტალიზმი.—ი. კ.) და რომელთაც სურდათ ეხილათ იგი მთლიანად გამოჯანმრთელებული, მაგრამ პირდაპირ არ სჯეროდათ, რომ ეს შესაძლებელია. მათი აზრით პაციენტი შეიძლება გადარჩეს, მაგრამ დარჩება ქრონიკულ ინვალიდად, რომელიც უნდა იკვებოს სახელმწიფო ბებით და რომელიც ძლივსძლივობით ივლის ბიუროკრატიული ყავარჯნებით. კაპიტალისტური სისტემა მათ „მომწიფებულად“, მისი რეზერვები ამოწურულად, მისი „საზღვრები“ სამუდამოდ დახურულად მიაჩნდათ. ესენი არიან პორაჟენცები, მათი სახელი—ლეგიონია“. (გვ. 79).

მაგრამ, „პორაჟენცებს“ გარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თურმე აღმოჩნდა ბევრი ადამიანი, რომლებსაც, როგორც მისტერ ჯონსტონი ამბობს, „პაციენტი (ე. ი. კაპიტალიზმი.—ე.) არასოდეს არ მოსწონდათ“ და რომელთაც სურთ დაჩაროონ მისი დალუპვა, ვინაიდან კაპიტალიზმს უცქერიან როგორც ექსპლოატაციის სისტემას, ხოლო ბიზნესელებს როგორც პარაზიტებს (გვ. 79). „ესენი არიან კოლექტივისტები, სოციალისტები, კომუნისტები, ზეგეგმოსნები“ და საერთოდ ყოველგვარი „პროგრესისტები“ და „ლიბერალები“.

ამ ადამიანების შეხედულებანი, ბუნებრივია, მისტერ ჯონსტონს კიდევ უფრო სახიფათოდ მიაჩნია კაპიტალიზმისათვის, ვიდრე „პორაჟენცების“ ქადაგებანიც კი“.

ასე იმოქმედა „უდიდესმა დეპრესიამ“ ამერიკელი ხალხის გონებრივ მდგომარეობაზე. მეორე მსოფლიო ომმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიწვია წარმოების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის შენელება. მაგრამ მიუხედავად ამ შიშისა მომავალი კრიზისის წინაშე, უმუშევრობის ახალი ზრდის წინაშე, უნდობლობა კაპიტალისტური სისტემისადმი არ მოსპობილა. მისტერ ჯონსტონი ჩივის გადაჭარბებულ „იპოქონდრიულობას“ ამერიკელი ხალხის აზროვნებაში, რაც გამომდინარეობს „ეკონომიური კეთილდღეობისათვის საფრთხის და ენერგიისა და მიღწევების წყაროებისადმი არასაკმარო შეგნებისა და ნდობის გადაჭარბებული შეგნებისაგან“ (გვ. 131). და ეს მით უფრო აწუხებს მისტერ ჯონსტონს, რომ როგორც თვითონ სწერს, ომისშემდგომი პერიოდი იქნება „საზიფათო და კრიტიკული“ ამერიკის ეკონომიკისა და ამერიკის კაპიტალიზმისათვის. სწორედ ამიტომ მისტერ ჯონსტონს აუ-

ცხლებლად მიაჩნია ხმა აღიმაღლოს კაპიტალისტური წყობილების დასაცავად.

მისტერ ჯონსტონისათვის უჩვეულო როლში გამოსვლას მეორე მიზეზს წარმოადგენს ის საგულისხმო ფაქტი, რომ კაპიტალიზმისადმი ნდობის კრიზისმა გარკვეული ძალით მოიცვა ბურჟუაზიის სწავლული ლაქიებიც და იმდენად მოახდინა გავლენა მათ საქმიანობაზე, რომ ისინი, მათი ბატონების თვალსაზრისით, ცუდად ართმევენ თავს თავიანთ ამოცანებს. მისტერ ჯონსტონი აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავს კაპიტალიზმის სწავლულ აპოლოგეტთა ყოფაქცევითა და „მუშაობით". იგი ბრალს სდებს მათ იმაში, რომ ისინი თვითონ მოექცნენ „გაჭირვილი პროპაგანდისტების" გავლენის ქვეშ. კაპიტალიზმის დამცველები, ამბობს იგი, წარმოსთქვამენ თვითონ სიტყვა „კაპიტალიზმს" „ჩურჩულით და თითქოს მობოდიშებით". ისინი „ლექსიკონში ეძებენ მის შემცვლელ და ეუფრო რბილ გამოთქმებს". მათ „რცხვენიათ ამ სიტყვისა იმიტომ, რომ იგი გააბახეს გაჭირვილმა პროპაგანდისტებმა, რომელნიც გვაშინებენ დაუსრულებელი ტირადებით „მსუქანი პლუტოკრატების", „ზემოგებათა", „კაპიტალისტურ ექსპლოატატორთა" და „უოლსტრიტელ სისხლისმწოველთა" წინააღმდეგ". სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ კაპიტალისტური სისტემის ზოგიერთი დამცველიც კი ნავსაყუდელს ეძებს ბუნდოვან გამოთქმაში „კერძო წამოწყება" ან ჩქარობს თავი შეაფაროს დროშას და ლაპარაკობს „ამერიკული ცხოვრების ყაიდის შესახებ" (გვ. 87).

მისტერ ჯონსტონს არ მოსწონს მსგავსი მანევრები. „კაპიტალიზმი, — ამბობს იგი, — არ საჭიროებს ბოდიშებს". და მისი დაცვა საჭიროა ყოველგვარი განმარტებებისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშეო. მისტერ ჯონსტონი თავისი წიგნის მიზანს სწორედ კაპიტალისტური წყობილების პირდაპირ, გულახდილ დაცვაში ხედავს და არ იშურებს ამისათვის არც ძალას, არც შრომას.

მისი წიგნი კაპიტალიზმის პანეგირიკია. მისტერ ჯონსტონს თითქოს ერთგვარად თავიც კი მოაქვს კაპიტალიზმის აშკარა მომღერლის თავისი პოზიციით. „მე ვეკუთვნი,—აცხადებს იგი, —კაპიტალისტური წესის იმ დამცველებს, რომლებიც იღებენ მას ენტუზიაზმით, **მიუხედავად** მისი ნაკლოვანებებისა..." (გვ. 56—57).

მისტერ ჯონსტონი თავის პანეგირიკს იმით იწყებს, რომ, იცავს რა „ზომაზე მეტი ოპტიმისტების" ტრადიციებს, ქებას ასხამს ამერიკული „აყვავებისა" და „სიუხვის" სასწაულებს, ამასთან მოჰყავს ფოლადის, ავტომობილთა, რადიომიმღებთა და სხვა საჭონლის გამოშვების საყოველთაოდ ცნობილი ციფრები (ცხადია, ეკონომიური აღმავლობის მომენტებში). ყველაფერი ეს სრულიადაც არ არის ახალი, და მისტერ ჯონსტონის ზოგიერთ ოპტიმისტ წინამორბედს, რომლებიც უმღერდნენ ამერიკის „პროსპერიტის", გაცილებით უფრო მეტი ყოველწაირი ციფრი მოუყვანია. მაგრამ ვერც მათ, ვერც მისტერ ჯონსტონმა ვერ შესძლეს და არც ჰქონდათ საშუალება დაემტკიცებინათ ის, რომ დამზადებული საქონლის რაოდენობა კაპიტალიზმის პირობებში თითქოს წარმოადგენს მრომელთა კეთილდღეობის მაჩვენებელს. ვინაიდან თვით ცხოვრება, კაპიტალისტური სინამდვილე ასწავლის მასებს, რომ წარმოების ზრდას კაპიტალისტურ ქვეყნებში გარდუვალად თან ახლავს უმუშევრობის, სიღატაკის, ჭარბი წარმოების კრიზისების ზრდა.

მაგრამ მისტერ ჯონსტონისათვის, როგორც კაპიტალიზმის ზომაზე მეტი ენტუზიასტისათვის, უცხოა ეს მოსაზრებანი. დაიღგა რა ერთხელვე კაპიტალიზმის უსაზღვრო შემკობის გზას, იგი უკვე მიექანება წინ, ლაგამის ხრამუნით და არ არჩევს გზაკვალს. დაიწყო რა ერთხელვე კაპიტალიზმის ქება, იგი ხოტბას ასხამს ყველაფერს უკლებლივ: ამერიკელ მიზნეულებს და ამერიკულ ავტომობილებს, კონკურენციას, წარმოების კაპიტალისტურ ანარქიას და მასთანავე უმუშევრობასაც კი. გავყვეთ კვალდაკვალ მისტერ ჯონსტონს და ვნახოთ, როგორ ტყეში შეგვიყვანს მის მიერ კაპიტალიზმის პირწმინდად დაცვა.

მისტერ ჯონსტონის წიგნში ცენტრალური ადგილი უჭირავს **ინდივიდუალიზმის პრინციპის** გაბატონებას სამეურნეო ცხოვრებაში, ე. ი. საყოველთაოდ მიღებულ ენაზე რომ ვთქვათ, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების პრინციპს. ეს პრინციპი ამბობს ე. ჯონსტონი, არის კაპიტალიზმის სული და გული.

საწარმოო საშუალებათა კერძოკაპიტალისტური საკუთრება მართლაც არის კაპიტალიზმის სული და გული, მისი საფუძველი. მაგრამ ამასთან ერთად საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება არის კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობათა სათავე, საფუძველი. მაგრამ, ბუნებრივია, მისტერ ჯონსტონს არ სურს შეამჩნიოს საქმის ეს მხარე.

ინდივიდუალიზმი მეურნეობის დარგში, ე. ი. საწარმოო საშუალებათა კერძო მფლობელობა წარმოადგენს, ამბობს მისტერ ჯონსტონი, კონკურენციის საფუძველს, წინაპირობას, რომელიც თითქოს არის სამეურნეო განვითარების, ადამიანთა საზრისიანობისა და შემოქმედებითი სწრაფვის წყარო. სწორედ კონკურენციის მეოხებით, ამტკიცებს მისტერ ჯონსტონი, „ამერიკული სისტემა (ესე იგი ამერიკული კაპიტალიზმი.—ი. კ.) ათავისუფლებს ადამიანის გონების ყველა ძალებს და ხიდს სდებს უფსკრულზე ოცნებასა და სინამდვილეს შორის". (გვ. 45).

კონკურენციისათვის ხოტბის შესხმისას მისტერ ჯონსტონი იქამდე მიდის, რომ ირწმუნება, თითქოს კონკურენცია წარმოშობს თანამშრომლობას და თავის არსში „სულიერობის" ერთგვარ ელემენტებსაც კი შეიცავს. სინამდვილეში კაპიტალისტური **კონკურენცია** მუდამ და ყველგან ნიშნავდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, ზოგის დამარცხებასა და დაღუპვას, ზოგის გამარჯვებასა და ბატონობას. ამ ბრძოლაში,—რომლის დროსაც ადამიანი სძაბავს მთელ თავის ენერგიას, ოღონდ მარტო იმისათვის, რათა დაამარცხოს მეტოქე, გაანადგუროს იგი, — საზოგადოების თვალსაზრისით უნაყოფოდ იხარჯება უდიდესი ძალა და რესურსები.

საკონკურენციო ბრძოლა დამარღვეველ ფორმებში მიმდინარეობს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში **აქტიურად ბატონობს რამდენიმე** უალრესად მსხვილი მონოპოლია. ლაპარაკიც კი არ შეიძლება არავითარ ნამდვილ „შეჯიბრებაზე" კაპიტალისტური მეურნეობის ამ გიგანტებსა და წვრილ საწარმოთა და ფირმებს შორის. ერთადერთი, რის შესახებაც შეუძლია იოცნებოს ამ პირობებში „მცირე ბიზნესმა",—ეს მხოლოდ ის არის, რომ „დიდმა ბიზნესმა" ისე სწრაფად არ ჩაყლაპოს იგი.

როგორღა მოახერხა მისტერ ჯონსტონმა კონკურენციაში დაენახა თანამშრომლობა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მისი შემდეგი განცხადება: „იმისათვის,—სწერს იგი,—რომ დამარცხდეს მოწინააღმდეგის რაზმი, მოგვიწოდებენ განსაკუთრებული თანამშრომლობისაკენ საკუთარ რაზმში. ისინი, ვინც ბიზნესზე აზროვნებს მხოლოდდამხოლოდ ბრძოლის ცნებებით, აუტსაიდერები არიან“ (გვ. 11). სხვანაირად რომ ვთქვათ, მისტერ ჯონსტონი არ უარჰყოფს საკონკურენციო ბრძოლას მონოპოლიებსა და ცალკეულ ფირმებს შორის, მაგრამ იგი ირწმუნება, რომ ეს ბრძოლა იწვევს „თანამშრომლობის“ გაძლიერებას მონოპოლიებსა და ფირმებს შიგნით. მაგრამ ეს განცხადება გათვალისწინებულია გულუბრყვილოთათვის. ვინაიდან ფართოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ კონკურენციის გაძლიერება ცალკეულ მონოპოლისტურ გაერთიანებებს შორის მუდამ იწვევს მონოპოლიებს შიგნით ბრძოლისა და მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებას.

მისტერ ჯონსტონი, როგორც ყველა მისი წინამორბედი, ვინც ხოტბას ასხამდა კონკურენციის სიკეთეს, არაფერს ამბობს ერთი არსებითი გარემოების შესახებ, სახელდობრ იმის შესახებ, რომ მშრომელთათვის, მუშათა კლასისათვის კონკურენცია არასოდეს არ ყოფილა სიკეთე, არამედ მუდამ ნიშნავდა ექსპლოატაციისა და გაჭირვების გაძლიერებას. მით უმეტეს ეს ეხება იმპერიალიზმის ეპოქას. კონკურენციის ნამდვილი როლის კლასიკური დახასიათება იმპერიალიზმის ეპოქაში მოგვცა ვ. ი. ლენინმა.

„ბურჟუაზიული მწერლები, — აღნიშნავდა იგი.—აუარებელ ჭალალდს ახმარებდნენ და ახმარებენ წერით, ადიდებენ რა კონკურენციას, კერძო თაოსნობას და კაპიტალისტთა კაპიტალისტური წყობილების სხვა დიდებულ სიჭაბუკეთ და მშვენიერებას. სოციალისტებს ბრალს სდებდნენ იმაში, თითქოს მათ არ უნდოდეთ გაიგონ ამ სიჭაბუკეთა მნიშვნელობა და ანგარიში გაუწიონ „ადამიანის ბუნებას“. ნამდვილად კი კაპიტალიზმმა დიდი ხანია შეცვალა წვრილი სასაქონლო დამოუკიდებელი წარმოება, რომლის დროსაც კონკურენციას შეეძლო რამოდენიმედ მაინც **ფართო** ფარგლებში აეზარდა თაოსნობა, ენერგია, წამოწყების გაბედულობა, მსხვილი და უმსხვილესი საფაბრიკო წარმოებით, სააქციო საწარმოებით, სინდიკატებით და სხვა მონოპოლიებით. **ასეთი** კაპიტალიზმის დროს კონკურენცია ნიშნავს მოსახლეობის **მასის,** მისი უზარმაზარი უმრავლესობის, მშრომელთა ოთხმოცდაცხრაეტი მეასედის თაოსნობის, ენერგიის, გაბედული წამოწყების საშინლად მხეცურ შემუსვრას, ნიშნავს აგრეთვე შეჯიბრების შეცვლას ფინანსიური თაღლითობით, დესპოტიზმით, ლაქიობით, ზევით სოციალურ კიბეზე“ (თხზულებანი, ტ. XXII. გვ. 171).

მისტერ ჯონსტონი ცდილობს საქმე ისე წარმოგვიდგინოს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველა მას წევრს აქვს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობანი, ყველა „რისკს ეწევა“ და თითეულს აქვს „შეძენისა და ზარალის თავისი წილი“. მაგრამ რეალურ კაპიტალისტურ სინამდვილეში საქმე სხვანაირად არის. ადამიანთა „შესაძლებლობანი“ კაპიტალიზმის პირობებში სრულიადაც არ არის ერთნაირი, და ისინი განისაზღვრებიან ადამიანთა სხვადასხვაგვარი ეკონომიური მდგომარეობით. განა შეიძლება ითქვას, რომ მსხვილი მონოპოლისტისა და წვრილი მეწარმის შანსები ერთნაირია? სრულიადაც არა. მით უფრო ეს არ შეიძლება ითქვას, როცა ჩვენ ერ-

თმანეთს ვადარებთ მისტერ ჯონსტონის მსგავსი მსხვილი საქმოსნის „მანსებს“, რომელსაც აქვს მილიონობით შეძლება, და რიგითი ამერიკელი მუშა შანსებს. მაგრამ მისტერ ჯონსტონი დაჟინებით იცავს იმას, რომ საწარმოო საშუალებებს მოკლებულ მუშებს აქვთ კაპიტალისტთა „თანაბარი შესაძლებლობანი“. ეს მას სჭირდება, კერძოდ, იმისათვის რომ უმუშევრობისა და სიღატაკისათვის პასუხისმგებლობა დააკისროს... თვით მშრომელებს. ვინაიდან როგორც ეგი ამბობს, კაპიტალისტური დემოკრატია „ითვალისწინებს არა მარტო ინდივიდუმის ღირსებას, არამედ **მის ნიჭსაც, მის თავისუფალ ნებისყოფასაც იზრუნოს თავისთავზე**“. (გვ. 62. ხაზი ჩემია.—**ი. კ.**).

ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ არის ახალი, მაგრამ უაღრესად ხელსაყრელი თვალსაზრისია კაპიტალისტებისათვის. ხელსაყრელია იგი იმით, რომ ეხმარება კაპიტალისტებს მოიხსნან ყოველგვარი პასუხისმგებლობა მასების გაჭირვებისა და სიღატაკისათვის. როგორ მოეწყობა ესათუის ინდივიდუმი ცალკე.—თითქოს ეს მისი კერძო საქმეა, ვინაიდან თვითეულს აქვს უფლება „რისკი გასწიოს“ და შიმშილით მოკვდეს. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში, როცა მასობრივი უმუშევრობა ქრონიკული მოვლენა გახდა და როცა კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო და უფრო მტკიცედ აყენებს საკითხს კაპიტალისტური სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მილიონობით ადამიანთა ბედისათვის, მისტერ ჯონსტონის მსჯელობა გვაცდებს თავისი შეუნიღბავი ცინიზმით.

მისტერ ჯონსტონს ეშინია უმუშევრობისა და გარკვეულ ვალს იხდის დროის წინაშე, როცა აცხადებს: „ერთადერთი მოვლენა, რასაც შეუძლია უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმეს, გამოიწვიოს კაპიტალიზმის დაღუპვა... არის მასობრივი უმუშევრობა“ (გვ. 140). მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ უმუშევრობა აშინებს მისტერ ჯონსტონს რაიმე ჰუმანური მოსაზრებებით. არა, მას ადარდებს მხოლოდ კაპიტალიზმის ბედი, და სრულიადაც არ ადარდებს უმუშევართა ხვედრი. მისტერ ჯონსტონი სრულიადაც არ არის უმუშევრობის წინააღმდეგ. პირიქით, იგი არწმუნებს მკითხველებს, რომ სიღატაკე და უმუშევრობა მუდამ იყო და იქნებაო. აძიტოძ უმჯობესია ყური არ ვუგდოთ „მკითხავთა“ მსჯელობას (მკითხავებს უწოდებს ჯონსტონი საერთოდ ყველა პროგრესიულ მოღვაწეს, რომლებიც ვერ ურივდებიან კაპიტალიზმის ბოროტებას), რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა რეცეპტებს სოციალურ სნეულებათა სამკურნალოდ, კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციამდეც კი, არამედ შევეგუოთ „რეალურს“, ესე იგი კაპიტალისტურ წესებს და მოთმინებით გადავიტანოთ ყოველგვარი გაჭირვება.

1929—1933 წლების ეკონომიური კრიზისის დროს და მის შემდეგ, როცა განსაკუთრებით გამწვავდა მასების უმუშევრობა და სიღატაკე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მშრომელებში დიდი პოპულარობა მოიპოვა სოციალური უზრუნველყოფისა და „სოციალური უშიშროების“ მოთხოვნებმა. ეს იყო მასების ბუნებრივი რეაქცია ახალ მრისხანე მოვლენებზე კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომლებიც ჰბადებდნენ მშრომელებში უდიდესი დაუცხრომელობის და შეშფოთების გრძნობას თავისი ბედის გამო, შეშფოთების გრძნობას ხვალინდელი დღის გამო.

ყველა ჯურის ბურჟუაზიულმა რეფორმატორებმა მრავალი ყოველგვარი „გეგმა“ და „სქემა“ წამოაყენეს უმუშევართა დასაზღვევად, უმუშევრობასთან საბრძოლველად, „სამუშაოთი სრული დატვირთვის“ უზრუნველსაყოფად, რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის ფარგლებში და კაპიტალისტთათვის ზიანის მიუყენებლად. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მისტერ ბევერიჯის საქმიანობა ინგლისში. ცხადია, ამ გეგმების არცერთ ავტორს არც უფიქრია ძირი მოესინჯა კაპიტალიზმისათვის.

მაგრამ მისტერ ჯონსტონს საშინლად აწუხებს ამგვარი „გეგმებიც“. იგი მთელი ძალით ესხმის თავს „სოციალური უზრუნველყოფისა“ და „სოციალური უშიშროების“ მქადაგებლებს. იგი ამბობს, რომ ამ ადამიანებს სურთ „დაჭმანონ ეკონომიკა ბამბით საკონკურენციო სინამდვილის ქარების წინააღმდეგ“ (გვ. 131). რომ ისინი ცდილობენ წარმოგვიდგინონ ქვეყანა „როგორც პერმანენტული ინვალიდი და პენსია დაუნიშნონ მთელ მის მოსახლეობას“ (გვ. 132). სოციალური დაზღვევა და „სამუშაოთი სრული დატვირთვა“, ირწმუნება მისტერ ჯონსტონი, რომ განხორციელდეს, გამოიწვევს მთელი ეკონომიკის მოშლას. სოციალური დაზღვევა, სწერს იგი, „ახდენს ნორმალური ეკონომიური ზრახვების შანტაჟს“, მოითხოვს „იმგვარ გადასახადთა შემოღებას, რაც ანშობს ბიზნესს, ანგრევს კაპიტალის მფლობელებს“ (გვ. 133).

მისტერ ჯონსტონი თავს ესხმის აგრეთვე „სამუშაოთი სრული დატვირთვის“ თვით ცნებას. ამ გამოთქმას ხმარობენ, ამბობს იგი, ძლიერ თავისუფლად და ფართოდ. „ფრაზა ისე ხიბლავს ადამიანს, რომ ბევრი განიცდის ცდუნებას იხმაროს იგი“ (გვ. 144). მაგრამ მისტერ ჯონსტონი პირდაპირ აცხადებს, რომ უმუშევრობის ლიკვიდაცია შეუძლებელია.

ცხადია, კაპიტალისტური საზოგადოება აუცილებლად წარმოშობს შრომის სარეზერვო არმიას; კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში ჩნდება მასობრივი ქრონიკული უმუშევრობა. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული უმუშევრობა, უნდა მოისპოს მისი წარმომშობი პირობები,—სახელდობრ კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე. ამ მხრივ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას სსრ კავშირში, სადაც საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე უზრუნველყოფილია თვითეული მოქალაქის თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა. სსრ კავშირის მაგალითის მიხედვით მთელი მსოფლიოს მშრომელები რწმუნდებიან, რომ უმუშევრობა სრულიადაც არ არის მარადიული ბოროტება, რომ მისი აღმოფხვრა შეიძლება.

მაგრამ თუ კაპიტალიზმის პირობებში არ შეიძლება მოისპოს უმუშევრობა, მუშებს მაინც შეუძლიათ მიაღწიონ მისი შედეგების ერთგვარ შეზღუდვას. ეს მოითხოვს პროგრესიული საზოგადოებრივი ძალების თანმიმდევრულ ბრძოლას საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაში. დღეს მოკრატიული რეფორმების განსახორციელებლად, მონოპოლისტების გაუმაძღარი მადის შესაკვეცად, მათი მოგებებისა და უფლებების შესაზღუდავად, უფლებებისა—ქუჩაში გაადგმინონ მუშები და ეს გამოიყენონ როგორც მუშათა კლასზე ეკონომიური და პოლიტიკური ზეგავლენის საშუალება. მაგრამ ასეთი ცდები წინააღმდეგობას ხვდებიან მისტერ ჯონსტონის თანამზრახველთა მხრივ ამერიკელ მონოპოლისტთა ბანაკიდან. და ეს სავსებით გასაგებია.

ისინი, ისევე როგორც მისტერ ჯონსტონი, დგანან ბიზნესის სადარაჯოზე. ისინი ცდილობენ, რომ „დაუბრუნონ ბიზნესს სტაბილურობის გრძნობა“ (გვ. 142), შემცირდეს მრეწველთა გადასახადები, გაუქმდეს კონტროლი ფასებზე, „ბიუროკრატიული ჩარევისაგან განთავისუფლება,—სწერს ე. ჯონსტონი, — არის პირველი პირობა კაპიტალის ასამოძრავებლად და ინვესტიციების გასატარებლად, რაც ნიშნავს მთავარ ამოცანას „სამუშაოთი სრული დატვირთვის“ მიმართ ომის შემდეგ“. (გვ. 142). აი რას გულისხმობს მისტერ ჯონსტონი, და ეს არის მონოპოლისტური კაპიტალის პროგრამა. მიეცით გასაჭანი ბიზნესს, ხელფეხი შეუხსენით მას, მიეცით რაც შეიძლება მეტი მოგება, შეამცირეთ გადასახადები, — თითქოს ამაშია სწორედ მთავარი იშვიდი სამუშაოთი დატვირთვის მიმართ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ ამერიკელი მონოპოლისტები აღტაცებით იღებენ ამ პლატფორმას, სამაგიეროდ ამერიკელი მუშები აღშფოთებით უარჰყოფენ მას.

უმუშევრობის „კეთილისმყოფელა“ როლის შესახებ გამოჩინებასთან ერთად მისტერ ჯონსტონმა გაახარა თავისი თანამოქალაქენი იმის „აღმოჩენით“, რომ წარმოების ანარქია არის „ცხოვრების ამერიკული ყაიდის“ ესე იგი ამერიკის კაპიტალიზმის უდიდესი საკეთე. მისტერ ჯონსტონი ამხედრებულია იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ „შეცვალონ სახელმწიფო დაგეგმვით კერძო მწარმოებლობის სისტემა“ და რომლებიც „მოხარული არიან დასცინონ ჩვენი თანამედროვე ეკონომიური სტრუქტურის „ქაოსს“ (გვ. 66). ეს ადამიანები, ამბობს იგი, საბუთად იყენებენ ფასების და სამუშაოთი დატვირთვის მერყეობას, ჭარბი წარმოების კრიზისებს და ა. შ. და ამავე დროს გეგმაზომიერად ორგანიზებულ წარმოებას იმ ქვეყნებში, სადაც ხორციელდება სახელმწიფო დაგეგმვა. მისტერ ჯონსტონს არ მოსწონს ასეთი შედარება, და იგი ირწმუნება, რომ მეურნეობის მოწესრიგების სტიქიური მექანიზმი გაცილებით უფრო სრულყოფილია და ეკონომიურად ეფექტიანად, ვიდრე მეურნეობისადმი შეგნებული ხელმძღვანელობის მექანიზმი. ჩვენს საუკუნეში, როცა წარმოების კაპიტალისტურმა ანარქიამ პრაქტიკაში საბოლოოდ გაიბახა თავი, ხოლო დაგეგმვის გზით შეგნებული ხელმძღვანელობის უპირატესობებს აღიარებს, ადამიანთა ფართო წრე კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, ადამიანს სრულიად არ უნდა გააჩნდეს რეალობის გრძნობა, რომ ასეთი განცხადებით გამოვიდეს.

კაპიტალისტური მეურნეობა მართლაც ამყოფება მისთვის დამახასიათებელი ობიექტურად მოქმედი კანონების მუდმივი „კონტროლის“ ქვეშ. ეს კანონები რომ არ ყოფილიყო, არც კაპიტალისტურ მეურნეობას შეეძლებოდა არსებობა: იგი დაიშლებოდა ცალკე, ერთიმეორესთან დაუკავშირებელ სამეურნეო უჯრედებად. მაგრამ ბრმა ან შეგნებული მატყუარა უნდა იყოს ადამიანი, რომ ხოტბა შეასხას კაპიტალისტურ სტიქიას, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ უბედურებათა წყაროს. კაპიტალისტური მეურნეობის კანონები მოქმედებენ ბუნების სტიქიური ძალების მსგავსად, იწვევენ მოსახლეობის მასების გაღატაკებას, საწარმოო ძალთა ველურ ფლანგვას, კატასტროფულ კრიზისებს. მისტერ ჯონსტონს რატომღაც დავიწყნია, რომ კრიზისები — ეს ხომ ასევე აუცილებელი მომენტია კაპიტალისტური სტიქიური „კონტროლისა“. კრიზისები—ეს ხომ „სასიცოცხლო რეალობაა“ და კაპიტალიზმის შინაგანი ლოგიკის მოვლენებია. მაგრამ კაპი-

ტალიზმის ვერც ერთი პოლოგეტი ვერ ბედავს ამჟამად ხოტბა შეასხას კრიზისების კეთილისმყოფელ როლს; აშკარად ამას ვერც მისტერ ჯონსტონი ბედავს.

ძნელი, განუხორციელებელი ამოცანა დაუსახავს მისტერ ჯონსტონს, როცა ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები მეურნეობის სტიქიური მოწესრიგების უპირატესობებში. ვინაიდან ყოველდღიური პრაქტიკა არწმუნებს ადამიანებს სწორედ საწინააღმდეგო რამეში—სტიქიური ძალების ადამიანის ნებისყოფისადმი დამორჩილების სასიცოცხლო აუცილებლობაში, საზოგადოებრივი განვითარებისადმი შეგნებული ხელმძღვანელობის აუცილებლობაში.

მაგრამ მისტერ ჯონსტონისათვის ძნელია ამ უბრალო ამბების გაგება, ვინაიდან მის აზროვნებას მთლიანად განსაზღვრავს მისი კაპიტალისტური ყოფა. როცა მისტერ ჯონსტონი დაგეგმვის შესახებ ლაპარაკობს, მას იგი უცვლელად წარმოდგენილი აქვს როგორც სახელმწიფოს ჩარევა კერძო მწარმოებელთა საქმეებში, ე. ი. უცვლელად აქვს მიჩნეული კაპიტალისტური საკუთრება საწარმოო საშუალებებზე. ცხადია, რომ ასეთი „დაგეგმვა“ ეწინააღმდეგება თავის საფუძველს და როგორც შეფერადებულად ამბობს მისტერ ჯონსტონი, იგი „ხელს უშლის ეროვნული ნებისყოფის სრულ, ნაპირგადასულ გამოვლინებას — შეჰქმნას, აშენოს, ექსპერიმენტები მოახდინოს, რისკი გასწიოს“ (გვ. 68). ესე იგი ზღუდავს ასე თუ ისე კაპიტალისტთა მოქმედებას.

ამასთან ნაძდეილი დაგეგმვა შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე. და მაშინ, როცა ეს მშვენივრად სჩანს საბჭოთა ეკონომიკის მაგალითზე, დაგეგმვა ცხადჰყოფს თავის უდიდეს შესაძლებლობებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რატომ აქებს მისტერ ჯონსტონი წარმოების კაპიტალისტურ ანარქიას. საქმე იმაშია, რომ ეს ანარქია მისთვის ხელსაყრელია, შეესაბამება მის ინტერესებს. არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ წარმოების ანარქია, კრიზისები ერთნაირად ეხებიან კაპიტალისტური საზოგადოების ყველა ფენას. ყველაზე უფრო მეტად მათგან მშრომელები იტანჯებიან. მათ მოქმედებას ძლიერად განიცდიან წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მწარმოებლები, რომლებიც ათასობით ღატაკდებიან და რომელთაც ნთქავენ მსხვილი საქმოსნები. მისტერ ჯონსტონი მსხვილი საქმოსანია. დიდი გემის მსგავსად იგი თამამად ემზადება სარისკო ცურვისათვის კაპიტალისტური სტიქიის ტალღებზე, და იმედი აქვს არა მარტო უვნებლად დარჩენისა, არამედ არსებითად მოითბოს ხელი მცირე ხომალდების ხარჯზე, რომლებიც მაბობრივად იძირებიან კონკურენციის და კრიზისების შეტევის გამო. ამიტომ მისტერ ჯონსტონი გამოხატავს თავისი წრის მხოლოდ აზრებსა და გრძნობებს, როცა იგი ხოტბას ასხამს წარმოების კაპიტალისტურ ანარქიას.

ამასთან დაკავშირებით სავსებით გასაგები ხდება მისი დამოკიდებულებაც სახელმწიფოებრივი რეგულაციისადმი, სახელმწიფოს ჩარევისადმი ეკონომიურ ცხოვრებაში. მისტერ ჯონსტონი არკვევს რა ამ საკითხს, ააშკარავებს უკიდურეს ვნებიანობას და ნერვიულობას. სჩანს, ბევრი სატკივარი და სამწუხარო გაუჩნდა მის სულს რუზველტის „ახალი კურსის“ პე-

რიოდში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მეურნეობის სამხედრო რეგულაციის განმავლობაში! და მისტერ ჯონსტონი არ ჰფარავს ამას. განსაკუთრებული სიბრაზით თავს ესხმის იგი რუზველტის პოლიტიკას „ახალი კურსის“ პერიოდში.

გამოხატავს რა მსხვილი მონოპოლისტების განწყობილებებს, რომელთაც ასეთისე შეეხო რუზველტის პოლიტიკა, ჯონსტონი სწერს, რომ „ახალი კურსის“ სულისჩამდგმელი იყო „ვენდეტას სული“, შურისძიების სული მწარმოებელთა მიმართ. „ბიზნესი არა მარტო მიგდებულ იქნა ძალის ბუნაგში, არამედ მას მთელი მონდომებით აძრობდნენ ტყავს“ (გვ. 22). შემდეგ იგი სჩივის, რომ პრეზიდენტის უახლოესი თანამშრომლები „იშვიათად უშვებდნენ შესაძლებლობას დაერწმუნებინათ ჰვილთი კერძო წარმოებისა და მისი ცალკე წარმომადგენლებისათვის, როგორც სისტემა“ (გვ. 22). კრიზისის წლებში, სწერს ჯონსტონი, ბიზნესელებს „ჰგმობდნენ როგორც პარაზიტებს... კონგრესმა გამოსცა შემზღუდველი დეკრეტების დაუსრულებელი სერია. ბიუროკრატიული წესების შემდგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, და მალე ბიზნესმა იხილა თავი გარშემორტყმული რესტრიქციებით, მუდმივად დევნილად, კანონგარეშე მყოფად“ (გვ. 20).

ასე მხატვრულად ასწერს მისტერ ჯონსტონი იმ შევიწროებათ, რომელთაც თითქოს განიცდიდა „საცოდავი“ და „უმწეო“ ბიზნესი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მისტერ ჯონსტონი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები, რომ ბიზნესი ომის დროსაც დაჩაგრული იყო. იგი არ ეთანხმება მათ, ვინც უცქერის სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიურ ცხოვრებაში ომის დროს როგორც კაპიტალისტური სამხედრო ეკონომიკის აუცილებელ მომენტს. მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირება, ჯონსტონის აზრით, „ყოველგვარ პირობებში ხელს უშლის კერძო მწარმოებლობის განვითარებას. „ცდა განვიხილოთ სამხედრო წარმოების წარმატებანი, როგორც სახელმწიფოებრივი რეგულირების ტრიუმფი,—სწერს იგი,—განწირულია მარცხისათვის, ვინაიდან ადვილად შეიძლება ომის დანახვა, რომ კერძო კაპიტალიზმმა შეასრულა ამოცანა **მიუხედავად** ხელისშეშლისა მთავრობის პოლიტიკის მხრივ, რომელიც ჰკვეცდა მოქმედების კერძო თავისუფლებას, და **მიუხედავად** მრავალობით დაბრკოლებებისა ბიუროკრატიული კონტროლის მხრივ“ (გვ. 107).

მისტერ ჯონსტონი ამ შემთხვევაში თავისი თავის ერთგულად რჩება. იგი ბოლომდე სდგას „ინდივიდუალიზმის“ და „ინდივიდუალური“ (ესე იგი მწარმოებლური) თავისუფლების პრინციპის სიწმინდისა და ხელშეუხებლობის სადარაჯოზე. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიურ ცხოვრებაში, ამბობს იგი, არღვევს ანარქიის კეთილისმყოფელ კანონთა მოქმედებას, ბორკავს მონოპოლისტთა ენერგიას, უკარგავს მათ დიდი მოგებების რწმენას. ამიტომ სახელმწიფოებრივ ჩარევას შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიური ცხოვრების დაშლა.

რატომ დაიკავა მისტერ ჯონსტონმა ასეთი შეურიგებელი პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის იმ ელემენტების მიმართაც კი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ომის დროს? ეს საიდუმლო ადვილი ასახსნელია. მისტერ ჯონსტონი ხედავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „არიან მილიონობით ადამიანები, რომელთაც ენატ-

რებათ გეგმიური საზოგადოება ყოველისმცოდნე და ყოველისშემძლე სახელმწიფოს ხელმძღვანელობით“ (გვ. 59). ამ მილიონობით ადამიანთა დანახვა მას ძრწოლას ჰგვრის. ამ პირობებში, მისი აზრით, უალრესად სახიფათოა პეტრნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრაქტიკა.

„ამჟამად განსაკუთრებით სახიფათო რამ, — სწერს იგი,—ეს არის საზღვრის სწრაფი გადანაცვლება მთავრობასა და კერძო ინიციატივას შორის“ (გვ. 31). მას ეშინია, რომ ეს გადანაცვლება ძალიან შორს არ წავიდეს; მას ეშინია, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის პრაქტიკას შეუძლია გააძლიეროს მილიონობით ადამიანთა მოთხოვნილებანი წარმოების ანარქიის და ბაზნეის მადის შეზღუდვის შესახებ, რომ იგი შეიძლება საფეხური გახდეს „გეგმიანი მეურნეობისაკენ ყოველისშემძლე სახელმწიფოს მეთაურობით“.

საკვირველი ბუნებრივია, რომ მისტერ ჯონსტონი ილაშქრებს „სტეიტაზმის“ და „სტეიტისტების“ (სიტყვა სტატე—სახელმწიფოსაგან) წინააღმდეგ. ამასთან „სტეიტისტების“ რიცხვში იგი გულისხმობს ამერიკის შეერთებულ შტატებში „ახალი კურსის მომხრეთაც“, სოციალისტებსაც, კომუნისტებსაც, და ფაშისტებსაც კი. და მისტერ ჯონსტონი ამას ტყუილუბრალოდ როდი სჩადის. სწორედ ასევე ტყუილუბრალოდ არ იმეორებს იგი პირწავარდნილი რეაქციონერების ცილისწამებას საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ.

საბჭოთა სახელმწიფო მისტერ ჯონსტონის აშკარა უკმაყოფილებას იწვევს. ბევრი ფიქრობდა, სწერს იგი, რომ საბჭოთა სახელმწიფო დროთა განმავლობაში „დასჭკნებოდა“. მაგრამ არავითარი ასეთი რამ არ მომხდარა. საბჭოთა სახელმწიფო, მწუხარებით აღიარებს იგი, შორს არის „დაჭკნობისაგან“ და კიდევ უფრო ძლიერი ხდება (გვ. 65).

აქონიეთ მხედველობაში, რომ ეს დაიწერა 1944 წელს, როცა მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახდა, რომ ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურება მოახლოვებული იყო და რომ ეს განადგურება შესაძლებელი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მეოხებით. ეს სახელმწიფო რომ „დაჭკნარიყო“, — მსოფლიოში არ აქნებოდა ძალა, რომელსაც შეეძლებოდა წინააღმდეგობა გაეწია ფაშისტური ბარბაროსობისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა და განვითარება საფუძველს უკარგავს მისტერ ჯონსტონის ყოველგვარ ხრიკებს კაპიტალიზმის უპირატესობათა შეჭების შესახებ. ამის ყველა ცდას,—გაამართლოს წარმოების ანარქია და მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის სხვა უბედურებანი. საბჭოთა სახელმწიფო პრაქტიკულად გვიჩვენებს უმუშევრობის, წარმოების ანარქიისა და კრიზისების ლიკვიდაციის შესაძლებლობას, ახალი, კაპიტალიზმის პირობებში არნახული ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის სტიმულებისა და ადამიანთა შორის ახალ ურთიერთობათა წარმოშობისა და გან-

ვითარების შესაძლებლობას. ამიტომ მისტერ ჯონსტონი მიმართავს ცილისწამებას, სწორედ ამიტომ იგი ცდილობს ლაფში ამოსვაროს სოციალიზმის ქვეყნის უდიდესი მიღწევები.

* * *

მისტერ ჯონსტონს არ შეუძლია ფაქტებს პირდაპირ შეხედოს თვალში და აღიაროს ამერიკული კაპიტალიზმის ნამდვილი ხასიათი. რანაირადაც არ ყოყლოჩინობს ის წიგნის დასაწყისში და რანაირადაც არ ბაქიობს თავისი ამკარა ხოტბით კაპიტალიზმის მიმართ, ბოლოსდაბოლოს ვერც იგი აღწევს თავს ჩვენს საუკუნეში კაპიტალიზმის აპოლოგეტთა საერთო ხვედრს. წიგნში უაღრესად ჰარბად არის საგრძნობი იმპერიალიზმის ამკარა დაცვა. ამიტომ მიმართავს სწორედ მისტერ ჯონსტონი თანამედროვე კაპიტალიზმის შელამაზებას, იგონებს მისთვის ახალ სახელს—„სახალხო კაპიტალიზმს".

ამერიკაში, თუ დაეუჯერებთ მისტერ ჯონსტონს, ყველა ადამიანი კაპიტალისტია, ვინაიდან ისინი ცხოვრობენ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. „უაღრესად უჩინარი მუშა ერთ-ერთ ჩემს ელექტროქარხანაში, კლერკი ბანკში, რომლის გამგეობაშიც მე ვმონაწილეობ, გამყიდველი ჩემს აგურის ან კირის ფირმაში—ნაკლები კაპიტალისტები როდი არიან. ვიღრე მე თვითონ ვარ" (გვ. 13),—ასე აცხადებს მისტერ ჯონსტონი. თუ დავუჯერებთ მას, ყველა ადამიანს ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვს თანასწორი უფლებები და შესაძლებლობანი. მწარმოებლები თავიანთ საქმიანობაში აღფრთოვანებული არიან თითქოს არა მოგების წყურვილით, არამედ პირიქით, კეთილშობილური ზრუნვით საერთო კეთილდღეობაზე. „როცა ჰალლი აგებს რკინიგზებს, კარნეჯი ასხამს ფოლადს, ფორდი ამზადებს იაფფასიან ავტომობილებს, ისინი გრძნობენ, რომ მონაწილეობას იღებენ უდიდეს პროცესში, ჩვენი ამერიკული ცივილიზაციის შექმნის პროცესში". ყველა ისინი, ამტკიცებს ჯონსტონი, არიან „მძერწავები, რომლებიც ჰკვეთენ ოცნებას სიუხვესა და საერთო პროგრესის შესახებ ჩვენი ნაციონალური რესურსების მარმარილოდან" (გვ. 46).

ბოლოს, მისტერ ჯონსტონი ახდენს საოცარ „აღმოჩენას", რომ თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არიან მონოპოლია და მონოპოლისტები. იგი აღიარებს, რომ ამერიკას შეერთებულ შტატებში არის „ბიგ ბიზნესი", მაგრამ თურმე უდიდესი მონოპოლისტური გაერთიანებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში „ყველაზე უფრო დემოკრატიული ორგანიზაციები არიან": ისინი თითქოს თვითონაც ცხოვრობენ და სხვებსაც აცხოვრებენ. თავის ამ აღმოჩენას, რომელიც ყველას, ნაკლებად გამოცდილ მკითხველსაც კი ღიმილს მოჰგვრის, მისტერ ჯონსტონი „ასაბუთებს" შერმანის ანტიტრესტული კანონის უბრალო მოშველიებით, თუმცა როგორც ცნობილია, ამ კანონს სრულიადაც არ შეუშლია ხელი ამერიკის შეერთებულ შტა-

ტებში მოიფლითში ყველაზე უდიდესი მონოპოლიების წარმოშობისა და განვითარებისათვის. მისტერ ჯონსტონი აღნიშნავს ამერიკის კაპიტალიზმის უპირატესობას „ბრიტანული ტიპის“ მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინაშე და ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით ამბობს, რომ მარტო ამერიკას შეუძლია უჩვენოს მსოფლიოს ნამდვილი კაპიტალიზმის გზა (გვ. 94).

მისტერ ჯონსტონი ასე ჰკაზმავს და ნიღბავს ამერიკის მონოპოლისტურ კაპიტალიზმს.

მაგრამ მთელი თანამედროვე სინამდვილე ნიღაბს ხდის ლეგენდას „სახალხო კაპიტალიზმის“ შესახებ, რომელიც თითქოს ბატონობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, და ააშკარავებს ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალიზმის ჭეშმარიტ სახეს, მის ანტისახალხო არსს. თვით ცხოვრება იძლევა იმის სულ ახალ-ახალ დადასტურებას, რომ მონოპოლისტები თავიანთ საქმიანობაში სრულიად არ ხელმძღვანელობენ ხალხის ინტერესებით, არამედ—ანგარული ინტერესებით, მოგების გაუმაძღარი წყურვილით. ფართოდ არის ცნობილი, რომ ომის დროს ამერიკელი მონოპოლისტები გასუქდნენ სამხედრო ზემოგებებით. ზოგიერთი მათგანი, ხელმძღვანელობდა რა გაუმაძღარი ზრახვებით, დაკავშირებული იყო მტრული სახელმწიფოების მონოპოლისტურ ორგანიზაციებთან და მოქმედებდა ამ სახელმწიფოთა სასარგებლოდ. ომის შემდეგ ამერიკელმა მონოპოლისტებმა თავიანთი დიდი მოგებების დასაცავად გაილაშქრეს მუშათა კლასის სასიცოცხლო დონის წინააღმდეგ, შეეცადნენ მისთვის დაეკისრებინათ მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნის სიმძიმე. ბოლოს, მისტერ ჯონსტონის წიგნიც, რომელშიც იგი ასე თავგამოდებით იცავს მონოპოლისტთა უფლებას—მიიღონ უმაღლესი მოგება, მთელი სიცხადით გვიჩვენებს, თუ რა არის სინამდვილეში მათი საქმიანობის მოტივი.

ამჟამად შეუძლებელია ვისამე დარწმუნება იმაში, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქოს არ არიან მონოპოლიები და მონოპოლისტები. შეერთებული შტატები ომამდეც იყო მსხვილი მონოპოლიების ქვეყანა. ომმა გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოების კონცენტრაციის გაძლიერება, მსხვილი მონოპოლიების ძალების მკვეთრი ზრდა, მათი კავშირის გაძლიერება სახელმწიფო აპარატთან. ამ ქვეყანაში სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებამ უკანასკნელ დროს დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. ამერიკის შეერთებული შტატები სწორედ ახლა დგანან პირველ ადგილზე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მონოპოლიზაციის დონისა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების დონის მიხედვით. მაგრამ ამერიკელ მონოპოლისტებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო ასეთი სახის „სტეიტიზმისა“, ვინაიდან იგი პირდაპირ სასარგებლოა მათთვის, ეხმარება მათ გაატარონ სახელმწიფო აპარატის დახმარებით თავიანთი რეაქციული შინაური და საგარეო პოლიტიკა.

მისტერ ჯონსტონის წიგნი არის ამერიკელ მონოპოლისტთა სახარება. იგი მათ აძლევს მათი პოლიტიკის დასაბუთებას ბრძოლაში მთავრობის კონტროლის წინააღმდეგ, მაღალი ფასებისათვის და მწარმოებელთა მცირე გადასახადებისათვის, ბრძოლაში მუშათა კლასის სასიცოცხლო ღონისა და უფლების წინააღმდეგ, რეაქციული საგარეო პოლიტიკის გატარებაში.

სხვაგვარ დამოკიდებულებას გამოიჩენენ ჯონსტონის წიგნის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასი და ყველა პროგრესიული წრეები. ვინაიდან, მიუხედავად ძლიერი შენიღბვისა, ამ წიგნის ავტორი აშკარად მოსჩანს როგორც თავგამოდებული დამცველი მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებისა. და მისტერ ჯონსტონი ამაოდ სჩივის „გაჭნალ პროპაგანდისტებზე". თვითონ ცხოვრება ხდის ნიღაბს კაპიტალიზმის ყოველგვარ შელამაზებას. იგი ნაღაბს ხდის მის მომღერალს და მოცეკვეს—მისტერ ჯონსტონსაც.

ი. კუზმინოვი

საკ. კ. პ (ბ) ც-კის თეორიული და
პოლიტიკური ჟურნალი „ბოლშევიკი" № 21

საredაქციო კოლეგია:
გ. ალავიძე
კ. ბარიგიანი
ვ. კუპრაძე
ა. ძუთელია
ჯ. შარია (პ/მგ. რედაქტორი)
ხ. ჯელიძე
ხ. ჯანაშია

შე 12342 გამომც. № 106. ტირაჟი 8.000
1 საბ. ფორ. 56000 სასტ. ნიშ. სასტ. ფორმ. 4 შეკ. № 1640

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი. ლენინის, 28.

ფასი 3 მან.

ბ 838
1946

ЖУРНАЛ
„БОЛЬШЕВИКИ“
(на грузинском языке)
Орган ЦК КП (б) Грузии
№ 11 ноябрь 1946 г.